ასეთ შესანიშნავ ადამიანთა ერთ მწუხრობი, რომლებიც შეადგენენ თავიანთი ხალხის სიამაყეს, დღეს ქართველ ხალხს დიდი შვილის — შესანიშნავი პოეტის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას სახელი. „ქართული პოეზიის არწივი“, როგორც მას მოწიწებულად უწოდებს ხალხში.

ასეთი უუარსო თავისი დიდი შვილი ქართველ ხალხს, ასეთს იცნობს ქართული პოეზიის კორფის მილიონობით ადამიანი შორის მშობლიური მხარის ფარგლებს გარეთ.

ქართველი ხალხის სიყვარულს ააოცებებს ის აღმაფრთოვანებელი ფაქტი, რომ ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსის სახელიდან იუბილეს მასთან ერთად იზიარებს საბჭოების დიდი ქვეყნის ყველა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოში გენიალური ქართველი პოეტის დრმა პატივისცემის ნიშნად, რამდენიმე შემოქმედება გამსჭვალულია ჰუმანიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეებით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვაჟა-ფშაველას იუბილე მსოფლიო მასშტაბით აღინიშნოს. საიუბილეო ზეიმის სიხარულის განსაზიარებლად მოვიდა მრავალი სტუმარი — საბჭოთა მწერლების მრავალრიცხოვანი ოჯახის წარმომადგენლები.

რამდენიმე დღეს გაგრძელდა რესპუბლიკაში საიუბილეო ზეიმი. ხოლო, 26 ივლისს ზეიმის ცენტრი გახდა თბილისის სპორტის სასახლე. აქ გამართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საკვიმო სხდომა, მიმდევნილი ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი.

სპორტის სასახლის აღმოსავლეთ იარუსებს ამშვენებს ვაჟა-ფშაველას დიდი პორტრეტი. ბრწყინავს თარიღი „100“. პრეზიდიუმში არიან ვ. პ. მუჯაწანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, პ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაუარი, მ. მ. ლეილაშვილი, გ. ა. გომეზიძე, ი. გ. ბრთველიაშვილი, გ. ი. ჩიკვაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საზოგადოებრივი მდივანი-პოლკოვნიკი ა. ტ. სტეპანოვი. მშვიდობის სარდალი ვენერა-პოლკოვნიკი ა. ტ. სტეპანოვი. მშვიდობის სარდალი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი. მთლიან რესპუბლიკის მწერალთა დელეგაციების წევრები, ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საუბრო საიუბილეო სხდომაზე ხელმძღვანელები წაიკითხა პროფ. გ. ჯიბლაძემ.

იწყება სტუმრების — მომეგ საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენელთა გამოსვლები.

სიტყვას პირველი ამბობს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტე-

სხდომა, მიმდევნილი დიდი პართიული კომატისა და საზოგადო მოღვაწის 100 წლისთავისადმი

ტის თავმჯდომარე პოეტი ნ. ს. ტიხონოვი, შერებნილი გულბოლიად მუხედნენ გამორჩენილი საბჭოთა მწერლის, ქართული ლიტერატურის დიდი და გულწრფელი მეგობრის ტრიბუნაზე გამორჩენს.

ნ. ს. ტიხონოვი შერებნილია ტაშის გრილში კიოხულოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მისაღმებს საკვიმო სხდომის მონაწილეთა მისაღმე და მათი სახით მთელი ქართველი ხალხისადმი, მისაღმებს, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე ინგლისელი მეცნიერი პროფესორი ჯონ ბერნალი და საბჭოს მდივანი პროფესორი ვიქტორ ჩხივაძე.

„მასთან დაკავშირებით, რომ 1961 წლის 26 ივლისს სრულდება გამორჩენილი ქართველი პოეტისა და მწერლის ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლისთავი, — ნათქვამია წარბილში, — მშვიდობის მსოფლიო საბჭო მხურვალედ სალომე უძღვრება ამ დიდი კულტურული წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მონაწილეთებს. მშვიდობის მსოფლიო საბჭოში ერთსულ ოცნად მიიღო გადაწყვეტილება ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლისთავის დღესასწაულის შესახებ, გაითვალისწინა რა, რომ მის შემოქმედებას ქართულ იტორიულ დაბადებას სსრ კავშირში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. ვაჟა-ფშაველას თავისთავადი შემოქმედება მახლობელი და გასაგებია სხვადასხვა ქვეყნის ხალხებისათვის, რადგან იგი გამსჭვალულია ჰუმანიზმის, შემოქმედებითი შრომის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის იდეით“.

აკვივენებენ დებუშას, რომელიც მოვიდა გამორჩენილი საბჭოთა მწერლის მ. ა. შოლოხოვისაგან. შერებნილი მხურვალე ტაშით მუხედნენ მისაღმებს გულბოლიად სიტყვებს.

საქართველოს მწერლების — იუბილარის მემკვიდრეების სახელით სიტყვა იტვიტა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს პოეტ-აკადემიკოს ი. ახაშიძეს.

იმ მრავალ დღესასწაულთა შორის, რომლებიც ოდესმე აღნიშნავს ქართველ ხალხს, — ამბობს იგი, — ვაჟა-ფშაველას იუბილე ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავია. და ეს იმით, რომ ვაჟა არის ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი, ჩვენი ხალხის აზრების, მისი ხასიათის განმასხვავებელი ნიშნების საუკეთესო გამოხატვალი.

გამორჩენილი ბელარუსი მწერალი ნ. გრანოვსკი. მწერლებმა და კულტურის მოღვაწეებმა, მუშებმა და კომპოზიტორებმა, ბელარუს



მკითხველთა შიშველ მრავალ-მილიონიანმა არმიამ, თქვა მან, დამავალეს გულითადად მივხვდებოდი მოძვე ქართველ ხალხს და მივულოცო მას დღემწინველი იუბილე. ვაჟა-ფშაველას უცდავების, საბჭოთა ხალხის მრავალეროვნულ კულტურაში მისი წვლილის დამსაბურნეული აღიარება ის ფაქტი, რომ პოეტის იუბილეს თანხარის სიყვარული აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ისევე როგორც ერთად აღნიშნავს მათ პუშკინისა და გორკის, შეჩერნოსის და კუპალას, ახასია და ახუნდოვის საიუბილეო თარიღები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის საელჩოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ზ. ჩაჩიკაშვილი ქართველი ინტელიგენციის სახელით. ქართული მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატთა შორის, ამბობს იგი, ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ ათობით წელი გაივლიდა მას შემდეგ, რაც მან თავისი ნაწარმოებები შექმნა, მისი ვაჟაკური პოეზია კვლავ წინანდებური ძალით ეძვრის.

— ჩვენი ხალხების ბედი ისე წარიმართა. — ამბობს აზერბაიჯანელი მწერალი შ. იბრაჰიმოვი, — რომ ჩვენ განუტრეცილი ძმები ვიყავით მისისხანე განსაცდელის დროსაც და უსაზღვრო სიხარულის დროსაც.

საქართველო ზღაპრული სილამაზის ქვეყანაა, განაგრძობს შ. იბრაჰიმოვი, მაგრამ მის ნაშთად სილამაზეს, მის საუცხოო სულიერ სამყაროს საქართველოს ნიჭიერი მწერლები გვიჩვენებენ. ერთ-ერთი მათგანი, ვის შემოქმედებაშიც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს საქართველოს, მისი შესანიშნავი ხალხის სილამაზე, არის ვაჟა-ფშაველა, რომლის შემოქმედებამ ღრმად არის გამსჭვალული მატრიოტიზმით, მშობლიური მხარის სიყვარულითა და მისადმი ერთგულებით.


აზერბაიჯანელ სტუმარს ცვლის მეორე მეზობელი რესპუბლიკის ლიტერატურული საზოგადოებრიობის წარმომადგენელი — სომეხი პოეტი რ. ოვანესიანი. მან თავისი გამოსვლა მიუძღვნა ამიერკავკასიის ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მძურ ურდვე მეგობრობას, რომელსაც უმღეროდნენ და ავითარებდნენ ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილები.

უზბეკ მწერლების სახელით გამოვიდა პოეტი ა. ბააჯანი. საზეიმო სხდომის მონაწილეთ მან უძღვნა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ეს-ეს არის გამოსულა უზბეკურ ენაზე. ლატვიანმა მწერალმა შ. რუპიტისმა თავისი გამოსვლა დაიწყო ვაჟა-ფშაველას ცნობილი სიტყვებით: „ვინც აწყვოს კეთილსინდისიორად ემსახურება, იგი დიდებულ მომავალს ქმნის, ვინც ბევრს წნავს და თესავს, იმას ბევრი პური მოსდის“.

ტრინიდადის თურქმენი მწერალი ტ. ენესოვა.

იგი ამბობს: დღეს, როცა ქართველი ძმები დღესასწაულობენ თავიანთი დიდი კულტურის გამორჩენილ წარმომადგენლის, პოეტისა და პროზაიკოსის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს, ჩვენში შორიულ თურქმენეთში ყველას ბიძგა აცერია მისი სახელი. თურქმენი ინტელიგენცია, მუშები და კოლმეურნეები, თავიანთ დედაენაზე კითხვლებს ვაჟა-ფშაველას ბევრ ლექსსა და მოთხრობას.

— ქართველი ხალხის სახელგანთქმული გოგონის ვაჟა-ფშაველას ცხოვრება განუტრედალ დაკავშირებულია მთებთან, — თქვა ყირგიზმა მწერალმა ბ. ჯუსუპოვა. ვაჟა დაიბადა მთის სოფელ ჩარგალში, ესწავლა მთის მღერაბთა ხმაური, ტუბებთან ცაში მცურავი რბურების ცქერით, უმღეროდა მთიეთა შრომობის ცხოვრებას, აღტაცებული იყო მთის არწივის ფრენით. ხალხმა ტყუილად როდო შეადარა თავისი სუვერენო მგოსანი ამ ამაუფრინველს. მან დიდი გმირბა ჩაიდინა — მთის არწივივით ავიდა პოეტურ მწვერვალზე. მოღვაწეობის სსრ მწერალთა და მშრომელთა გულითადად სალამო



ძმარ. უვა ჯაგაიანქ

ვაჟა

გადაცა საიუბილეო ზეიმის მონაწილეთ და მთელ ქართველ ხალხს ამ რესპუბლიკის თვალსაჩინო ლიტერატორმა პ. ზანდუპროვამ.

— ვაჟა-ფშაველა დადგინტელ მკითხველთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მწერალია, — ამბობს ი. ხაბაღაძე, — და ეს იმიტომ, რომ მისი გულშემატკვარელი ნაწარმოებები ღრმად ასახვენ ყოველი იმას, რაც ესოდენ ძვირფასი და წმიდაა ყოველი მთიელისათვის.

მწერებელთ ყაბარდო-ბალყარეთის მწერალთა სახელით გულითადად მივსალმა ა. შომახოვი, ადიღეს მწერალთა სახელით — ი. ტლუხტენი.

პოეტმა ი. ნონეშვილმა წაიკითხა ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ლექსი. შეკრებილი მისესამუნე ვაჟა-ფშაველას შვილს — ვახტანგ რაჟუაშვილს. მან მომლოაჩედ წაიკითხა მამისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

საზეიმო სხდომა დახურულად გამოცხადდა. ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სალამო დამდეგ სპეკოთა ლიტერატურის ნაწილად დღესასწაულად იქცა.

* * *

საზეიმო სხდომის მონაწილეობისათვის საქართველოს ხელოვნების ოსტატთა და მხატვრული თვისებების მონაწილეობით ძლიერ კონცერტი გაიმართა.



მხატ. თ. კუბანკიშვილი

ილუსტრაცია ვაჟს თბაშე

კლასტიკურ ხატოთა საუნჯე

გრიგოლ კიკნაძე

ისტორიამ და დროთიმა მანძილმა ვერაფერი დააკოო ვა-
ვა-ფშაველას სახელს. პირიქით, რაც დრო გადიოდა, მით უფ-
რო იზრდებოდა მისი შემოქმედების მნიშვნელობა, ვიდრე
მან ნამდვილ უკვდავებას არ მიაღწია.

ვაჟს დაკარგვამ 1915 წელს ზოგენული გლოვა გამოიწ-
ვია და ამ გლოვამ ეროვნული ზარის მნიშვნელობა მოიპოვა,
რადგან უდროო იყო ვაჟს სიკვდილი. ამავე წელს მიიყვალა
ჩვენი აკაკი და ქართველმა ხალხმა გამოიტყარა ის. ერთ იმ-
დროინდელ წერილში მკაფიოდაა გადმოცემული აკაკისა და
ვაჟს დაკარგვით გამოწვეული გულსიტკივლი. იქ ჩვენ ვკი-
თხულობთ შემდეგს:

„აკაკის სახით, უშუკველია, ჩვენ დაგვარგეთ უდიდესი ქართ-
ველი პოეტი, მაგრამ იგი მოეღალა წარსულში იყო და მომა-
ვალში მისგან არას მოველოდით. ამიტომ თუმცა ჩვენ ვაცი-
ლებდით აკაკის ცხედარს გულწრფელი მწუხარებით, მაგრამ
იმავ დროს ვინუგეშებდით თავს, რომ დღეამდ მოხუცებულმა
პოეტმა დაგვიტოვა ყველაფერი და თან არაფერი წაუღია.
ესლა კი ეს ნუგეში არა ვაგვეს. ვაჟა-ფშაველამ, მართალია,
დატოვა მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობა, მაგრამ ვის
შეუძლიან სოქეას, რომ მას არ შეეძლო ამ მემკვიდრეობის
უფრო გაფართოვება? მან დაგვიტოვა უკვდავი შედეგები,
მაგრამ ვინ იტყვის, რომ მას არ შესწევდა ძალა ახალი
შედეგების შესაქმნელად? აი რატომ ვაჟას დაკარგვა ქარ-
თული ლიტერატურისათვის უფრო ტრაგიკულია და მწუხარება
ამის გამო გამოწვეული უფრო ინტენსიური, დამაღონებელი და
უნუგეშო“.

და შემდგომ და შემდგომ, როდესაც დრო ჩადგა ვაჟასა და
მკითხველებს შუა, გამოირკვა, რომ ვაჟა-ფშაველა წარსულს კი
არა, მოლიანად აწმყოსა და მომავალს უნდა მიეკუთვნოს. ვაჟა
გადაიქცა ქართველი მკითხველთა სულიერი ცხოვრების თანა-
მგზავრად, და ეს იმიტომ, რომ ვაჟას დიდება მის პიროვნულ
მწიფობასა და მისი პერსონაჟების ქველმობასა და ეთიკურ გამ-
ძლეობას ეფუძნება; იმიტომ, რომ ვაჟას უკვდავებას მისი
პოეტური სიფაქრე, გულითაღობა, ზომიერება და მოქალა-
ქეობრივ გრძნობათა სიმტკიცე აპირობებს. თანამედროვე მკი-

თხველმა ვაჟას პოეზიაში ჯერ კიდევ მიუგნებელი პოეტური
ენერჯია იგრძნო და დარწმუნდა, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტუ-
რი გენიალობა, პირველ ყოვლისა, მისი ხატების სიხალესა,
სიყვადესა და ცხოველმყოფელობაში ვლინდება. ყველაფერმა
ამან იმდენად გააფართოვა ვაჟას შემოქმედების შინაარსი,
რომ ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი მისი დახასიათების
რაიმე სისრულეზე.

* * *

ერთის შეხედვით თითქოს ნათელი, გასაგები და თან
მარტივი პრინციპია, რომ ხელოვნება ცხოვრებასა და სიცოცხ-
ლეს ასახავს და კიდევ უნდა ასახავდეს, რადგან ეს არის
მისი არსებობის ერთადერთი გამართლება. მაგრამ ეს ამ
პრინციპის მხოლოდ გარეგნული სიმარტივეა. სინამდვილეში
კი იგი უადრესად რთული და ძნელად გასათვალისწინებელი
პრინციპია, რადგანაც რთულია თვით ცხოვრება და ძნელია
მისი უსასრულო მრავალფეროვნების ჩვენება. ამ დაუბოლოვე-
ბელი და განუსაზღვრელი მრავალფეროვნების გამოსახატავად
აღმანიანს მეტყველებას მხოლოდ განსაზღვრული შესაძლებ-
ლობები მოეოვება და ისტორია მხატვრული სიტყვის განვი-
თარებისა იქითკენ მიისწრაფვის, რომ გვიჩვენოს ამ შესაძლებ-
ლობათა გაფართოების ნაირნაირი ცდა.

როცა ხელოვანი გავიციანობიერებს და დაამკვიდრებს ამა
თუ იმ ფორმით უკვე მანამდე მიცემულ გამოსახვის საშუალე-
ბებს, მაშინ მისი სახით ჩვენს წინაშე უკვე ნამდვილი ტლან-
ტია, რომელსაც თვით ამ საშუალებათა აღმოჩენასაც კი მივა-
წერთ. ამასთან, მთავარი მაინც ისაა, რომ მით უფრო რვა-
ლურია გამოსახვის რომელიმე საშუალების შემოქმედება, რაც
უფრო ნაკლებად ჩანს, რომ ის მხოლოდ სინამდვილის ასახვის
ხერხია და არა თვით სინამდვილე. ამის პირობა კი ისაა, რომ
ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ა ს ა ხ ვ ი ს ხ ე რ ხ ი იქცეს სინამდვი-
ლის ხ ი ლ ვ ა დ. იმისათვის, რომ ინდივიდუალურმა ხილვამ
რეალობის სახე მიიღოს, სრულიადც არ არის საკმარისი
მარტობიდან ისტატობა: ეს მხოლოდ ნამდვილ ხელოვანს ძა-
ლუძს.

მხოლოდ უზენდინურსი ტლანტი ახერხებს ტრადიციული

გამოსახვის ჯებირთა გადალახვას; მხოლოდ დიდი ტალანტი აღწევს თავისი ხილვის სრულ დამარწმუნებლობას; მხოლოდ ასეთი ხელოვანი შლის ჩვენს წინაშე ახალი კუთხით დანახულ სამყაროს, იგი გვითვალისწინებს მოვლენათა აქამდე შეუმჩნეველ თვისებებს და სწორედ იგი ამწერებს ადამიანურ მიმართებათა ახალ კავშირებს. ასეთი ხელოვანის შემდეგ ჩვენც ყველაფერს მისებურად ვხედავთ და მისებურად ვაფასებთ. იგი გვახსლოვებს თავის თავთან, ე. ი. გვამადლებს და ბედნიერებას გვანტივებს. ამიერიდან ყველაფერი ისე გამოიყურება, როგორც მათ ასეთი ხელოვანი ხედავდა. და თუ ჩვენ ვგრძნობთ, რომ თავისი ხილვით ამ ხელოვანმა ჩვენც გვაგვიკაფა, თვალთ ავიხილა, ჩვენი აღქმის უნარი დახვეწა და ახალ განცდათა სფერო გაგვიფართოვა, — თუ ჩვენ ამას ვგრძნობთ, მაშინ უეჭველია, რომ დიდი ტალანტი გვადგია თავს.

სწორედ ასეთი ტალანტი იყო ვაჟა-ფშაველა და მან ნამდვილ შემოქმედებითს გენიალობასაც მიაღწია, რადგან ვაჟასული ხილვა თვით ასახავს საცნებსა და მოვლენებზე უფრო წარმატცი აღმოჩნდა.

თავისთავადაც მომხიბლველია ყვავილებით მორთული ველი და ვარსკვლავებით მოჭედული ცა, მაგრამ მათი ნამდვილი ღიღებულება მაშინ უფრო განიცდება, როდესაც ისინი ჩვენს წინაშე პოეტის ხილვაგამოვილი სახით წარმოსდგებიან:

დალამდა... წვრილი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა;
მთვარე ჯერ კი არსადა სჩანს,
არ დაგვანათოს თავზედა,
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლაფზედა!
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს
შემომჯდარს გორის ფსაზედა,
სხივნი არ დაუგზავნიან
პირის საბანად წყალზედა.

ვინ არ ყოფილა უვარსკვლავო და უმთვარო ცის ქვეშ, მაგრამ მის სილადეს უფრო მაშინ ვიგრძნობთ, როდესაც ვაჟას თვალთ შევხედავთ მას:

ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,
პირი ემურვის მთვარესა,
მთან, თავ-ჩაჩქინაწენი,
ფიქრს მისცემიან მწარესა.

ბუნების მოვლენებს ვაჟას ხილვის შემდეგ კიდევ უფრო ემატება ღირებულება. ამას განვიციდით ჩვენ, როდესაც, მაგალითად, ვაჟას ასეთ სტრიქონებს წააწყდებით:

დაბნელდა, წყალნი ტირიან,
კალთა გვესურვის ღამისა,
დროა ვარსკვლავთა ვიკვიკის,
მცურევა ბალახზედ ნამისა.

და ეს მარტო ბუნებაზე როდი ითქმის. ეს ეხება ყველაფერს, რასაც კი ვაჟა გადმოგვიცემა. ყველა მოვლენასა და ყოველ სულიერ მოძრაობას ახლავს ვაჟა და ყველგან ვაჟა დაიხანება — იქნება ეს ალუბას ნაამბობი სიზმარი, გოგოთურის გაკაცური თავდაპყრობა, აღზას სულიერი აფორიაქება, თუ ჯოჟოლას არაჩვეულებრივი ფილიკტობა.

ვაჟამ აამაღლა ბუნება, რადგან ვაჟაშრიანა ის. ვაჟამ აამაღლა ადამიანი, რადგან იგი საღვთარი სიცოცხლის აზრზე



თ. ყუბანიშვილი. ილუსტრაცია პოემისათვის
„აღლდა ქეთევანი“

დააფიქრა და ამით თვით სიცოცხლეში შეატანინა აზრი და ღირებულება. ამ გზაზე მიაღწია ვაჟამ დამაჯერებლობის პირდაპირ უწვეულო დონეს. სინამდვილისადმი წმინდა მხატვრული მიდგომის თვალსაზრისით კი დამაჯერებლობის ეს დონე ვაჟას ხილვის, მისი წარმოსახვის არაჩვეულებრივ პლასტიკურობას მივწიბვს და გულისხმობს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, თუ რა არის დამახასიათებელი პლასტიკურად წარმოსახული ხატებისათვის. პლასტიკური წარმოსახვა აღქმის უახლოვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პლასტიკური ხატი სრული რეალობის შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთი ხატები დაკავშირებულნი არიან მოვლენათა რეალურ მიმართებებთან, მათ მაქსიმალურად ნათელი და ზუსტი ფორმები აქვთ, ანუ განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გამოირჩევიან. ასეთი წარმოსახვა უფრო შერჩინებებს ეყრდნობა და ამიტომაც ასაგნებს იგი მოვლენათა შორის არსებულ კავშირებს, ე. ი. მათ, ამ კავშირებს, აძლევს ხელშესახებას, გარეგამოვლენილს და ობიექტურ ფორმას. პლასტიკური წარმოსახვის შემთხვევაში ცნებების ადგილს უშუალო აღქმა ავსებს, კონკრეტული აქვევებს ასტრაქტულს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხილვა თვით აზრსაც კი წინ უსწრებს.

ვაჟას თოვზის სახით ჩვენს წინაშე პლასტიკური წარმოსახვის ბოქსოდა განხორციელებული უნარი და, როგორც ჩანს, თითონ ვაჟა-ფშაველაც გრძნობდა თავისი ნიჭის ამ



თავისებურებას. ამას მოწმობს ცნობილი პედაგოგის ივანე გომელაურის მოვარება, რომელიც ვაჟ. „ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა 1945 წლის 9 აგვისტოს. ივანე გომელაური დანიტრესეხულა შვერლის შემოქმედების პროცესით და უთიხას ვაჟა-ფშაველასათვის: „როგორ ისამოს ხორცს პოეტის იდეა?“ ამ კითხვაზე ვაჟის შემდეგი პასუხი გაუცია: „სხვების არ ვიცი, მაგრამ მე კი, როცა ვწერ, სურათები მიმდის თავში და მე მხოლოდ ვედილობ ეს სურათები კარგად და ლამაზად გამოვიყვანო. შემდეგ, როცა წავაერთხავ, მაშინ მეც მივხვდები ხომელ რა აზრიც არის შიშა“.

უშუველია, ვაჟის ეს სიტყვები სწორედ პლასტიკური წარმოსახვის ნიშანდობლივ თვისებას ვაგვარდის, თუმცა მათ გარეშევე შეგვეძლო დაგვეგნას, რომ პლასტიკური ხატობების უტყუარი ნიშნულია ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება.

როცა ამბობენ, რომ პლასტიკურ წარმოსახვას შვერძნებები განსაზღვრავს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ ყოველ შვერძნებს თანაბარი როლი და მნიშვნელობა ეკუთვნოდა. ამ საკითხისადმი ჯერ კიდევ პერდერმა გამოიჩინა საგანგებო ინტერესი, როდესაც მსჯელობდა, თუ სახელდობრ რომელი შვერძნებები მონაწილეობენ პლასტიკური ხატების შექმნაში და რის მიღწევაა შესაძლებელი თითოეული მათგანის ნიადაგზე.

პერდერისათვის ამოსავალი იყო დებულება, რომ მხედველობითი შვერძნების წყალობით ჩვენ მხოლოდ სიბრტყეს ვეცნობით და ისიც არა სხეულებრივს, არამედ სინათლისეულს. საკუთრივ ფორმების შეცნობა, — სხეულთა მოცულობის შეცნობა, მხოლოდ შეხების შვერძნებით ხერხდება. შექმედებითი ერთიმეორის უკან განლაგებული საგნების ხილვა, მხოლოდ მათი წინა მხარე შეიძლება დაინახოთ, მხედველობით მხოლოდ განფენილობას შეიძლება ვწოდოთ. მეტის ვაგება უკვე სხვა შვერძნებათა მონაწილეობას ანდა დასვენის გამოტანას გულისხმობს. მხოლოდ საგნის ის ნაწილები დანახება, რომლებიც ერთი მეორის გვერდით ლაგდებიან. თუ მოვლენები ერთიმეორის მოსდევენ, ისინი ბეჭერება თანაბანი უპარტიკუვისი და წმინდა სახით. ხოლო ნაწილები, რომლებიც ერთად რთულად გვეძლევიან ურთიერთის გვერდით და ურთიერთის შიგნით, — უკვე სხეულებია ანუ ფორმები. ამისდაკეთლად არჩევს პერდერი ფერწერას, მუსიკას და ქანდაკებას. თითოეულ მათგანს თავისი სახარდნი შვერძნება აქვს: ფერწერას — მხედველობა, მუსიკას — სმენა, ქანდაკებას — შეხება. მაგრამ ჩვენ ბავშვობიდანვე ვერყვებით, — წერს პერდერი, რომ ერთდროულად და ურთიერთთან კავშირითი ვისარგებლობთ ჩვენი გრძნობათა ორგანოებით. ჩვენი შვერძნებები ერთი მეორეზე არიან გადაკავჭულნი. განსაკუთრებით ითქმის ეს მხედველობისა და შეხების შვერძნებებზე: ჩვენ ვერყვებით ერთმანვე აღვიქვით თვალთი ის, რასაც შეხებით თანდათანობით ვეცნობით. და საერთოდ, პერდერის თანახმად, ჩვენი შვერძნებები ისეთიანიად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მათ ურთიერთთან ისეთივე კავშირებია აქვთ, როგორც დაკავშირებული არიან ურთიერთთან სიბრტყე, ბეჭერა და სხეული ანუ სივრცე, დრო და ძალა.

პლასტიკურობის პერდერისეული ანალიზი ემპირიკოს-სენსუალისტთა თვალსაზრისიდან გამომდინარებობდა, მაგრამ ამ ანალიზის რეზულტატს თავის არსებით ნაწილში დღესაც არ დუკარგავს მნიშვნელობა. ყქმოდ, პლასტიკურობის აღქმა შეხების შვერძნების როლის-და მიუხედავად, შეუძლებელია თქმა, რომ სხვა შვერძნებებს და ისახელობრ, მხედ-

ველობით შვერძნებას — არ შეუძლიათ მიადლონ პლასტიკურ წარმოსახვას. ანდა, უფრო სწორად რომ ითქვას, გამორკვევია, რომ სხვადასხვა შვერძნება ერთი მეორესთან ისეა დაკავშირებული, რომ ადამიანი, მაგალითად, უკეთ ხედავს საგანს, როდესაც იგი მის ბგერით მხარესაც აღიქვამს და კიდევ უფრო უკეთ, თუ შეეხება კიდევ მათ. ურთიერთს სხვადასხვა შვერძნების ნათესაობას და მათი შემოიბრუნე ვაგვლენის ვაქებს. ასე რომ, პლასტიკური წარმოსახვა სრულიად არ შეიძლება მარტოოდენ შეხების შვერძნებით განსაზღვრის. მართალია, როცა პლასტიკურ ფორმებზე ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა, ქანდაკება აქვთ მხედველობაში, მაგრამ პლასტიკურის ვაგება სხვადასხედილში ამით არასოდეს არ არის შემოფარგულული. ისინი სრულიად გამორკვეულია, რომ პლასტიკური წარმოსახვა მხედველობითის, მოძრაობითის და შეხებითის ხატებით ვლინდება. ამ ნიადაგზე აღმოცენებული ხატების თავისებურება კი ისაა, რომ მათ ობიექტობის მიმართ ხარისხი გააჩნიათ და გარე გამოხატული ფორმებით გვეძლევიან. ამიტომაც სტოგვენ ისინი რაღაც რეალურისა და ციხებალის შთაბეჭდილებას. მათ ძალიან ნაიელი ფორმები აქვთ, რაღაც სივრცეა პირობა და საყრდენი, რათა მხედველობა, მოძრაობა და შეხება განხორციელებს.

ზემოთაქვამი პლასტიკურ აღქმასა და მისი წარმოსახვის პირობებს შეეხება. მაგრამ რამდენადაც მწვენიერებასა და სილამაზის ყოველ განცდას ვერ მოიცავს პლასტიკურობა, პასუხავაუცემელია საკითხი, თუ როგორია ამა თუ იმ შვერძნების მონაწილეობა მწვენიერებასა და სილამაზის განცდაში. ბოლო ხანებში ესთეტიკური აზრი ისევ დადურბუნდა ამ პრობლემას. განსხვავს ავტორები, რომელთა თანახმად სილამაზე და მწვენიერება მხოლოდ იმ გრძნობათა ორგანოებში აღიქმება, რომელთაც შემამეცნებელი ხასიათი აქვთ. ასეთად კი, პირველ ყოვლისა, მიჩნეულია მხედველობისა და სმენის შვერძნებები. ე. ი. ნაგულისმხევია, რომ მათის გზით წარმოიქმნება განცდა სილამაზისა და მწვენიერებისა. ამ აზრის სისწორის დასადასტურებლად ჩვენს მეტყველებას იძოწებენ. ჯერ კიდევ თანა აქვიწყლი ამბობდა, რომ ჩვენ ვლამაზრაკობთ ლამაზ სახასიათასა და ლამაზ ქურადობაზე, მაგრამ სხვა გრძნობათა ობიექტების მიმართ არ ვისარგებლობთ გამოქმობით — „ლამაზი“, რამდენადაც, არ ვიკვიტო, რომ ეს „ლამაზი გემოა“ ანდა „ლამაზი სუნი“. ერთის შეხედვით, ასეთი მსჯელობა ჭეშმარიტებას უნდა გამოსხატავდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით და ისიც ნაწილობრივ. ასეთი შეხედვლების წინააღმდეგ ლაპარაკობს თანამედროვე ესთეტიკაში ცნობილი შემდეგი მსჯელობა: ჩვენ რომ მხოლოდ სუნამო ვგვძიხვს, არავინ არ იფიქრებდა მისთვის „ლამაზი“ ეუწოდებინა. ეს შესულებელია იმიტომ, რომ არ არსებობს ობიექტი, რომელსაც მოცემული არამოტივი ერწყმის. მამასა-დამე, ამ შემთხვევაში არ არსებობს ესთეტიკის საგანი. მაგრამ უკვე სხვა მდგომარეობა იქმნება, როდესაც ეს არამოტივი ბაილდან გვეცმის. მაშინ ეს უკვე კიდევ უფრო მომხიბლველად აქცევს ობიექტს (ბაღს) ანუ აძლიერებს მის ესთეტიკურ ძალას. იგივე ითქმის გემოსა და სხვა შვერძნებებზე. ერთი სიტყვით, ახლა უშუველადაა მიჩნეული, რომ შესაძლებელია ესთეტიკური შთაბეჭდილებების მიღება ნაირნაირი შვერძნების ნიადაგზე. რაც შეეხება პლასტიკურის შინაარსს, ასეთი თითქმის მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც სხეულებრივია, მოძრაობა და დანახება. მაგრამ როგორც ამბობენ, პლასტიკური წარმოსახვის ისეთი ფორმაც არსებობს, რომელიც ს ა-



შეუღლებად სიტყვებს იყენებს, რათა ცოცხალი და მკაფიო შეხებით, მოძრაობითი და მხედველობითი შობაზედღებები შექმნას. ზოგჯერ ეს გარე შობაზედღებები უერთდებიან არა-ჩვეულებრივად ღრმა ემოციებსა და უმწკავეს ვნებებს. და რო-ღესაც ჩვენ ცოცხალი ადამიანის პლასტიკურ წარმოსახვაში ასეთ ვნებათა განხორციელების უნარს ვხედვით, მაშინ ჩვენს წინაშე უკვე თვით შექსპირისა და ვაჟა ფშაველას შემოქმედებით ვგვინ ვგვინა.

თავისი მსოფლმხედველობით და სოციალური შეხედულებებით ვაჟა-ფშაველა ჩვენი დიდი კლასიკოსების—ილიასა და აკაკის მიმდევარია, ხოლო პოეტური თავისებურებით კი დიდად გამორჩევა მათგან. ამიტომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ხატოვანება შემუძღვლია განიზრატის პოეტის მრწამსით, შეუღლებულია მისი დაყვანა ამ პოეტის მსოფლმხედველობივ რაობამდე. მარტოოდენ მსოფლმხედველობივი მომენტებით ვაჟას ხატოვანების და-პირობება აუცილებლობით მიგვიყვანდა მისი ნიჭის ორიგინალის სულელებყოფამდე, მისი პოეტური სახის დაკარგვამდე. ამოჯანა კი იმაში მდგომარეობის, რომ დავიანახთ, თუ რამდენად მრავალფეროვანი და ნაირნაირი პოეტური ტალანტები შეიძლება ემსახურობოდეს საერთო მიზანს, მიზანს, რომელსაც ვაჟას უფროსი და მისთვის სასიქადლო თაობა ისახავდა.

როდესაც ვაჟას ხატოვანებას პლასტიკურობის თვალსაზრისით შევხვდეთ, ჩვენის აზრით, განსაკუთრებული ყურადღება ერთს, ვაჟას შემოქმედებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე პოეტურ ტენდენციას უნდა მივაპყრათ. პირველ ყოვლისა, აქ მხედველობაში გვაქვს გასულიერებისა, პერსონიფიკაციისა და მეტამორფოზის ტენდენცია. ეს ტენდენციები მკაფიოდა გამოვლენილი ვაჟას შემოქმედებაში, რომ ბევრი ავტორი მას მიიჩნევდა და ღრესაც მიიჩნევს ვაჟას მსოფლმხედველობის, მისი ფილოსოფიური შეხედულებების უმნიშვნელოვანეს გამოვლენად. ამ ნიშანდგევა აღმოცენებული მსჯელობა ვაჟას ანიმისტობისა და ანტროპომორფიკობის შესახებ. ამჟამად არ ჩანს იმის აუცილებლობა, რომ კიდევ დაეუბრუნდეთ და განმეორებით შევხვთ ამ საკითხს. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილებით, რომ გასულიერებისა და პერსონიფიკაციის მაღალი ხარისხი, რაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშია მოცემული, სრულადაც არ გვიკარნახებს, რომ ამ პოეტის მსოფლმხედველობრივი გამორჩეულობა და განცალკევება გამტკიცეთ. გასულიერებისა, პერსონიფიკაციისა და მეტამორფოზის გზას იცნობს ყოველი პოეტი. ყოველ პოეტს (და არა მარტო პოეტს!) უვლია ამ გზით, ხოლო ვაჟასთვის დამახასიათებელი ისაა, რომ თავისი ტალანტით ამ გზაზე მან ყველაფრის მომცველ საფეხურსა და პირდაპირ განმაცვიფრებელ ფშვტს მიადლო.

გასულიერება ანალოგიის ერთ-ერთი ფორმაა. ესაა საკუთარს, ადამიანურის პროეცირება გარემოში და მისი სახეობა გაპირიფიკაცია და მეტამორფოზა ან ტრანსფორმაცია. გასულიერება მრავალი და მრავალნაირი ესთეტიკური ნაწარმების წყაროადა მიჩნეულია, — ზოგჯერ ფარულ, უფრო ხშირად კი აშკარა და თვალნათლევ წყაროდ. გაპირიფიკაცია და მეტამორფოზა ურთიერთისაგან ის ანახავებს, რომ გაპირიფიკაცია მოაზროვნე სუბიექტიცადა, ადამიანიდან მომდინარეობს და საგნებზე გადადის (ვასულიერებ ჩემებზე!), მეტამორფოზა კი საგნიდან საგნისაკენ მიიმართება. მეტამორფოზის საილუსტრაციოდ ისეთ აღქმავს მიუთითებენ, როდესაც, მაგალითად,

ღრულები იქცევა მთად, მთა ფანტასტიკურ ცხოველებად (ვთქვათ, დევედ!), ნილი ადამიანის ფიქრად და ა. შ. ე. ი. პოეტური მეტამორფოზის ანუ ტრანსფორმაციის შემთხვევაში გვლისხმობენ, რომ აღქმა იწვევს გარკვეულ გრძობას, რომელიც ვრცელ-პლასტიკურ ფორმას ღებულობს.

ცნობილია და აქ სრულადაც არ არის საჭირო იმ ნიშნუების გადმოცემა, რომლებიც ვაჟას შემოქმედებაში გასულიერების, პერსონიფიკაციის და მეტამორფოზის როლს გაგვითვალისწინებდა. რაც ვიცით, იმის მიხედვითაც უმეცველია, რომ ვაჟა იყო სიცოცხლის ხილვა ყველგან და ყველაფერში,— ე. ი. ხილვა სამყაროში მოქმედი ძალებისა, ხილვა მოძრაობისა ანუ სამყაროს პლასტიკური ხილვა. აი ვინ იყო ვაჟა-ფშაველა! გასულიერება და პერსონიფიკაცია მისი მსოფლმხედველობის ანიმისტური და ანტროპომორფიკული შინაარსი კი არ არის, არამედ ეს არის მისი შემოქმედების პლასტიკურობის გამოხატულება, მისი წარმოსახვისა და ფანტაზიის პლასტიკურობის პოეტური ფორმა.

თავიდან ბოლომდე დინამიკაა ვაჟა-ფშაველა. დინამიკურია მთელი სამყარო და დინამიკურია ამ სამყაროს ვაჟასული ხილვაც. ვაჟასთან არაფერია პლასტიკური, ყველაფერი მოძრაობის მასთან და, რაც მთავარია, ნათელია ამ მოძრაობის არე და მოძრავე საგნის კონტრუბებიც ერთობ ნათელია. ბუნების მაგალიტე ამის საჩვენებლად მისი ერთი ლექსის რამდენიმე სტრიქონიც კი საკმარისია. როცა ვაჟა წერს—

ხევეში ჩაწვა ნისლიც,
განხედ დაყრილან მთისა,
ერთ-ურთზე მიქადლებულნი,
როგორც ერთგულნი ძმანია —

იგი ამ მთებს გვიხატავს ერთმანეთზე მიკრულ ბუნების უზარმაზარ ნატყხებად; ყველაფერი გაამართლებს თავის არსებობას, როცა ვაჟა გარეშემოს ამოქმედებს:

მთავრე ჩას შემოსწყრომა,
წყალი ნახუსი შორადა,
ტირილად მესმის ჩხრალი
მისი ხევიდან ორად.
ავერა კიდევ იშხივლა,
სული ამოხდა სწორად!
ნამი უმცირევეა მწვანეხედ
ნისლებს ნასტუმრალთ, მრავალთა,
თან ნამოს, სისოს მხოვდელთა
შავთა შავ-ფერად მაგალიტ.

შესხიერებით აჯილოვებს ვაჟა გათელილ ბალახს, ნანას უმღერინ მის მთებს ვარსკვლავნი, წელში მფურად გაიმართება დიდი გერგებიც, ცად აზილდო ბორბალაც თითქოს ირ-ყვება. ვაჟა ანს ყველაფერს ხელავს და წინ მდგომდვის. რათა ჩვენც დაგვანახოს:

ავერ ნისლებიც დაიდრა,
როგორც სულბი მკვდრებისა,
ცაზედ ვარსკვლავნი დაბუნდლენ,
დაბლა — თავები მივებისა.

მოძრაობაში იკვეთება სახე საგნისა და, მაშასადამე, ფორმები მოძრაობის აპირიფიკაცია პლასტიკის ფორმებს; პლასტიკური ხატი მოძრაობითა და ცვალებადი თავისი ბუნებით. ის შეიძლება პოეტურადაც გამოისახოს და ამას მშვენიერადაც ახერხება გრიგოლ ორბელიანი. ამის ნიშნუთა მისი სტრიქონები:

წყალნი მითი დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს
სსკვივინა,



თერგი პრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს
უენუნებიან!

ეს სურათი მთლიანად პლასტიკურია, რადგან იგი თავისი მკაფიოობით, თვალსაჩინოობით, ფორმათა მაქსიმალური სი-
აუსტრითა და დინამიზმით გამოირჩევა. ამგვარი სტრუქტურებით
აღწევდა გრივლ ორბელიანი პლასტიკური პოეზიის მწვერ-
ვალს. მაგრამ ეს მხოლოდ ზოგჯერ ხდებოდა. ვაჭა კი თავიდან
ბოლომდე თითონაც პლასტიკურ ხატთა სამყაროში ტრია-
ლებდა და ჩვენც იქ ვეპოვებოდა. ვაჭას ნიჭი ხატავდა
ლორთბობის ნარინარი ფორმას. იგი ხატავდა ბალახთა ბიბინს
და ღვარათა მოსკდომას, მათა მიერ დაკონიერ ცის გულ-
მკერდსა და მდინარის წყალთა... მწყრობნივ ჩქაფუნს...
თრთოლვას, მსხვრევას და ტყორცნას. პლასტიკურობის
თვალსაზრისითაც შეუდარებელი იყო ვაჭა, როცა ამბობდა:

მთის ძირში სძინავს შავს ნისლსა,
სრას უზარმაზარ გველიდა.
დაბობდა მთებსა შეჭურვებს,
შუბლ-მოქშუული, ცრედა.
მთით კი წარბსაც არა სძერენ,
თითქოს დამსხდარან მღერადა, —
ჭედები აუღერიათ,
მუშტებსა კმუჭუნ კვერდა.

უფაქიზსი, მაგრამ მკაფივ და მოქნილი პლასტიკური
პოეზიის ნიმუშია, როცა ვაჭასთან ვკითხულობთ:

ჭკვიდამ არია სტუმარი
იმის ნისლივით თმამათ.
წამოღვა ქალი ფეხუნსა, —
თითქოს იღვცა ცამათ, —
ჰაერში გაიკრიალა
მისმა ზარივით ხმამათ.

უცხადესი ფორმა მისცა ვაჭამ გარინდებდა ქვეულ სულიერ
დაძაბულობას, როცა თქვა —

მკროთლარე ცეცხლი უნათებს
მგმუნვარეს პირისახესა.

ვაჭამ სრულიად თავისუფლად შეძლო ამოქმედებულ ბუ-
ნების ძალთა ისეთი სურათების შექმნა, რომელთა დინა-
მიზმი, ალბათ, ვერასდრის ვერაფერი გადააჭარბებს. ყოველ
შემთხვევაში, ძნელია იმ პოეტთან გატოვების ცდა, რომ-
ლისათვისაც ბუნებრივია და ჩვეულებრივი ასეთი ხატო:

მუშტის სწორს სეტყვას ისროდა,
ხვედს ჰაფავინდა ტრტებსა,
ცა მწყრალი ყინულისას
მიწას ესროდა ზოდებსა.

მაგრამ ეს ხატები სრულიად ვერ ამოწურავენ ვაჭა-ფშა-
ველას ხატვანების სფეროს. სივრცეში გაშლილი და გასხეუ-
ლებული ხილვა, როცა ვაჭას შემდეგ სიტყვებს ვისმინთ თუ
კითხულობთ:

ცაზე იარე, მთვარეო,
მზეო, აბაძანი — დაბაძანი!..
მთებო, იმიშველთ გულ-მკერდი,
ხან მოიხვიეთ ნაბადი...
ანდა:
მთვარე არა ჩნდა ცაზედა,
ვარსკვლავნიც მიჩმალულიყვნენ;
ნისლინი დაღლილინი ცურვითა,

მთის ყურეთ მიმალულიყვნენ;
მთანი მაღლით დასცქირდნენ;
რომა ფიქრით შაბურვილიყვნენ:
ბნავებს ბევრი ეტიროთი,
სრულ ცრემლად დაწურულიყვნენ.

ვაჭას ყოველი ფრაზა ხატია ანდა უშუალოდ ემსახურება
ხატვანებსა. ასეთია მისი გამოთქმები — „შტერად დამდა-
რან მთის წვერნი“, „ჯაჯარი ტანს ნაბდათ გეხვევა, ცრელი
მიგყვება საგმელდა“, „ლულის ძირს სათი კლდენები
არავს მუჭაში სწურავენ“, „საცავა, თათი იტყუებს, კვალი
შავდება კავშირდა“, იმასა ჰგავდა, თითქოსა მთები
წვებოდა მიფეხვდა... დასრულებული შეიძლება ასეთი მაგა-
ლითების მოტანა, და სრულიად უშედეგოა, რომ აქ, ისევე
როგორც გრივლი ორბელიანის ზემოგადმოცემულ სტროფ-
ებში, დასაბნია პლასტიკურობა მთელი ბუნებისა, ფიზიკური
მოვლენისა, საგნისა თუ ცოცხალი სხეულისა. აქ პოეტის სი-
ტყვებოა მოქმედი უკვე ყველას სახილველად მოცემული
საგანი თუ მოვლენა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აქ ახალია
თქმა და არა ხილული, განსხვავებას ჩვენსა და პოეტს შორის
უფრო ხილვის გამოსახვის უნარი კმნის, ვიდრე თვით
ხილვა. ე. ი. გამოდის, რომ ხატვანების ამგვარ მაგალითებში
პოეტური ქმნალობა უფრო სიტყვის სფეროთია შემოფარგ-
ლული და იმდენად თვითონ ხილვის აქტზე ის არ ვრცელდება.
ამნარი პოეზიაში საგნები თითქოს თავისი სახეცვლელი
ფორმებით შემოდინან და პოეტის ტალანტი ამ ფორმების
შემჩნევასა და აღქმავტურ გამოსატანში მდგომარეობს. ამ
ზრით, შეიძლება თქვას, რომ ზემოგადმოცემულ სურათებში
წარმოსახული იმდენი არაფერია, რამდენიც ხილული. უფრო
სწორად: მასში უშუალოდ აღქმული უფრო მეტია, ვიდრე
წარმოსახული.

მართალია, ვაჭა-ფშაველა აღქმულ საგანთა, მოვლენათა
და პროცესთა შესაბამის გამოსატანს საშუალებებს პოულობ-
და; მართალია, მის პოეზიაში საგნები თავიანთ რეალურ ძა-
ლას ფლობდნენ და პოეტური სიხსნადის მაქსიმუმს აღწევდნენ,
მაგრამ ახლა საინტერესო ის ხარა, რომ ვაჭას გენიაში წარ-
მოსახვად არაჩვეულებრივი ინტენსივობა შესძინა და მის
შემოქმედებაში წაიშალა მიჯან აღქმულსა და წარმოსახულს
შორის.

პირდაპირ უსაზღვრო იყო ვაჭა-ფშაველას პოეტური ფან-
ტაზია. ის წარმოსახავდა განმცდელ ლოდებს, ამტკაცებელ
მთებს, მოკრძალებულ იას, ნარნარ ფრინველებს და ადამიანთა
წარმოდგენებსაც წარმოსახავდა. მიყვებოდა ვაჭა ფანტაზიის
დინებას და მიყვებოდა სრულიად უშიშრად, რადგან ყოველ-
თვის შეეძლო სინამდვილისაკენ შემოებრუნებინა ის და რეა-
ლობის ჩარჩოებში მოექცია გზაყინული ფანტაზიები. ძა-
ლიან ცხადი მოჩვენებანი ადამიანს პათოლოგიისაკენ მიაჭ-
ნებენ. მაგრამ ვაჭამ მტკიცე ხელით შეუცვალა მათ შინაარსი:
მან საზოგადოებრივად ფასეული მოტივები დაუდო საფუძე-
ლად ამ მოჩვენებათა წარმოშობას და მათ მიერ დაჩნეულ
კვლასაც საზოგადოებრივი ღირებულება მისცა. ვაჭაკობისა
და მისი პატრიისციემის ნათელსა და ამაღლებულ იღვას ამა-
ხურა მან „ბახტორიში“ სახელგანთქმული ჩვენება ჯაჯარაშ-
ლილი გველისა; კაცთმოყვარეობისა და ნების სიმტკიცესთან
შერწყმულ სათნობას დაუქვემდებარა ვაჭამ შემზარავი სიზ-
მარი ალუდა ქეივალურისა; სინდისგაყიდული შერეს შემერ-
წუნება მოხერხდა მაშინ, როდესაც მან უფსკრულს მიაღწია
და დაინახა, რომ ღვედეს



ცეცხლი დაენთო ძლიერი, გარს უსხნენ ყოტებივითა, თავ-ცხერი წაიშოფერათ საღის კლდის ლოდებივითა; დაღრებილი აქეთ ლაშეში, სალუდეს ქუჩებივითა, წითელს იქნევდენ ენებსა, გრძელდება შოთებივითა, მსახურად ეღვენ ჭინკები, ჭყიოდენ ჭოტებივითა.

ვაჟა-ფშაველამ მრავალი მიჩვენება და წარმოსახვა პატრიოტულ ატმოსფეროში მოიქცია და მათთვის ერთგული მნიშვნელობის მიცემა შესძლო. ასეთია, მაგალითად, კვირიას სიზმარი, რომელიც მან მტერთან საბრძოლველად მზადმყოფ ლმპარს უამბო:

მინდორი იყო ტრიალი, არა რაი ჩნდა მანუგადა, ყოილი, ხშირი ყოილი დაფენილიყო გზაზედა... გაუხედე, მინდრად მოურავს შავი ვეშაპი ქუჩითა, ყოილთან მიწას მაპოკოდა ცეცხლის მსროულის ენითა. პირითაც ცეცხლი სდიოდა, საზარელ იყო მეტადა მნახა, გულზეგად მომმართა, ვუნდოდი დასაკენებდა. პირი დაადო ვეშაპა, ჩასაყლაპავად მიტია, მაგრამ ხმლითა ვეც, გაუხეუე თავი, როგორაც ფიტია.

ასე დაუქვემდებარა ვაჟამ თავისი ხატოვანების უნარი საზოგადოებრივ — პატრიოტულ მიზანს, თავის ეთიკურ და ბუნებრივ სწრაფვას. მაგრამ მის შემოქმედებაში დოქტრინერობის ნახაბიც კი არ მოიპოვება, რადგან სადაც ხატია, იქ სიცოცხლე, სიცოცხლე და დოქტრინერობა კი ერთიმეორეს ეგრა ჰეპოლბა.

როგორც ზემოთ მითითებული მაგალითებიდან ჩანს, ვაჟას შემოქმედება თავისუფალია ბუნდვანი წარმოსახვისათვის დამახასიათებელ თვისებათაგან. სისრულე და სასუბობა ნიშანი მისი ხატოვანებისა, ბუნდვანი წარმოსახვის შემთხვევაში კი ხატი საგანზე არც კი ჩერდება, მხოლოდ ზოგიერთ მის თვისებაზე მიუთითებს და მთელი საგნის აღნიშვნას კი კისრულობს. ბუნდვან წარმოსახვაში დაკარგული კონკრეტული საგნის ნიშნულობა და შერქმევათა ადგილს ემოციური განწყობილება იკავებს. ამავეარი წარმოსახვიდან თითქმის განდევნილია ობიექტი თავისი ხელშეშახები ნიშნებით და მის ადგილას მხოლოდ გამსცდელი სუბიექტი რჩება. ასეთი წარმოსახვის ბრწყინვალე ნიმუშებს ვხვდებით ჩვენ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. მისი „თოვლიც“ კი ასეთია. პოეტმა რეალურად არსებული საგნის ნაცვლად, აქაც კი უმოკლეს მიმართა და ობიექტი სასუბებით დაუმორჩილა თავის განწყობილებას:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხდიდან ფნა: მწუხარე გრძობა ცივი სისოვლის და სიყვარულის ასე მოთმინა. ძვირფასო! სული მიყვება თოვლით: დღეები რბიან და მე გებრძვები! ჩემს საშობოლოში მე მოველე მხოლოდ უღანბი ლურჯად ნახავებრძები.

ეს ლექსია იმის ნიმუში, თუ რანაირი შესაძლებლობა აქვს ხელოვანს, რომ საგნის წინაშე იდგეს. მაგრამ თვითონ ის დამისგან უშუალოდ მიღებული შთაბეჭდილება კი არ აღწერს, არამედ ის საერთო განწყობილება გადმოგვცეს, რომელსაც ეს საგანი იწვევს. ანდა უკეთ: ამ განწყობილება გადმოგვცეს, რომელსაც იგი ამ საგანს თავზე ასვევს. მართალია, ასეთმა პოეზიამაც შეიძლება შექმნას პლასტიკურობის შთაბეჭდილება, მაგრამ აქ არ იქნება მიცემული ხილულ საგანთა და მოვლენათა კონკრეტული ფორმები. აქ ჩვენ განცდათა ურთიერთ გამსჭვალვას და ურთიერთში გადასვლას შევამჩნევთ და, მამასადაც, სინამდვილეში პლასტიკურობას დინამიზმი შევინაცვლებთ.

ვაჟას შემოქმედებაში გადაშლილია პანორამა ბრძოლისა, კონფლიქტებისა, და ეს შეეხება როგორც ბუნებს, ისე საზოგადოებას. სწორედ ამ სიბრტყეზეა თავიდან ბოლომდე პლასტიკური ვაჟას პოეზია. პლასტიკურია ვაჟა აღქმის დროსაც და წარმოსახვის შემთხვევაშიც. სრულიად უზრუნველყოფილია ხატთა საგნობრიობა და რეალურობა, მათი სიცხადე და მკაფიოობა, როდესაც ვაჟას წარმოსახვის საყვარლს ვეცნობთ. უაღრესად პლასტიკურია ის, რაც ვითომდა ხეგ-ხეც ცხენის მძებარმა აღაზამ იხილა. ცხენის პოენის მაგივრად დღევში შევერეყო, — ამბობს აღაზა, და იქ კი

დამიხედა შავ-ნაბღიანი, უხარმარის ტანისა: ჯრაც თავლებში მიელაგეს სიმურაფე იმის განისა; დიდ-ყურა, კიბეე-ლაჯუნა, უმსაგუსო, ფერად შავისა; ხელები გამომიწვავა, დიდი ხელები თავისა, მისი ოდნად სჩანდა მის თავზე მომავფერო ქუდი ტყავისა.

ამ წარმოსახვაში თავმოყრილია ძირითად შერქმევათა მონაცემები. აქ მხედველობითი შერქმენების გვერდით დასს სუნის შერქმევა და მათთან ერთადვე წარმოდგენითი მოძრაობის შერქმევა, რომელიც უხეხების შერქმევათა ჯგუფში ერთიანდება. შერქმევათა თითქმის მიეღი კომპლექსი ღებულობს მონაწილეობას დღვის იმ ხატის შექმნაში, რომელიც ვაჟას ამ სტრიქონებში გველევვა. ეს ხატი წარმოსახვითია თავისი წარმოშობით და არა აღქმითი. მაგრამ ვაჟას ტლანტის წყალობით აქ ერთმანეთს დამოხება აღქმითი და წარმოსახვითი ხატოვანება, რადგან მათ შორის მოსხილია განსვავება ინტენსივობის, სიცხადისა და ობიექტურობის თვალსაზრისით. „წამილდა ქალი ეთერი, მივარე ამოყვა პირზე-დაო“, — ამბობს ის ერთგან, და მისი სატრფიალო ლირიკისათვისაც სწორედ ასეთი ხატოვანება დამახასიათებელი. „რამ გაგაჩინა, ქალაო, ლურწმად აჭრილო წელშია“, — იტყვის ვაჟა, ხოლო სხვა შემთხვევაში სიამაშის იმდენად ცოცხლ სურათს წარმოგვჩვენებს, რომ პოეზია რეალურ ვნებას გადაენსაკვება და ვაჟა თვალნათლედ დაგვანახვებს ჩვენივე ცხოვრებისათვის ესთეტიკური ხილვის მნიშვნელობასა და ღირებულებას:

ქალი გამომდა ქიხიდან, შუქი გამოჰყვა პირითა, ქალი ვამსაგუსე ამ დროსა ნამს, ვარდუე მირწყინას დილითა. თუ შურისი იმო ლამაზი, მსტინიაე მიალო მათზედა? ან თუ მვარდნის წიწილია,

მოლორე დედის ფრთაზედა?
ან თუ ვარსკვლავთა კრებულს
უხვ-სხვიანი ცაწვდება?
ან თუ ალმანი ფრთაზელი,
დიდრებულ მკლავზედა?
ან თუ ზღვა არი მფოთარე,
აყიერებული ზღვაზედა?
იქნება სამოთხე იყოს,
ქვეყნად მოსული ციდანა?
— ვაჟყავის გულის ჭურია,
გადამგებელი ჭკვიდანა.

ვაჟა ფშაველამ მოვლენათა და საგანთა ურთიერთმიმართების დანახვა შესძლო. მან დაინახა მტიცივე კავშირი საგანთა შორის და ამ კავშირთა არსებობა უაღრესი ობიექტურობის ხარისხში აიყვანა. ვაჟას პოეზიაში, — სამყაროს მთლიანობის წარმოდგენისა და გააზრების საფუძველზე, — არაერთგზის არის ნაჩვენები მოვლენათა ურთიერთ შერწყმის სურათი. ეს პლასტიკური სურათებია, რადგან ისინი თვალსაჩინო, ხელშეასხები და სასურვერგამოკვეთილი არიან.

სასიცოცხლო პროცესების ჭაბუკობის ხანმოკლე ისე მიუღდა ვაჟა, თითქმის ნამდვილი დიალექტიკოსი ყოფილიყოს. მან ხატოვანი ფორმა მისცა ამ ზოგად თეორიულ თვალსაზრისს და პლასტიკური ხატოვანების რამდენიმე ბრწყინვალე ნიმუში დადგოტოვა.

ვაჟას ერთ ლექსში სიყვარულის, სიცოცხლის და სიკვდილის ურთიერთობაა დახასიათებული. განმაცვიფრებელი სისადავითა იქ გადმოცემული უღრმესი ფილოსოფიური აზრი:

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიციცხლე შევნობს შენთან,
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა.
სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
ერთურთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით.
ერთურთი სწყურან ორთავე,
ერთურთთან დაიღვიან;
ერთურთისოდ ვერ სძლებენ,
მაღადვე დაიღვიან.

ვაჟასათვის შემთხვევითი არ არის მოვლენათა ურთიერთგანსაზღვრელობის ასეთი გაგება. აქ მისთვის დამახასიათებელი თვალსაზრისია გადმოცემული, თვალსაზრისი, რომელსაც იგი რამდენჯერმე ბეჯითად იმეორებს. ასე, მაგალითად, ერთ ლექსში ვაჟა წერს:

სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,
ეს მიტომ დასვა წესადა;
სიკვდილი გაუჩენია
მას თავის გასაკვებადა.

სხვა შემთხვევაში ის ამბობს გულმა შეიგნო, რომ სწორედ ეს სოფელა —

ხან რომ გვალოდებს, ტპბილს გვასმებს,
ხან მოგაწოდებს მწარესა,
ულევ უფსები რა შექმნა,
თუნდა შევხედოთ მთარესა!
ღღეს მტირალს, ბედის მომდურავს,
ხვალ ისევ გაახარებსა.
ღარბის ამდიდრებს, მდიდრისას
სიმდიდრეს გაათავებსა.
ღამბულს აუშვებს და ახსნის
დაბამს, გააკვებსა.

ეს ვაჟა ფშაველას შეგნებული თვალსაზრისია. ეს ჯანსაღი აღაზრის თვალსაზრისია, რომელიც ამ საწუთროს წარმგება-ლობაზე ვერქვის ვერ დაუსევდინებია და მისი შრქმულების უნარი ვერ ჩაუკლავს. ვაჟას გაუთვალისწინებია, რომ ამ ქვეყანაზე საზრდო ერთისა მეორისათვის შეიძლება საწამლავია; ჩვენს პოეტს შეუგნია ამ საწუთროს რაობა და მის კანონთა გარდუვალობა, მაგრამ ისევ ფიზიკად დარჩენილა და ყოველი ცალკეული მოვლენისა თუ საგნის არსებობისათვის თავისთავადი აზრი მიუცია, რადგან ისინი მთლიანი სამყაროს მსახურად ანა და მთლიანობის მონაწილედ მიუჩნევია. ეს აზრი არაჩვეულებრივ დინამიკურსა, საგნობრივსა და პლასტიკურს სამოსულშია მოწოდებული ერთ მის ლექსში მთისა და მთვარის გაბასების სახით:

მთვარე ამოხდა ფერმკრთალი,
ატირდა, ისმის ძახილი:
„ხეტიავი, კაცი მაჩვენა,
რომ გულში დამცეს მახვილი.
მოწყვინდა წყველადთან ბრძოლა,
ჩამოვიღალე ვაზითა,
მოწყვინდა კლდე-ღრთე ღლებტა
ვაჟ-პირის მტვერევა ღამითა!“
ამ დროს საყველო უტავა
მთამ მკერდ ბტყალად მდგომიარემა,
პირტუმმა, ვარძით გაზდილმა
და ვარძის მშობიარემა,
და უთხრა ჭირისუფალმა
სულ მუამდ მგლოფიარემა:
„მთვარე, ნუ იტყვი მაგასა,
მთვარე, ნუ ჰკარავ რჯულსაო,
წესს რადა ამტყუნობ თავისას,
ემამაკ რად აძლე სულსაო!
ყველა ვერე ვართ მობოლინი
ერთი მეორის მსახურად;
ერთურთს ვშველო, ერთურთსა
ესწყალობთ

პირათად, ჩამოხატულად.
მაშ მე რალა ვენა უსხვიომ,
უსტარმა, უსინათლომა,
უსმელ-უტემლომა, ტიალომა,
მოლომა, უნინადრომა?!
მე სად წავიდე, სად გავექრე,
ქვეყნით სად ვსძებნო საფარი?!
ვის ჩავაბარო ყვავილინი
და წყარო ჩემდ მონაბანი?!“

ვაჟას ჰქონდა უნარი განყენებული აზრი და ზოგადი მიმართებანი ცალკეულ მოვლენებში ეჩვენებინა. ამას მოწმობს მისი სახელმწიფოკვილი სტრიქონები:

ხევი მთას ჰმონებს, მთა-ხევსა,
წყალნი-ტყეს, ტყენი-მდინარეთ,
ყავილინი-მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ,
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლ-გადამინარედ!

კვლავ პლასტიკურ ფორმებშია მოწოდებული მოვლენათა ურთიერთ შესატყვისობის ზოგადი მიოხონება, როდესაც ვაჟასთან ვკითხულობთ:

სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს მძას — ტირილი დისაო,
ტყესა — ხარ-ირბის ნაფრენი,
ზოგ დროს, ყმული მგლისაო.

ვაკაცსა ომში სიკვდილი,
ხელში — ნატეხი ხმლისაო,
ომს — ლხინი განარჯვევლთა
და დამარცხება მტრისაო.

დინამიკური და საგნობრივი სახეგება მიმარჯვევლი,
როდესაც ვაჟა ბუნების პირველადობას, თავისთავადობასა და
ეთიმყობადობას გვაჩვენებს:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს ისევჭაგეს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მოხრელია ზვავისა.

თქმა არ უნდა, რომ ამ სტრუქტურებში სიბრძნე მარხია, —
ყოფითს სიბრძნეზე უფრო ფართო და ღრმა. ამიტომ სცილდე-
ბა ვაჟას შემოქმედების ინტერპრეტაციისაღმძიმ ინტერესი
ერთფერად ფარგლებს და პოეტის ცხოვრების ხანას.

ვაჟა საკუთრივ დახატა ყოფა, — გარეგნულად მარტივი
და პრიმიტიული, მაგრამ შინაგანად რთული და ძნელად ამო-
საყვანი ადამიანების ყოფა. გასაოცრად ზუსტია და თვალსა-
ჩინო ყოფის ვაგასეული სურათები. ამ თვალსაზრისით, „შინა-
ნარსის ხელოვანიაო“ რომ იტყვიან, სწორედ ის იყო ვაჟა.
იგი იმ მივლენათა ჭეშმარიტ სილამაზეს გვიჩვენებდა, რომ-
ლებზე მორალურ ღირებულებას შეიცავდნენ. ვაჟასათვის ეთი-
კური და ესთეტიკური ერთიანობაზე გადაჯაჭვული, მაგრამ
ეს არ ნიშნავს, რომ საკუთრივ ესთეტიკური თვალსაზრისით
არ უდგებოდეს იგი საგნებსა და მივლენებს; ეთიკური კი
წარმოადგენს ვაჟას შემოქმედების პრინციპს, მაგრამ ეს მისი
ერთადერთი პრინციპი არ არის. მისთვის ესთეტიკური თვალ-
საზრისიც არსებობდა, რადგან ფაქტია, რომ ტყე ვაჟასათვის
ამ არის შეშა, ხორცის მიხედვით არ აფასებს იგი შველსა და
ირემს, ისევე როგორც მცენარეებსაც მხოლოდ გამოყენების
თვლით არ უყურებს იგი. ვაჟა გარემოს სილამაზეზე ჩერდება
და მისი სილამაზით ტკბება, რადგან ცხადია, რომ მარტო
თავისი არსებობის ფაქტით მოუხიბლაეს იგი მორცხვად თავ-
დაზრილ იას.

და თუ ხელოვნების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ის არ
არის, რომ შედგებდეს და ადამიანებს ატყვიანებდეს, თუ ხე-
ლოვნებას ისიც ევალება, რომ დაატკბოს და გაახაროს ადა-
მიანი, მაშინ უშეკელია, ვაჟას შემოქმედება ხელოვნების ყვე-
ლა ფუნქციას ასრულებს: წარმტაცისა, გასახარებისა და სა-
სიამოვნოს ფონზე აკმაყოფილებს მისი ხატოვანება სიბრძნის-
მოყვარეთა სულიერ მოთხოვნას.

ასეთია ვაჟა-ფშაველას ხელოვანება. ჩვენ არ შეგვიძლია
გამტკიცოთ, რომ ნამდვილ პოეზიაში მხოლოდ და მხოლოდ
ვაჟასეულ ხატებს უნდა ჰქონდეთ არსებობის სრული უფლება;
იმის მტკიცებაც შეუძლებელია, რომ მაინცა და მაინც ამგვარ
ხატებს უნდა მიეზივოს საყოველთაო უპირატესობა. ჩვენ ვა-
ჟას ხატოვანების დახასიათებითა და იმაზე მითითებით შე-
მოვიფარგლეთ, რაც ვაჟას ხატებს ხატოვანების სხვა სახეობა-
თაგან ანსხვავებს. არც იმის ჩვენება შეადგენდა ჩვენს ამოცა-
ნას, თუ რა ადგილი უნდა მიეკუთვნოს ვაჟას ხატოვანებს
ქართული პოეზიის განვითარების ისტორიაში: ჩვენი მიზანი
ამ ხატების ერთგვარი აღნუსხვა და ჩვენება იყო და არა მათი
ისტორიისა და ადგილის გარკვევა.

ზემთო რაც ითქვა, იქიდანაც ჩანს, რომ ვაჟას პლასტიკუ-
რი ხილისა და წარმოსახვის არაჩვეულებრივი უნარი, ჰქონდა,
მა მთავრება ქართველი ხალხის გრძნობათა და იდეალთა
სრული გათვალისწინება. მისმა შემოქმედებამ ამით მოიპოვა
შეუდარებელი მხატვრული დამაჯერებლობა და რეალურად იმ
საფეხურს მიაღწია, როდესაც კონკრეტულ სახეებშია ნაჩვენებ-
ში ამ იდეალთა განხორციელების შესაძლებლობა. ვაჟას ხა-
ტოვანების შინაარსი მოწმობს მის უწყვეტსა და ორგანულ
კავშირს ჩვენი ხალხის წარსულთან, აწმყოსთან და მომავალ-
თან. მას არ ასვენებდა ხილვა, რომ მის სამშობლოში:

დაბრუნებულა პატიმრზე,
კუხი ვეჭობა წელზედა...
ოცნება ტანჯულის ქვეყნის
ქეთთინებს მთისა წვერზედა.

ამიტომ ვაჟა-ფშაველას სიმღერა იყო მოწოდება სამშობ-
ლოსათვის ბრძოლისაკენ. მაგრამ ეს იყო გონიერი და თავშე-
კავებელი ვაჟაკატორისაკენ მოწოდება. „მხოლოდ გონების თვალ-
ით უნდა განვსტკბოვებით წყვდიადიო!“, — ამბობდა ვაჟა
ეს იმიტომაც აუცილებელიო, რომ

მკერდში არაგინ დაგვიჭრას
გამირი, დაჭრილი მხარნია.

ამისათვის ფიზიკობდა ვაჟა და ჰერდერის ოფტალმიტი-
ვით ათასი თვალის გამოისხა მან, რათა ეხილა, რომ
სიმართლეთ ჯაჭვი ჩაივცა,
აზრმა დიდგა ტახტია.

ამ აზრებით, გრძნობებით და იმედებით ცხოვრობდა ვაჟა.
ამ მართლმა, ამაღლებულმა და უჩვეულო უშუალობით გა-
მოხატულმა აზრებმა, გრძნობებმა და იმედებმა უკვდავებს
მისი პოეტური სიცოცხლე.



ვაჟა-ფშაველა და დავით კლდიაშვილი.
ქუთაისი, 1913 წლის 21 თებერვალი.



თ. უბანაშვილი. ილუსტრაცია პოემისათვის „გველის მკამელი“

რეალისტური ესთეტიკის საკითხები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

კარბეზ ღონაძე

დიდი პოეტის—ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედება რეალისტური ესთეტიკის პრინციპზეა აგებული.

რეალისტურია მისი კონცეფცია როგორც სასოფალოებრივ ცხოვრებაზე, ისტორიაზე, ისე ხელოვნებაზე და მის როლზე ცხოვრებაში.

ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე („Pro domo sua“, „ფიქრები ვეფხისტყაოსანის“ შესახებ“, პასუხი იპ. ვართავასადმი და სხვ.) დაწერილ წერილებში პოეტს ჩამოყალიბებული აქვს იმ დროისათვის მოწინავე კონცეფცია რეალისტური ესთეტიკის საკითხებზე.

ქართველ თერგდალეულთა და სამოციანეთთა იდეოლოგიაზე აღზრდილი ვაჟას რეალიზმი, პირველ რიგში, გამოიხატა იმ დიადი სოციალური ფუნქციით, რომელსაც პოეტი მწერალს, მხატვრული სიტყვის ოსტატს აკისრებდა ხალხის ცხოვრებაში. ვაჟას აზრით პოეტი უნდა იყოს „ქვეყნის საჭიროებით ღელვლილი“, ხალხისათვის „მადლის“ მოყვანი, მისი მოამბე. ერთგან პოეტი შენიშნავდა: „იქნება, ზოგმა იუცხოვოს და სთქვას: ხელოვნებას საჭიროებასთან რა კავშირი აქვს, ხელოვნება ხელოვნებისათვის უნდა იყოს. მაგრამ თუ ღრმად ჩაუკვირდებით, ყველა პოეტს ქვეყნის საჭიროება აღონებს და აწუხებს, — იგი ელტვის მადლიანს, სარგებლიანს კაცთა ერთმანეთზე დამოკიდებულებას და სარგებლიანს ცხოვრებას“¹.

ვაჟა-ფშაველასათვის ხელოვნება, ლიტერატურა, პოეტური სიტყვა უდიდესი მნიშვნელობის ორპირდასული პასრი იარაღია აღმზიანის ხელში, ის ძალაა, რომელიც ქვეყნის პროგრესსა და ხალხის ინტერესებს უნდა მოემსახუროს.

„მწერლობა ძალაა, — წერს ვაჟა, — ერთი უმოთავრესი იარაღია ვაჟა ვაჟის წინსვლისა, მისი გონებისა და ცხოვრებისა გავუკეთებისა. თუ სხვანი მხგენ, სოფსენ, ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ, მუერნობენ, ერს ამდიდრებენ, მწერლობა კიდევ

იმას უჩვენებს, თუ ეს სიმდიდრე რაზე და როგორ უნდა იქმნას მოხმარებული, რათა ცხოვრება უფრო სარგებლიანი და ნაყოფიერი შეიქმნას“².

ვაჟა-ფშაველასათვის მწვერალი უპირველესად უნდა იყოს მოღვაწე, „მადლის“, სიკეთის მოყვანი, კეთილმოქმედი.

„სიკეთის სიმრავლე“, ხალხისათვის სასარგებლო, კეთილი საქმის, „მადლის“ ქმნა, — აი ვაჟას მიზანსწრაფვა, მისი დროშა, რასაც პოეტის ჩანგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ხმადაუღებლად ემსახურებოდა.

ვაჟას შთაგონებულ პოეტურ მუხას სურს, რომ იგი „მადლს სთვლიდეს ათასობითა“, ხოლო დავალებული, მადლიერი ხალხი კი ვაკაყოფილებით ამბობდეს მასზე: „ჭირიმე შენის პანგისა“.

რეალიზმის მოსანგრეობის მანიშნებელია აგრეთვე ვაჟას კონცეფცია ხელოვნების, ლიტერატურის ტენდენციურობაზე. იგი წერდა, რომ ტენდენცია „სხვადასხვა ჯურისაა“ და არა ერთსხვანაირი, როგორც ეს ხელოვნების საკითხებში გაუწაფავ კაცს შეიძლება წარმოესახოს. ვაჟა მკაფიოდ განასხვავებდა, ერთის მხრით, გარედან უხეშად, ტლანქად მიყვრებულ ტენდენციას და, მეორეს მხრით, ე. წ. „ბუნებრივ“ ტენდენციას, რომელიც ორგანულად შეერწყმის, შეექსოვება მხატვრულ ნაწარმოებს.

პოეტის აზრით, ხელოვნება, ლიტერატურა, რომელიც ცხოვრების პროგრესსა და ხალხის ინტერესებს ემსახურება, უნდა იყოს ტენდენციური, ჯანსაღი ტენდენციის მატარებელი. ამ საკავანზე ვაჟა შენიშნავდა: — „ტყუილად ვინმე იტყვის იმას, რომ ვე ტენდენციური პოეზიის საქმეა და არა ნამდვილი პოეზიისაო, მაგრამ ვე უსაფუძვლო თქმა იქნება, რადგანაც ყველა პოეტური ნაწარმოები ასე თუ ისე ტენდენციურია, მხოლოდ თვით ტენდენცია სხვადასხვა ჯურისაა და ამიტომ

¹ ვაჟა-ფშაველა, რამე-რუმე, ქურო. „ჩვენი თოხა“, 1940 წ. № 8.

² ვაჟა-ფშაველა, რამე-რუმე, ქურო. „ჩვენი თოხა“, 1940 წ. № 8.



ადვილად ერთნაირი ენევენებოდა გამოუცდელს მკითხველს ტენდენციადა და მეორე კი არა...³

აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველა მატერიალისტური თვალსაზრისით განიხილავს რეალისტური ესთეტიკის ერთ-ერთ ძირითად საკითხს — ფორმის და შინაარსის ურთიერთობას. პოეტის საესთეტი სწორი განსაზღვრებით, ფორმა-შინაარსის ურთიერთობაში დომინირება შინაარსს, იდეურს მხარე უკანასკნელი კი ფორმის განმსაზღვრელია: ნაწარმოების შინაარსმა — თავად უნდა მოიპოვოს მისი შესატყვისი, ადეკვატური ფორმა: — „წინ და წინავე განსაზღვრა ფორმისა ნამდვილი პოეტისთვის ყოვლად შეუძლებელია, ფორმა უნდა მოაკვს თვით ნაფრთხობს და ნაწარმებს. ნამდვილად ავტორმა საგნის და ნაწარმოებს თან მოაკვება ფორმა. როცა კი მწერალი კალამს ხელს მოჰკიდებს და ფორმის, წინაწარ პლანის შედგენას ძალადობს, ძალდატანების თვით შეუდგება, ნაწარმოების სისუსტის მომასწავებელია...“⁴

ამ სტრუქტურულ გვესმის ხმა არა მარტო XIX საუკუნის, არამედ ჩვენს დროის რეალიზმისაც.

ვაჟს შემქმნელობაში რეალიზმის მანიშნებელია უაღრესად მაღალეული წარმოდგენა ხელოვნებაზე, მსატრული სიტყვის ძალაზე. მისი უპირატესი მხარე ისაა, რომ იგი ერთდროულად მოქმედებს როგორც ვარეზაზე, ისე გრძნობაზე, ორბილესული ხმალი, რომელიც გაუნდსა ქმედებისა და წარმართველი როლს ასრულებს ხალხის ცხოვრებაში. იმავდროულად მას აქვს კიდევ ერთი საკეიფიკური მხარე — ტიპიზაციის, განზოგადების უნარი, შესწევს ძალა მოკვცეს „მრავლობითობა“ ერთობლიობაში, ანუ მრავალთა ამსახველი ერთი განზოგადობელი, ტიპიური სახე.

ვაჟს ბრწყინვალედ ესმოდა ტიპების დიდი შემეცნებით და გამოსახელობითი როლი და მოუყოლებდა მწერლებს — ტიპები, ტიპური სურათსახეები ეხატათ და არა ინდივიდები, კერძოლი მომენტები, რაც ასე ხშირია ნატურალისტური პროზის ლიტერატურულ პრაქტიკაში.

ვაჟა-ფშაველას აზრით ტიპები ორგვარნი არიან: დადებითი, რომელიც, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საკურონია ცხოვრების გასაკუთესებლად“, და უარყოფითი, „რომელიც უარესინია“⁵, გამოუსადეგარნი. ტიპები, სულ ერთია, დადებითია ისინი თუ უარყოფითნი, თავთავიანთ როლს თამაშობენ ლიტერატურაში, მაგრამ რეალისტი მწერლისთვის, რომელიც ლამობს, რომ მისი კალამი მაქსიმალურად სასარგებლო იყოს ხალხისათვის, ცხადია, აღმზრდელი ბიტი თვალსაზრისით, — „ცხოვრების გასაკუთესებლად“ უფრო დედაფსელად და უმეტესი სარგებლობის მომტანი იქნება დადებითი ტიპი.

ვიხიდან ამ იდეალურ, მისაბამ სახე-სასიათებს მეტი დიდაქტიური როლი და სოციალური ფუნქცია აქისია, ვაჟს უპირატესად მათ მისარავედა. პოეტს შეინიშნავდა: „პოეტი სურათებით გვესაუბრება, ტიპებს ქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბამებს, ისეთ ტიპებს, რომელს მსჯავსინე უნდა იყვნენ პოეტს ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალში ამოღებული ნაკლი...“⁶

რეალისტური ესთეტიკის მანიშნებელია აგრეთვე პოეტის

³ ვაჟა-ფშაველა, რამე-რუმე, ეჟურ. „ჩვენი თაობა“, 1940 წ. № 8.

⁴ ვაჟა-ფშაველა, ნიკიერი მწერალი, ვაჟ. „სასახლო ვაზეთი“, 1910 წ. № 171.

⁵ ვაჟა-ფშაველა, რამე-რუმე, ეჟურ. „ჩვენი თაობა“, 1940 წ. № 8.

⁶ იქვე.

შემოქმედებაში ფოლკლორული მასალის, ხალხური სიტყვარების ნაკადი. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ფოლკლორით დაინტერესება რომანტიზმის მონაპოვარია, ლიტერატურული ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე აპელირება ფოლკლორისადმი, ხალხური საუწყისადმი, რეალიზმის მონაპოვარობის მანიშნებელია.

ეს გარემოება კი არც თუ საუგუა ავტორის შემოქმედებითი ძალისხმობის რეპუტაციისათვის. ამ შემთხვევაში მთავარია არა ის, სათვლად იყენებს თუ არა მწერალი ფოლკლორულ მასალას, არამედ ის, როგორ გარდაქმნის, რა რეაგ განასხეულებს მას. „ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრანია და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდქმნა, საკუთარ სულიერ ქურთი არ გადასწო, არ გადაადგუდა, მასლიდან ახალი არ შექმნა, და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გული ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ აიპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“⁷.

ამის ციხებალი ილუსტრაციაა პოეტის მთელი მსატრული მექანიზმისა, სადაც უხვად მოიპოვება ისტორიული, ემპირიული სინამდვილიდან აღქმული მასალა, რომელიც დიდი შემოქმედის მიერ იმდენად ინტენსიურადაა გადამუშავებული, რომ ხშირად გამოყენებულ მასალას ვერც კი ვცნობთ.

რეალიზმთან ვაჟა-ფშაველას აკავშირებს, აგრეთვე, მისი შემოქმედების ღრმად ეროვნული ნიადაგი. მიუხედავად იმისა, რომ გენიალური ფშაველი პოეტის მუხას, ბარათაშვილისა-მებრ, მკავილურ გამოკვეთილი ზოგადსაკაცობრიო ინტერესებას, ფილოსოფიური ხასიათის პრობლემების წრე ირთავდა, იგი მარად მყარ, ეროვნული ინტერესების ნიადაგზე იდგა.

— „ყველა გენიოსი ნაციონალურია ნიადაგმა აღზარდა, აღმოაქვს და განადგობა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად“⁸.

ცოტა ქვეყნის პოეტს შეინიშნავს, რომ ეს გენიოსები მსოფლიო რეზონანსს „აღქმებს არა თავიანთი ნაციონალური ნიშნითვისებებისა და მათთან ერთად ზემოქმედების ძალისა და სასიათის დაკარგვის გზით, არამედ მათი საშუალებით“⁹.

დაბოლოს, რეალისტური ესთეტიკის თვალსაზრისით, გენის თქმულია აგრეთვე ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული სტილი, მისი პოეტური ენა. უკანასკნელი, როგორც ენობლია, უხვად აღბეჭდელი ფშავეური კილო-თქმებით.

ცნობილია, რომ ეს ფშავერი კილო, უმთავრესად, მოძალეებელია არა ვაჟს ლირიკასა და პროზაში, არამედ სწორედ ეპოსში, სადაც უამრავი თვისი გამართლებაც მოეპოვება: პოეტს თავის ეპიკურ შემოქმედებაში წარმოსახული ჰყავს გარკვეული პერიოდის ადამიანები, უპირატესად ფშაველები, ავტორი უფლებამოსილი იყო და კიდევ შემოიტანა „ისტორიული“ თუ „ადგილობრივი“ კოლორიტის გამასამაფრებლად ეს ფშავერი კილო.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ვაჟა-ფშაველას რეალისტური აზროვნება ქართველ თერგდალეულთა პრინციპებთანაა დაამომდინარე რეალისტური ესთეტიკის მოთხოვნებისა კვალადამა დაშუაგებული, თუმცა აქა-იქ ე. წ. გმირული და ისტორიული რომანტიზმის ელფერეც უხვად გადააქრავს.

⁷ ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ. ი. ვართავაისი, ტ. III, გვ. 541.

⁸ ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, ვაჟ. „ჩვენი თაობა“, 1905 წ. № 172.

⁹ ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, ვაჟ. „ჩვენი თაობა“, 1905 წ. № 172.

ეკიზოდები ვაჟა-ფშაველას ცხოვრებიდან

(ნათესავთა მოგონებები)

გალინა აგლაძე



ვაჟა-ფშაველა. 1890 წ.

მღეთის ქუჩის № 9 სახლის კედელზე მიკრული მემორიალური დაფა იუწყება, რომ ამ სახლში ცხოვრობდა დიდი მწერალი ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა, როცა ქალაქში ჩამოდიოდა, თავის ძმის სანდრო რაზიაშვილის ზემოლანიშნულ ბინაში ჩერდებოდა. სოლო როგორც კი თბილისში სიცხეები დაიწყებოდა, სოფელ ჩარგალს მიაშურებდა, რადგან სიცხეებს ვერ უძლებდა.

ლუკა (ვაჟა) რაზიაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის

სტუდენტი იყო, დედ-მამა რომ გარდაეცვალა. ლუკა იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა და ოჯახს დაბრუნებოდა.

ვაჟას უფროსი ძმა გიორგი ახალგაზრდა გარდაიცვალა. მას პეტერბურგში ჰქონდა დამთავრებული იურიდიული ფაკულტეტი. ვაჟას მომდევნო ნიკო (ბაჩანა), როგორც თვითონ უწოდა თავის თავს ტანმორჩილობის გამო, მალაროსკარში მსახურობდა. მისი მომდევნო თედო გორში მასწავლებლობდა,

ხოლო იქვე, გორთან ახლო, ხელთუბანში ცხოვრობდა, ცოლადაც ხელთუბნელი ქალი შეირთო. ძმებში ყველაზე შეძლებულად თადო ითვლებოდა, ხელთუბანში თედომ ხილის ისეთი ბაღი გააშენა, რომ ბაღის შემოსავლით შეძლებულად ცხოვრობდა.

ყველაზე უმცროსი ძმა სანდრო საშუალო სასწავლებლის მოსწავლე იყო, დედ-მამა რომ გარდაეცვალოთ. ძმებმა უმცროსი ძმა შეიბრაღეს და დედ-მამის სიკვდილი არ გაავებინეს. სწავლას არ მოაგდინეს. დაობლებულ სანდროს ძმები ფულს უზაინდინენ, მურწუნელობას არ აკლებდნენ.

სანდრომ სასწავლებელი რომ დაამთავრა, სამსახურში შევიდა, თბილისში დამკვიდრდა, ოჯახს მოეკიდა, ცოლად შეირთო ბაბო პეტრიაშვილის ასული, რომელიც ახლოს იცნობდა მასლებს, მათ შორის, დიდი პოეტს ვაჟა-ფშაველას. ეს ეპიზოდები ვაჟას ცხოვრებიდან მინამბეს ბაბომ და დედაჩემმა, რომელიც ბაბოს ბიძაშვილი იყო.

ჩასთეს ვაჟა-ფშაველას ლექსსა კვითხულობდი ხმაბაღლა, რომ დედაჩემმა მოიგონა:

— ჩვენ ბაბოსთან ვიყავით სტუმრად, სანდროს უფროსი ძმა ლუკა (ვაჟა) რომ ჩამოვიდა სოფლიდან.

— აქ რომ მოვდიოდი, გიმნაზიასთან, ქუჩაში, ბავშვები შემომეხებინ და გახარებული შემომმახოლდნენ: ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა, ვაჟა-ფშაველა ჩამოსულაო, თითქო დიდი ვინმე ვყოფილიყავი. ვინ ჩამოვიდა და მთიდან ერთი ცალთვალა ვაჟა ჩამოვიდა, — თქვა თავის თავზე პოეტმა.

სინამდვილეში ვაჟა ორივე თვალით კარგად ხედავდა, მხოლოდ ოპერაციის შედეგად, მარჯვენა თვალის ქუთუთო დაწული ჰქონდა.

— რაზიკანი ხშირად აკეთებდნენ ხინკალს. ჩვენ იმათგან ვიწყალეთ. მანამდე პეტრიაშვილების ოჯახებში ხინკალი არ დამზადებულაო, — ამბობდა დედაჩემი, — ერთხელ სანდრომ და ლუკამ „იარმუკიანი“ ორი გირვანჭა კარგი. მსუქანი ცხვრის ხორცი მოიტანეს და ხინკალი გააკეთეს (სწრაფად აკეთებდნენ).

ცხელი, წვნიანი ხინკალი რომ გიახვლით, ვაჟამ გვიამბო, თუ რა ყოფით ეყინათ სახინკლე ხორცი.

„იარმუკაში“ ერთი ყასაბი იყო, მეტსახელად აქოთებულს ეძახდნენ. იმას მუდამ საუკეთესო ხორცი ჰქონდა, მაგრამ მყიდველებს ამწარებდა. ლუკა და სანდრო ხორცის საყიდად რომ მისულიყვნენ, მყიდველები ყასაბს ეყაყანებოდნენ. ერთი რაჭველი მზარეული ხალხს შესჩიოდა:

— სასაიდლოსთვის ყოველდღე ერთი ფუთი ხორცი მიმატეს აქედან. არასოდეს არ მალირსა, რაცა ვიხსოვე. თავის ქეფზე რასაც უნდა, იმას იძლევა და მუდამ ასე მასივებს გულზეო.

ვაჟამ ყასაბს რბილი ხორცი სთხოვა. იმან ძვლიანი აუწონა. — ეს მთიული კაცი გაფიცხდა თქვა ლუკამ სანდროზე, — როგორ გაიბავლე (თავს გახვედი), ხალხს რისთვის ამწარებ? უფაობ ხომ არასა გთხოვთ? დასჭყეოდა ყასაბს.

— თუ შენი ჯავრი არ ამოვიყარე, ისე არ გაიშვებო, — დაუძახა ბოლშამორეულმა რაჭველმა. ხანჯალი იშიშვლა, ყასაბს შეუხტა და იქიდან დაიფრინა, თუმცა ყასაბს ნაჯახი გვერდით ედო და ქარქაშიდან ამოღებული სათულიც ხელში ეჭირა.

მზარეულმა საქონლის ხორცი მარჯვეთ დამეხა. — აბა მითხარით, ვის რა უნდაო.

ვინც რა ნაჭერს სთხოვდა, უწონიდა. ფულს კი უკარავი



ჩარგლის სახლ მუზეუმი



ვაჟა-ფშაველის საძუძუო ოთახი ჩარგალში

ვაჟას სახლი ჩარგალში





ვაჟა თავის ცოლ-შვილში

ახლა აღარას ვერჩიო. როცა გამყიდვამა თავისი ადგილი დავიკავე, უღაპარაკოდ მიუჭრა თურმე ისეთი სახინკლე, როგორც ულკამ და სანდრომ მოსთხოვეს.

ერთხელ სანდრომ ვაჟას სახუმარო ლექსი დაუწერა. ვაჟამაც სანდროს საპასუხო სახუმარო ლექსი მიუძღვნა.

მართალია, ეს ბიჭი ძალიან გამოგვადგა, — ამბობდა ვაჟა სანდროზე, — მაგრამ გული მტივია, რომ სასმასხურის გამომწერის დრო არა აქვს. სანდრო ჩემზე ნიჭიერიყო. იმასაც სწუხდა ვაჟა, რომ სანდრო უშვილო იყო, — იქნება, სანდროს ნიჭი შვილს გამოჰყოლოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ სანდროს დილიჯანში (სომხეთში) უფრო დიდ თანამდებობას და მეტ ზედფასს სთავაზობდნენ, ვიდრე თბილისში ჰქონდა, მან უარი თქვა. რადგან მის ნათესავებს — ძმებსა და ძმისწულებს თბილისში ბინა აღარ ექნებოდათ. მათ მხოლოდ სანდროსთან ჰქონდათ თბილისში მისასვლელი ადგილი.

თბილისში ყოფნისას ვაჟას სამუშაოდ (ის დამე წერდა) და დასაძინებლად სანდროს ბინის პატარა დერეფანში ჰქონდა აჩემებელი ადგილი, თუმცა დერეფნის გვერდით დიდი ოთახიც და ტახტებიც მუდამ თავისუფალი იყო.

ვაჟას იმ დერეფანში ყოფნა იმიტომ ესაბოფენებოდა, რომ მისი ფანჯარიდან ახლოს მოსჩანდა მოაწმინდა.

დამე მუშაობის დროს და დასაძინებლად ტახტზე დაწოლილს, ბირი ფანჯარისაკენ ჰქონდა და მოაწმინდას გასცქეროდა. იგი საყვარელ ფშავეთის მთებს ავონებდა.

სანდრო რაზიკაშვილის სახლის კარი არა მარტო საკუთარი ძმებისა და ძმისწულებისათვის იყო ღია, არამედ მისი ცოლის მრავალრიცხოვანი ნათესავებისთვისაც, (თვითონ ბაბოს და-ძმანი ცხრანი იყვნენ). ერთხანს მათთან ბაბოს დისწული, ექვსი წლის ბიჭი არჩილ ჭრულამვილი ცხოვრობდა. ბავშვს სასწავლებელში შესასვლელად აშაადებდნენ. ამ ბავშვის მასწავლებელი სემინარიის შენობაში ცხოვრობდა (იქ ახლა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტია).

მთელ ვაკეზე სემინარიამდე არცერთი სახლი არ იდგა, სულ ყანები იყო დათესილი. მასწავლებლიდან წამოსული ბავშვი გზათ, ყანებში ბალახს მიგლეკ-მოგლეკად, სახლში მისვლისთანავე აივანზე გავიდოდა, იქ გაშვებულ ცხვარს ადგილს დაუსუფთავებდა და ახლად მოტანილ ბალახს დაუყრიდა.

ვაჟას ეს ბავშვი ძალიან მოსწონდა. — ეს ბიჭი კარგი მეოჯახე დადგებოდა და წასახალისებლად ეტყოდა ხოლმე: — რაკი ასეთი ყოჩაღი ბიჭი სარ, ჩემს ჩაბაყაყას მოვათხოვებო (ჩაბაყაყა ვაჟას ვოვონას ერქვა მეტსახელად). პატარა არჩილს უხაროდა ვაჟას შექება და მეტ გულმოდგინეობას იჩენდა როგორც სწავლაში, ისე ცხვრის მოვლა-პატრონობაში.

ვაჟამ რომ „შვილს ნუკრის ნაამბობი“ დაწერა, იმ ხანად ილია ჭავჭავაძე ქართული ბანკის დირექტორად მუშაობდა. ილიას ბანკში მოუტანეს ვაჟა ფშაველას „შვილის ნუკრის ნაამბობი“ და ბაჩანას „მუხა“. ილიას ძმები რაზიკაშვილების ნაწერები რომ წაუკითხავს, უოქვამს: ბატონებო, მე კალამს ვდებ. და ყურზე გაკეთებული კალამი ჩამოულია და მაგიდაზე დაუდგეს. — საქართველოს დაებადა მზე და მთვარეო. (ვაჟა მზე და ბაჩანა მთვარე).

ერთ ზაფხულს ვაჟამ მოიწადინა ძმის და რძლის ჩარგალში წაყვანა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგან რევოლუციამდე დაწესებულების მოსამსახურენი სამი დღის მეტი შეებულეობით ვერ სარგებლობდნენ. მხოლოდ ჯვრის წერის შემთხვევაში აძლევდნენ მიხელეს ორი კვირის დასვენე-

დებდა. ამის დანახვაზე შორიახლო მდგარმა ყასაბმა გაკვირვებით შესძახა — ვა, დახლიდრათაც დგება!

ხალს სიცილი აუტყდა. ვაჟა რომ ამ ამბავს ჰყვებოდა, ყასაბის წამოძახებულ თვითონაც გულით იცინოდა.

რაჭველმა თავისთვისაც აიწონა ერთი ფუთი ხორცი, ფული გადაიხსნა და ყასაბს დაუძახა: — აქოთებულო, მოდი,

ვაჟა-ფშაველა თავის შვილ ვახტანგთან. გადაღებულია 1914 წელს ჩარგალში თავისი სახლის წინ



ბას. სანდროსაც ეწადა ჩარგალში წასვლა, სადაც ბავშვობის აქეთ აღარა ყოფილიყო, მაგრამ სამი დღის შეგუებუბა, ჩარგალში მისვლამდე, გზაშივე გათავებოდა. მამინ ვაჟამ მიიღო სომეხი, რომ სანდროს მთაში ერთი თვით დარჩენა შესძლებოდა, და მთაში წასასვლელად ააგულიანა.

თბილისიდან მცხეთამდე მატარებლით იმგზავრეს. მცხეთიდან დუშეთამდე ეტლით, დუშეთში მათ დახვებთ თედო, რომელსაც ვაჟამ შეატყობინა სოფელში მიემგზავრებოთ. თედომ თავისი ქალიშვილი გულქანიც წამოიყვანა, რადგან ქალიშვილმა მოინდომა მამის სამშობლოს ნახვა. (თედოს ქალიშვილმა გულქანმა გორის შედიკლასიანი გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა, ხოლო მერვე კლასი თბილისის გიმნაზიაში დაასრულა. თბილისში ყოფნისას, რა თქმა უნდა, თავისი ბიძის, სანდროს რაზიკაშვილის ბინაში ცხოვრობდა).

დუშეთიდან ჩარგალში წასასვლელად ცხენებზე შესხდნენ. ვაჟამ თბილისიდანვე შეუთვალა ოჯახს, ჩარგალიდან ყველა-სათვის ცხენები წამოიყვანათ და დუშეთში დაგაგზავდნეთო. ვაჟამ თედო, ბაბო და გულქანი ჩარგალში გაისტუმრა. თვითონ კი სანდროსთან ერთად თიანეთისაკენ გაემგზავრა. თიანეთში ვაჟამ ექიმის ცნობა დააწერინა, თითქოს სანდრო ღუშეთში ცხენიდან გადმოვარდნილიყოს და ფეხი მოტეჭოს. ეს ცნობა თბილისს დღეებშით გაგზავნეს და უკვე დამშვიდებულინ ჩარგალისაკენ გაუდგნენ გზას.

ჩარგალში მისვლისთანავე სანდრომ დედ-მამის სულის მოსახსენებლად ცხვარი იყიდა, და ძმები საფლავეზე გაევიდნენ (ვაჟას ოჯახს ცხვარი არა ჰყავდა, ძროხები ჰყავდათ).

ორი კვირის ჩასული იქნებოდნენ ჩარგალში... ერთ დღილას, ოჯახს ჯერ კიდევ ეძინა, რომ უზოში ძაღლები აყვიდნენ. დეპემა მოიტანეს. ვაჟას შირაქში იწვევდნენ.

ვაჟამ წინარ ადგილებზე მცხოვრები ფშაველები შირაქში ჩაასახლა. იქ, მის მიერ დასახლებულ ფშაველებს თუშებთან საძოვრების გამო შეტაკება მისვლოდათ და ვაჟას შირაქში იბარებდნენ მათ გასარიგებლად.

ვაჟას მეტად ეწყინა ეს უსიამოვნო ამბავი. მთელი ოჯახი აიშალა. ისაუზმეს და ჩაი დალიეს თუ არა, ვაჟა ცხენზე შეჯდა და შირაქისაკენ გაემურა. ხოლო წასვლის წინ ძმებმა გადაწყვიტეს ერთმანეთს კახეთში, სანდროს სიმაჰრის ოჯახში, შესვროდნენ. ისინი ერთსა და იმავე დღეს უნდა მისულიყვნენ სოფ. ბაჟურციხეში.

ვაჟას შირაქში წასვლის შემდეგ, სანდრო და მისი მეუღლე, ორი კვირა კიდევ დარჩნენ ჩარგალში, და უკვე კახეთში წასვლის დღეე მოახლოვდა.

სანდრომ და ბაბომ მოითათბირეს კახეთში გამგზავრებამდე თბილისს ჩასულიყვნენ, რათა ოჯახისათვისაც მიეხედათ და კახეთშიც ხელცარიელი არ წასულიყვნენ, თბილისიდან რაიმე ძველი წაღოთ.

სანდროს სიმაჰრის ილიკო პეტრიაშვილის ოჯახს თბილისელი სტუმრები ვერაფრით გააკვირვებდნენ. ილიკო შეძლებით იმ სოფლის პირველ კაცად ითვლებოდა. მარანში ერთი დღიი აავსე ქვევრი მარტო საწურად გასაცემად ჰქონდა გადადებული, ამ ქვევრიდან ჩაფებით არივებდა ტკბილს და ღვინოს. სამივე მარანში ორსართულიანი თავადური სახლი ჰქონდა წამოკრძეული, მაგრამ თბილისიდან მოტანილი თევზი მანც სიამოვნებდათ, და ცოლ-ქმარმა კახეთში თევზეული წაიღო. შირაქში ვაჟამ მორაიგა თუშები და ფშაველები და, დათქმულ დღეს შირაქიდან კახეთს, სანდროს სიმაჰრის ოჯახში მივიდა. სტუმარი ოჯახის რძალმა მანანამ გამოხსდა. მა-

ნანამ ვაჟა თავის ქმართან რაღაც სადავო საქმეზე მისულ გულხად მიიღო — (ილიკოს ვაჟი დათა — იმ სოფლის მამასხლისი იყო) და უკმხად მხვდა, არც სახლში შეიპატავა. როგორ გაუხარდა ვაჟას, როცა უზოში პატარა არჩილის (იმ არჩილის, რომელსაც ხუმრობით თავის ჩაბაყაყას პპირდებოდა ცოლად) უფროსი ძმა კოტე ჭრელიშვილი დანახა. კოტეც გულმხურავედ მიეგება ვაჟას, ხოლო როცა სახლიდან გამოსულმა, ბაბოს დამანში ყველაზე უმცროსმა დამ, უზოში ცხენიდან ჩამოხტარი ძვირფასი სტუმარი დანახა, სიხარულით ისეთი წივიკა დასტება, მთელი სახლი დიდაპატარიანად ფეხზე დააყენა.

ოჯახის უფროსი ილიკო იმ დღევე წვეულების სამზადისს შეუდგა. — თავადებს ნუ დაპატავებ, ყოყლორინა ხალხიაო, — სისხოვა ვაჟამ. საერთოდ, ილიკო პეტრიაშვილი თავადებთან კარვად მიღებული კაცი იყო, და მის სუფრასაც ხშირად უსხდნენ თავადები. იმჯერად ვაჟას დაუჯერა და მისი პატივისცემით ისეთი ხალხი შეარჩია, რომ მათში არცერთი თავადი არ ურია. სტუმრებად მიწვეული იყო სოფლის მოწინავე საზოგადოება, სულ ოც კაცამდე.

ვაჟას ღვიწოში ჭირვეულობა არ ახასიათებდა. არც ბევრი ღვინის სმა უყვარდა. ბუნებით სამართლიანი და უწყინარი კაცი იყო. არა მარტო ვაჟას, ძმებს რაზიკაშვილებს თვინიერი ხსისითი ჰქონდათ. ცოტა ბაჩანა იყო ამაყი და ფიცხი. ვაჟა

ვაჟა-ფშაველა თავის მეუღლე თამართან,
უკან დღას ვაჟას ნათესავი შვილით





ვაკა-ფშაველა ჩარგალში (1914)

და სანდრო ერთიმეორეს ხუმრობით დასცინოდნენ ხოლმე, ხოლო ბაჩანასთან შესუმრებას ერიდებოდნენ, რადგან დაცინვას ხუმრობითაც ვერ იტანდა. როცა კი ბაჩანას ვაჟა ხუმრობით დასცინებდა ხოლმე, იმდენს ეცდებოდა, სანამ ვაჭოცხებულ ბაჩანას არ გააცინებდა.

ვაჟას სწყენდა სანდროს და ბაბოს ბაკურციხეში მოუსვ-

ლულობა. იფიქრა, ალბათ, კახეთში ვედარ ჩამოვიდნენ, და მთორე დღითივე ჩარგალს გაემგზავრა.

სანდროს და ბაბოს მხოლოდ ერთი დღით შეაგვიანდათ თბილისში და დანიშნული დღისთვის ბაკურციხეში ვერ მივიდნენ, ხოლო მთორე დღეს, საღამოს, როცა ჩამოვიდნენ, ძალიან ეწყინათ, რომ ვაჟა იქ აღარ დაესვდათ. ვაჟა იმათი ჩამოსვლის დღეს დღითი წავიდა ჩარგალში.

რამდენიმე დღის მოსული იყვნენ ბაბო და სანდრო კახეთში, რომ თბილისიდან დეპეშა მიიღეს, სასწრაფოთ წამოდიოთ, სერიოზული ამბავითა. საუბე იმაში იყო, რომ სანდრომ ჩარგალში წასვლამდე თავისი საიდუმლოება შეგუებულების გაგრძელების შესახებ, ერთ თავის თანამშრომელს გაანდო. როგორც ეტყობა, თანამშრომელმა სანდროს გასცა, რადგან ფოსტის უფროსმა სასველად სანდროს ყარსში გადააყვანა დაუპირა. სანდროს ქეისლი — ბაბოს უფროსი დის ქმარი დევანოში ნიკო ნათიძე (მწერალი მელანია — „ბნელის“ ავტორი) მივიდა ფოსტაში და ფოსტის უფროსთან უსიამოვნო ლაპარაკი მოუვიდა სანდროს ყარსში გადაყვანის გამო.

— სანდრომ მოგვატყუა, აქედან რომ მიდიოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა სიმულაციაო, — ცხარობდა უფროსი. ნიკო ნათიძე მეგრეს ეცადა და დროებით შეაჩერებინა ქვისლის დასჯა, თვითონ სანდროს კი სასწრაფოდ თბილისში ჩამოსვლა ურჩია.

ბაკურციხეში ნარსულიანთ ტატეს ცოლი ექიმბაშობდა. დეპეშის მიღებისთანავე ეს ექიმბაში დედაკაცი დაიბარეს იმ განზრახვით, რომ მას რაიმე წამალი მიეცა ფეხის გასაღიზია-ნებლად. მართლაც, ექიმბაშმა ისეთი ბალახები დაადო ფეხზე, რომ სანდროს სამ დღეში ფეხი ბალახივად და დაუსივდა კიდევ. ჭალაქს რომ წამოვიდოდნენ, ტატეს ცოლმა ფეხის დასაამებელი ბალახებიც გამოატანა. დილიჯანში რომ ისდნენ და ჭალაქისაკენ მოემგზავრებოდნენ, სანდროს ამ ბალახებით აღძრული ტკივილები ამწარებდა, მაგრამ თან უხაროდა, რომ ფეხი ნამდვილად ტკიოდა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე სამსახურში შეთავალეს, რომ ფეხის მოტეხილობის გამო სანდრო სამსახურში ვერ გამოცხადდებოდა. დღიდან კახეთიდან დაბრუნებისა, შემომოწმებულ კომისიას ელოდნენ, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, კომისია კი არ ჩანდა... ფეხიც ნელ-ნელა რჩებოდა, სანდროს ლოგინში წოლა მიბეზრდა ვერ ისვენებდა და ადგომა მიონდობა.

— რაღა მაინცა და მაინც დღეს მოვლენო, ფიქრობდა სანდრო. ადგა ოთახში სიარული დაიწყო. მაგრამ სწორედ იმ დღეს ეტლი მოგრიალდა და სანდროს სახლის კართან გაჩერდა. ფანჯრიდან დაინახეს ეტლიდან ფორმის ტანსაცმელში სამი კაცი გადმოვიდა. ერთი მათგანი ექიმი ჩიქოვანი იყო.

ბაბომ შემოსასვლელი კარი გადაკეტა და სანდროს ლოგინში ჩაწოლა ურჩია. სანდრომ კი ჩაწოლის მაგივრად, ტანსაცმელის სწორება დაიწყო, რომ სტუმრები ფეხზე მიედო. ამა-სობაში სტუმრები კიბეებზე ამოვიდნენ და კარიც მოაჩრახუნეს. ბაბომ სანდროს ტანსაცმელი ძალათ გააძრო და აიძულა ლოგინში დაწოლილიყო. მხოლოდ ამის შემდეგ გააღო კარი და კომისიის წევრები ოთახში შემოუსვა.

ექიმმა ავადმყოფი გასინჯა. მორჩენაზე მისული ფეხი, სიარულის გამო, ისევ გასივებულიყო და დაწოთლებულიყო: ექიმს ევცებ არ შეპარვია მის მიტეხილობაში, და სანდროს ურჩია ჯერ სამუშაოდ წუ გამოცხადდები, ნელ-ნელა დაიწყე სახლში სიარული, და ორი კვირის დასვენება მისცა, ამრი-



თ. უუზნეიშვილი

ვაჟა-ფშაველას „აღღრღნეული ქვეყნის“ ილუსტრაცია



ვაჟა-ფშაველა და ალ. ყაზბეგი

გად ვაჟას ხერხმა გასჭრა, — მისი წყალობით სანდრომ სამი დღის მაგიერად, ორი თვე დაისვენა.

არაერთხელ იგონებდენ ძმები ამ ამბავს და ეცინებოდათ ამ ოინზე, — ის ორი თვის დასვენება შენ მაჩუქეო, — ვუბნებოდა სანდრო ვაჟას.

1915 წელს, იანვარში, როცა აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, ქართველმა მოღვაწეებმა ვაჟა მთიდან დაიბარეს, რომ ისიც შესულიყო დამკრძალავ კომისიაში, რომ მასაც მიეღო მონაწილეობა აკაკის დაკრძალვაში. ვაჟას ჩამოსვლა დაავიანდა, დეპეშა დეპეშაზე იგზავნებოდა ჩარგალში, მაგრამ ვაჟა მაინც არ ჩამოდიოდა. აქ-იქ ისმოდა ხმები: ალბათ, ვაჟა ვერ იფიქვებს იმ წყენას, რომელიც აკაკიმ მიაყენა თავისი ლექსით („ენას გიწუნებ, ფშაველო“) და არ სურს აკაკის დაკრძალვაზე დასწრებაო. სინამდვილეში კი ვაჟა ვერ ჩამოვიდა დაკრძალვაზე იმიტომ, რომ ფილტვების ანთებით იყო ავად და ჩამოსვლა არ შეეძლო.

როგორც კი მორჩა და ფეხზე დადგომა შესძლო, ვაჟამ მანვე მიამურა თბილისს, რომ დაემტკიცებინა ზოგიერთები-სათვის, რომ არავითარი წყენა აკაკისაგან არ ახსოვდა.

ვაჟა ჩამოვიდა გამხდარი და გაყვითლებული. — არც ახლა დამიჯერებენ? — შესწივლა თავისიანებს. როცა ნაავადმყოფარი ვაჟა თბილისში ჩამოვიდა, მას სახაზინო (ოპერის) თეატრში საღამო გაუმართეს. საღამოზე დასწრების მსურველი ბევრი იყო, მაგრამ ბილეთები ყველას არ შეხვდა. საღამოსათვის ვაჟას მთელი ნათესაობა დაესწრო, არა მარტო ვაჟასი და

სანდროსი, ბაბოს მრავალრიცხოვანი ნათესავებიც, რომლებიც კახეთიდან და სხვა კუთხეებიდან ჩამოვიდნენ.

— მართალია, ვაჟა ავადმყოფობის შემდეგ გარეგნულად გამოცვლილი და დასუსტებული იყო, მაგრამ საღამოს დასასრულს მაინც თავისებურად კარგად, რხინიანად გამოვიდაო, — ამბობს ბაბო რაზიკაშვილისა, — მას საჩუქრად ბევრი ყვავილის თაიგული მიართვეს.

საღამო რომ დამთავრდა, თეატრიდან გამოსული ხალხი ქუჩაში ზღვად იღვდა და ვაჟას გამოსვლას ელოდებოდა. ვაჟა გამოვიდა და თავის ნათესავებს დაუწყო ძებნა. ისინი ყველანი ერთად იდგნენ. სანდრომ ხელი დაუქნია ვაჟას, — აქ ვართო. ვაჟა მათთან მივიდა და შესწივლა: ვიცი, რომ ხელა მე დავიღუპები, მაგრამ მეტი გზა არა მაქვსო.

ვაჟა იმას ჩიოდა, რომ საღამოს შემდეგ, ორთაჭალის ბაღში ვახშამს უმართავდნენ და იქ მისი დასწრება აუცილებელი იყო. თან კი გრძობდა, რომ ვერ გადაიტანდა ნადიმზე დასწრებას.

დაღმებული დაემშვიდობა ნათესავებს და უხალისოდ, მაგრამ მორჩილად გაჰყვა ნადიმის მომწყობებს ორთაჭალის ბაღში.

ვაჟა ფშაველა მის პატივსაცემად გამართულ ამ ბანკეტის მსხვერპლი გახდა. ასლად ნაავადმყოფარი ისეც გაცივდა, გვერდში წყალი ჩაუდგა.

ვაჟას მოვლა-პატრონობა არ დაჰკლებია. ექიმები მოუცლებლად თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ ვეღარ უშველეს.

ვაჟა-ფშაველას საფლავი მთაწმინდაზე



ვაჟა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში

ალექსი ჭინჭარაული

ს

ნობილია, რომ მწერლის ცხოვრებითა და შემოქმედებით დანტერესებული გრაფიკოსები, ფერმწერი თუ მოქანდაკენი თვით მწერლის სახესაც კმნიან, მის სამოქმედო ასპარეზსაც გვიჩვენებენ და იმ ადამიანებსაც გვაცნობენ, რომლებთანაც მწერალს ჰქონია ურთიერთობა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სახვითი ხელოვნების მრავალ ნიმუშში ხელშეხებადაა ნაჩვენები მწერლის ჩანაფიქრი და შევსებულია ჩვენი წარმოდგენა თხზულების ამა თუ იმ პერსონაჟის, პერსონაჟთა ურთიერთობის, შექმნილი სიტუაციის შესახებ და ა. შ. ასეთია მხატვრული ნაწარმოების ყოველი ილუსტრირების მთავარი ამოცანა. ამგვარად დასურათებული გამოცემები თვით ნაწარმოებათა გაგებას გვიადვილებენ, სიტყვიერი ხელოვნების ნიმუ-

შები სახვითი ხელოვნების ენაზეა გადატანილი და ნაჩვენებია ამ გადატანის ნაირნაირი შესაძლებლობა. გარდა ამისა, მაშინ ჩანს, თუ როგორ აღიქვამს და როგორ ინტერპრეტაციას აძლევს სახვითი ხელოვნების ესა თუ ის წარმომადგენელი პოეტურ თხზულებას. რასაკვირველია, სახვითი ბუნებრივია და გასაგებია ამ ინტერპრეტაციისადმი ჩვენი ინტერესი.

ვაჟას საკმაოდ თავისებური ცხოვრება მიდარა მასალას აწვდის მხატვრის ფანტაზიას. მწერლის შინაგანი ბუნება მის დადებით გმირებშია ხორცშესხმული, ხოლო ამ უკანასკნელთა შესასწავლად მკვლევარმა თუ მხატვარმა იმ ხალხსაც უნდა მიმართოს, რომლის წილიდანაც ეს გმირები გამოვიდნენ. ვინც ვაჟასა და მის გმირებს ხატავს სიტყვით თუ ფუნჯით, მან, ვაჟას მემკვიდრეობასთან ერთად, გულდასმით უნდა შეისწავლოს ვაჟას სამყარო — აღმოსავლეთ საქართველოს მთა, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთი.

ამჟამად ჩვენ ხელთ არის ვაჟა-ფშაველას ლექსებისა და პოემების კრებული რუსულ ენაზე¹. გამოცემა ვაჟას დაბადების ასი წლისთავს ეძღვნება. წიგნის გარეგანა და სატიტულო ფურცელზე მოთავსებულია ლ. ფეინბერგის მიერ შესრულებული ვაჟას პორტრეტი. მწერალს ხელში გრავილი უკავია. ამ პორტრეტით ვაჟას ცნობა ყოვლად შეუძლებელია. ეს ვიღაც წვერმოშვებული, ჩიხიანი კაცია და არა ჩვენი სასიქადულო პოეტი. წიგნის გარეკანზე მოჩანს ხელჯოხიანი, ფაფახიანი კაცის ფიგურა. იგი დაღესტნელის ტიპის შთაბეჭდილებას სტოვებს. ყოველშემთხვევაში, მას ქართული არაფერი აქვს. ასევე დაღესტნელს ჰგავს საყურებიანი, შუბზე დაყრდნობილი ლეღა („ბახტრიონი“).

მხატვრისათვის ხევსური (თუ ვაჟას სხვა გმირი) საერთოდ კავკასიელი კი არ უნდა იყოს, არამედ კონკრეტული კუთხის — თუშეთის, ფშავის თუ ხევსურეთის მცხოვრები. ერთია, როცა მხატვარი სხვა ეროვნების წარმომადგენელს ხატავს და მას თავისი ერის წარმომადგენელს ამსგავსებს მისდაუნებურად (ქართველის მიერ დახატული ღვთისმშობელი ქართველ ქალს ჰგავს, ფრანკისა — ფრანკს, რუსისა... — რუსს...) მაგრამ მეორეა, როცა მან არ იცის, რას ხატავს. ნ. აფანასიევის ილუსტრაციებში მოთხრობისათვის „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“ ვიფხვია და მზია რუსის ბავშვებს ჰგვანან, მაგრამ ეს სულაც არ იწვევს გაკვირვებას, რადგან ნაწარმოები ამგვარად გააზრების საშუალებასაც იძლევა.

ვაჟას პორტრეტებიდან ცნობილია: ლ. გუდიაშვილის, მ. თოიძის, უ. ჯაფარიძის, თ. აბაკელიას, კ. სანაძის, ნ. ჩერნიშოვის, ნ. იანჭოშვილის, თ. ყუბანეიშვილის, გ. ჯაფარიძის, ბ. ავალიშვილის, გურამ გაბაშვილის, ს. კეცხოველის და სხვ. ნამუშევრები, ბ. ავალიშვილისა და ი. თიაურის ქანდაკებები და სხვ. მწერლის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი სურათების ავტორები არიან: ლ. გუდიაშვილი — „ალ. ყაზბეგი



¹ Важа-Пшавела, Стихи, поэмы, Госиздат художественной литературы, Москва, 1960 г.

და ვაჟა-ფშაველა“, კ. სანაძე — „ვაჟა ხევსურ მოღვესებში“, გ. ჩირინაშვილი — „ვაჟა-ფშაველა“, ლ. ბურდული „ვაჟა მოქიფე ფშაველებში“, „ვაჟა გულხეტიანი“ და სხვ. მ. გვანჯაია — ვაჟა-ფშაველა — სახალხო სკოლის მასწავლებელი და სხვ.

ვაჟას ახლობლები და მისი სახლ-კარი ასახულია სურათებით: უ. ჯაფარიძე — „ვაჟა-ფშაველას სახლი სოფ. ჩარგალში“, „ვაჟა-ფშაველას თიანხი სოფ. ჩარგალში“, ვ. სოხოლი — „ვაჟას მუხუშუმის დასავლეთი კედელი“, „ვაჟას მუხუშუმის აღმოს. კედელი“, „ვაჟა-ფშაველას პურის საცხობი“, „ბოსელი ვაჟას ეზოში“, „ვაჟას მეგობარი ბეკური ბაჩიაშვილი“ და სხვ. გ. ჯაფარიძე — „ვაჟას მომვლელი ანიკო კობიაშვილი“, ქ. მაღალაშვილი — „ვაჟას მეუღლე და გალაქტიონი“ და სხვ.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ვაჟას პორტრეტების დიდი წილი მისი ფოტოგრაფიული სურათების ასლებია მხოლოდ...

როგორც ვხედავთ, ჩვენი დიდებული პოეტის ცხოვრებისა და პიროვნების დასახსნაათებლად კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი სახვითი ხელოვნებაში.

სამაგვრო მოთხრობებიდან, კერძოდ, ილუსტრირებულია: „შლის ნურის ნამობი“ (ი. გაბაშვილი, ს. მაისაშვილი, ვ. სიღამონ-ურისთავი, გ. კლოდტი, ე. ახვლედიანი, ნ. აფანასიევა...); „ჩხიკვაძე ქორწილი“ (ი. გაბაშვილი, ს. მაისაშვილი, ე. ახვლედიანი, ნ. აფანასიევა...); „სათაგური“ (ი. გაბაშვილი, ე. ახვლედიანი, ს. მაისაშვილი, კ. კლოდტი); „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“ (ს. მაისაშვილი, ი. გაბაშვილი, ნ. აფანასიევა...); „ბუნების მგოსნები“ (ე. ახვლედიანი), „კურდღელი“ (ს. მაისაშვილი, ნ. აფანასიევა), „ხმელი წიფელი“ (ე. ახვლედიანი, ს. მაისაშვილი); „დათვი“ (ი. გაბაშვილი, ე. ახვლედიანი), „პატარა მწყემსის ფიქრები“ (გ. კლოდტი), „დარჯანი“ (ე. ახვლედიანი, გ. კლოდტი), „ცრუმენტელა აღმზრდელი“ (გ. კლოდტი, ე. ახვლედიანი), „ია“ (ს. მაისაშვილი), „ორაგულის ცხოვრება“ (ნ. აფანასიევა); „ამოდის, ნათება“ (ე. ახვლედიანი), „ბებერი ვირი“ (ნ. აფანასიევა); „მონი მაღალნი“, „ფშავლის წუთისოფელი“ (გ. კლოდტი), „გაველდა ცხვარი“, „სოფლის ცხოვრების სურათები“, „მგლია-კუდიგორძელია“ (ე. ახვლედიანი); „გველი“, „ბუნების წიაღში“ (ს. მაისაშვილი) და სხვ.

ვაჟას პოემებიდან ილუსტრირებულია: „ალუდა ქეთელაური“ (თ. აბაქელია, ალ. გიგოლაშვილი, თ. ყუბანეიშვილი, ლ. ცუქერიძე, ლ. ფინბერგი); „სტუმარ-მასპინძელი“ (თ. აბაქელია, თ. ყუბანეიშვილი, რ. სტურუა, ს. მაისაშვილი, მ. გვანჯაია, ლ. ფინბერგი); „გველის მჭამელი“ (თ. აბაქელია, თ. ყუბანეიშვილი, რ. სტურუა), „ბახტრიონი“ (თ. აბაქელია, ს. მაისაშვილი, ვლ. ტოროტაძე და გ. გულისაშვილი, ლ. ფინბერგი); „გოგოთურ და აფშინა“ (ვლ. ტოროტაძე და გ. გულისაშვილი, თ. აბაქელია); „უთერი“ (თ. აბაქელია)

ვაჟას ჩვენი შთაბეჭდილებები გამოვთქვამთ ვაჟას ცალკეულ ილუსტრაციებზე, გამოვთქვამთ, როგორც იმ ეუთის წარმომადგენელმა რეიკომმა შეითხველმა, სადაც ვაჟა მოღვაწეობდა, სადაც მისი გმირების მოქმედების ასპარეზია.

ილუსტრაციები ხშირად ვაჟას გმირებს არ ჰგვანან. თ. აბაქელიას მინდია ხევსურულ ტანსაცმელში გამოწოვილი ქარფული თავადი უფროა, ვიდრე ვაჟას ბრძენი ხესური. „ასალაგზარდა კომუნისტის“ 1955 წ. 28 მაისის ნომერში გამოქვეყნებულია კ. ჭრელაშვილის წერილი — „ვაჟა-ფშაველას



მხატვრები გ. გულისაშვილი და ვ. ტოროტაძე, ილუსტრაცია პოემისათვის „ბახტრიონი“.

პოემების ილუსტრაციების შესახებ, სადაც სამართლიანად არის აღნიშნული, რომ რ. სტურუას ილუსტრაციაში პოემისათვის „გველის მჭამელი“ დაშვებულია ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა: მინდია თვითონ კლავს საკლავს, რაც წესის თანახმად, ყოველად დაშვებულია. ეს, ალბათ, იმიტია გამოწვეული, რომ ხევისბერი ბერდი ეუბნება მინდიას: „მგონია, მათე დაკალ წელსა, გასწყვიტე ძროხები“. ეს სიტყვები არ ნიშნავს, რომ მართლა მინდიამ დაკლა საკლავი. ბერდია ამბობს: მგონია, ეს მათე საკლავი შესწირე ხატს, გაყლიტე საქონელით. ისიც აღსანიშნავია, რომ მხატვარს მართლა ძროხა დაუხატავს, მინდიამ კი ამჯერად კურატი შესწირა ხატს. ცოტა ზემოთ გვიხსენებდით „...მათ ვინ დაკლული კურატი წამოწოლილია გვერდში“—ო...

სამართლიანია კ. ჭრელაშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ რ. სტურუას „ზვიადური წარმოდგენილია მშვიდი, წყნარი და უდარდელი გამომეტყველებით“. იგი „სუფთად პირ-



შახტ. სევერიან მასამპელიო : ევაჟა ივერიის* რედაქციაში

გაპარსულია და მონაზო სახე აქვს მშვენიერად უკან გადავარცხნილი თითი*.

უნდა შევინწინოთ აგრეთვე, რომ გ. ტორტაძისა და გ. ველისაშვილის ლეღა ჭარბად ნაზი და ჰაეროვანია, იგი ზღაპრის მსუთუნახავს ჰგავს. ვაჟას ლეღა კი ვაჟაკური ბუნებისა და გარეგნობის ფშაველი ქალია.

ბევრი რამ თქმის მხატვრების მიერ ეთნოგრაფიული რეალიზებისადმი ყურადღების გამახვილების აუცილებლობის შესახებ. ვაჟას გმირებს ხშირად საზეიმოდ მორთავენ ხოლმე: მონადირე თუ მოღალატე ხევსური ისეთი ჭრელ-ჭრულა ტანი-ნახოსით არის შემოსილი, როგორც ხატის სალოცავად მისული. ასეთია თ. აბაკელიას ზვიადური, ალ. გიგოლაშვილისა და თ. ყუბანეიშვილის ალუდა და სხვ.

საერთოდ უნდა შევინწინოთ, რომ ის ჭარბად მოქარგული ტანსაცმელი, რომელსაც ხევსურები ამ ბოლო დროს ატარებენ, გვიანდელია, მე-19 — მე-20 საუკუნეებისა. უწინ ხევსურები უფრო სადად მოქარგულ ტანსაცმელს იცვამდნენ და ისიც დღესასწაულებზე და სტუმრობის დროს. სამუშაოზე, ნადირობისა თუ მდგერობისას ან გაყვითლი, დაძველებული ტანსაცმელი იცვათ, ან სრულიად მოუქარგავი (რუხი ან შავი ფერი-სა) ¹.

იმავე გიგოლაშვილის ალუდა კარგია იმით, რომ გოლიათს არა ჰგავს: საშუალო ტანის რიგითი ხევსურია, მაგრამ მეტად ახალგაზრდა ჩანს და აცვია ჩამუშვებული, მოქარგული შარვალი, რომელსაც ხევსურეთში მხოლოდ მოხუციები იცვამდნენ. ამ სურათზე ალუდას ქალამნები აცვია. ვაჟას „ალუდა ქეთლური“ კი ისეთ დროს ეხება, როცა ხევსური მამაკაცი მხოლოდ ჯღნებს („კლანა“) იცვამდნენ. ქალამნი ქალის ფესხამოსი იყო ბოლო დრომდე (უფრო ადრე კი ქალებიც ჯღნებს ატარებდნენ).

არის თუ არა ილუსტრატორების ალუდა ვაჟას ალუდა ქეთლური? ალუდას და მუცალის ბრძოლის ფინალი ყველაზე უფრო მძაფრი მომენტია „ალუდა ქეთლურში“. ალუდამ მუცალი მოკლა, მაგრამ ვერ დაამარცხა. მუცალი უშამპეისი ადა-

მიანის სიკვდილით კვდება: სულთმობრძავი ვაჟაკი, სულმტრ, წონასწორობას არ კარგავს, სიტუაციის შეფასების უნარს ინარჩუნებს, თავის ღირსეულ მტერს ღირსეულად აფასებს, თავის იარაღს მას აძლევს და აბარებს: „ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“-ო, რადგან მუცალის აზრით, მხოლოდ ალუდაა ღირის მისი იარაღისა. ამის შემდეგ გასაგებია ის გარდატეხა, რაც ალუდას შინაგან სამყაროში მოხდა. ალუდას მუცალის ვაჟაკურად სიკვდილმა შოააგონა ადამიანის ადამიანური ღირსებისადმი პატივისცემა. ალუდა ბოლომდე ერთგული დარჩა ამ ზოგადადამიანური გრძნობისა. თანასოფელებმა ალუდას ვერ გაუგეს, იგი მოიკვთა სოფელმა და განდევნა.

ჩვენის აზრით, ვაჟას პოემების არსებული ილუსტრაციებიდან ყველაზე კარგია თ. ყუბანეიშვილის ნამუშევრები („ალუდა ქეთლური“, „ველის-მამაელი“, „სტუმარ-მასპინძელი“). მისი თორმეტი ილუსტრაციიდან, რომლებიც საქართველოს ორმოცი წლისთვისადმი მიძღვნილ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, მხოლოდ მუცალისა და ალუდას ბრძოლის ფინალი არ გვეჩვენება შთამბეჭდავი და დამაჯერებელი. დანარჩენ ილუსტრაციებში, როგორც ტიპები (მინდია, ხევსური ქალები და ბავშვები, ალაზა...), ისე ეგოგრაფიული გარემო (სოფ. შატლის ხედები, ქისტური სასაფლაო...) კარგად არის გააზრებული და განხორციელებული.

ყველაზე დარბილად ვაჟას ლექსებისა ილუსტრირებულ. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ გ. იჩიაურის ილუსტრაციებს ლექსებისათვის: „ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედას“, „დევების ქორილი“, „იას უთხარით ტურფასა“, „არავს“ და „ახალგაზრდა მგოსნებს“.

ამ ილუსტრაციებიდან განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს სურათები „იას უთხარით ტურფასა“ და „ახალგაზრდა მგოსნებს“. ამ უკანასკნელ სურათზე ჩანს ვაჟა არა ფოტორეალისტული სურათიდან გადმოსული, არამედ მისი ლექსითა და მხატვრის ფანტაზიით გაცოცხლებული, ვაჟა, რომელსაც „არცა ტანთ სცვია, არც ფეხთა“, მაგრამ მიიწე ქუსს:

„ხარს ვგავარ ნაიალარს,
რჭით მიწასა ვხვებო, ვბეუცნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, —
მილშიაც იმას ვდუღუნებ“.

ილუსტრაციაში „იას უთხარით ტურფასა“ ფეხშიშველი ვაჟა ზის უღრანი ტყის ფონზე და იას ეფერება. ტყის სიღრმეში ჩადუნები ყველდენაობენ. ამ მცენარეზე მხატვარს შემთხვევით როდი გაუმახვილებია ყურადღება. ჩადუნა ვაჟას ატეხილი ტყის მუდმივი სამკაულია. მის წინა პლანზე წამოწვივით მხატვარი მთის ტყის დამაჯერებელ სურათს ქმნის. ეს პატარა დეტალი იმაზე მიუთითებს, რომ კარგად შესწავლილი ობიექტის მრავალი წერილობრიდან ნიჭიერ მხატვარს სულ მცირე მასალაც კი ჯეროვან სამსახურს გაუწევს ობიექტური სინამდვილის უფრო სრულყოფილად ასახვამ.

* * *

ჩვენ აქ მხატვართა ნამუშევრების თითქმის მხოლოდ ჩამოთვლილ და ზოგიერთ შენიშვნით დავამთავროვდით. მაგრამ ზემოთქმულდენაც ჩანს, თუ რაოდენ დიდი და სასატიქო შემოქმედებით ამოცანა დგას ჩვენს მხატვრების წინაშე: მათ ფუნჯით ღირსეულად უნდა დაასურათონ ის პოეტი, რომელმაც ასე მგაფიოდ გამოხატა ჩვენი ერის შინაგანი ძალა და თავისუფლებები.

¹ სიტყვაში მოიტანა და გვიანდა აღვნიშნეთ, რომ ამ მძიკი ხანი-მუშაოა ნ. ჩამბოლისა და ი. სუხიშვილის ქართული ცეკვის სახე-მწიფო ანსამბლის მონაწილეთა ზომიერად ნაჭერგი, თალხი ხევსურული კოსტუმები (მხატვარი ნ. ვიხაიაძე).



ვაჟა-ფშაველა თავისი შვილის ლევანის ქორწილში. სუოათი გადაღებულია გოიში 1915 წ.

ვაჟა-ფშაველას საიუბილეო საღამო 1913 წელს

(ერთი სურათის ისტორია)

დავით შულღიაშვილი

ჩვენი სასიკადალო მწერლის ვაჟა-ფშაველას იუბილეს გამართვის იდეა პირველად მწერალმა ქალმა განდევილმა წა-მოაყენა. იგი „სახალხო გაზეთის“ (1913 წ. № 821-ის) ფურცლებზე წერდა: „რომელმა ქართველმა არ იცის, ვინ არის ვაჟა-ფშაველა, სადაც იხსენება საგანი ჩვენი მწერლობის დედაბოძებისა — ილიასი და აკაკისა, იქ შეუძლებელია ვაჟას სახელიც არ იქნეს მოხსენიებული.“

ვაჟა-ფშაველათი ვამაყობთ ჩვენ, მისი ქვეყნის შვილები, ვაჟა გვიყვარს, მოწიწებით ვიხსენებთ, აღტაცებით ვკითხულობთ მის ნაწარმოებს... დრო კი არის, რომ ეს ჩვენი, მართლაც, გულწრფელი სიყვარული საკმით ვაჩვენოთ მგოსანს, დაუზღვევით, რომ ჩვენ შევიგინოთ ეს დიდებული პიროვნება, და ღირსი შვილები ვართ ღირსეული მოამაგე მამისა.“

განდევლის ამ მოწოდებას მალე გამოეხმაურა ქართველი საზოგადოება. ვაჟა-ფშაველას სამწერლო მრღვავეობის 35 წლისთავის გამო ქართულ პრესაში დაიბეჭდა საგულისხმო ნარკვევები და ლექსები, რომლებიც დაიწერა დიდი მგოსნის პატივსაცემად (ამ დროს დაიბეჭდა ვაჟასადმი მიძღვნილი აკაკის ლექსიც).

ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ თავის კრებაზე დაადგინა „საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიოს მგოსანი ვაჟა-ფშაველა, რომელსაც წელს 35 წლისთავი შეუსრულდა, გამართოს მოკლე ხანში საზოგადოების საჯარო

კრება, რომელზედაც უნდა წაიკითხონ რეფერატები მგოსნის პოეზიისა და პიროვნების შესახებ; აღებული ფულით გამოსცეს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები, და ამ აზრის განხორციელებაში მონაწილეობონ საზოგადოების საბჭოს, რომელიც თავის მხრივ მიიწვევს მწერალს განდევილს, სახალხო სახლის რეფისორს ალ. წუწუნავას და სხვებს“ (სახ. გაზეთი 1913 წ. № 830).

ვაჟა-ფშაველას სამწერლო მოღვაწეობის ამ საიუბილეო თარიღს აქტიურად გამოეხმაურა ქუთაისის მოწინავე საზოგადოება. ქუთაისში მომუშავე ახალგაზრდა მწერლების თაოსნობით შეიქმნა ვაჟა-ფშაველას საიუბილეო საღამოს მომწყობი კომისია, რომელმაც ქუთაისში წინასწარ გამართა მგოსნის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ ლექცია-მოსხენებები. საზოგადოება დიდად დაინტერესდა ვაჟა-ფშაველას პიროვნებით. ყველას უნდოდა მალე ეხილა ქართული პოეზიის არწივი, გენიალური შემოქმედი „გოგოთური და აფშინისა“, „ბასტიონისა“ და აგველის მჭამელისა.“

საკირო იყო ვაჟა-ფშაველას ქუთაისში ჩასვლა, მაგრამ საშუაბაროდ, დიდ მგოსანს არა ჰქონდა შესაფერისი ტანსაცმელი, ეს კი ხელს უშლიდა დასწრობდა თავის საიუბილეო საღამოს.

მწერალმა დავით კლდიაშვილმა საღამოს მომწყობ კომიტეტს ანთობა ვაჟა-ფშაველას გასაჭირი. „საკითხი დაისვა როგორ მოქცეულიყო კომიტეტი, გადაწყდა, — გადმოგვეცემს და-



ვაჟა-ფშაველა, შო მღვიმელი და დემეტრე მაჩხანელი 90-იან წლებში.

ვაჟა-ფშაველა ძმებთან და მეგობრებთან
სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ირ. ევლოშვილი, ბაჩანა, შო მღვიმელი,
ვაჟა-ფშაველა, ვაჟას შვილი ლევანი; დგანან: თედო რაზიკაშვილი,
სანდრო რაზიკაშვილი (ვაჟას ძმები).



ვით კლდიაშვილი, — ასი მანეთი
გაგზავნიდა ვაჟას, რომ შვეიცარია
ახალი ჩოხა-ახალუბნი დასეპეცად
ახალი ფეხსაცმელი ამ ფულით, და
ისე ჩამოსულიყო.

დანიშნულ დღეს 1913 წლის 20
თებერვალს¹ ვაჟა ეწვია ქუთაისს და
გამოწყობილი მივიდა პეტრე ყი-
ფიანთან.

— ძალიან გაკობტავებულხარ,
ვაჟას ჭირიმე! ახლა კი ვაჩვენებთ
შენს თავს ქუთაისს! — მისებური
სიცილით შეხვდა პეტრე ყიფიანი
ვაჟას. ვაჟა კი დონავ იღიმებოდა.

სალამოზე სული ამოართვეს პო-
ეტს, იმდენი ლექსები ათქმევინეს.
ვაჟაც თავაზიანად ლექსს ლექსზე
ამბობდა და ალტაცებაში მოჰყავდა
ხალხით გაჭედილი დარბაზი. სალა-
მოს შემდეგ, ვაჟას პატივსაცემად
გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დიდ-
ძალი საზოგადოება დაესწრო. ყველა
ქება-დიდებათ იხსენიებდა ვაჟას,
მაგრამ ვერასგზით ვერ ააღეღვეს
იგი. მაღლობას უძღვნიდა მაღიდე-
ბელთ და იყო თავდაჭერილი, ყური,
განდიდებას ამორებული ვაჟა, რაც
მას ამშვენებდა და საყვარელ ადა-
მიანად ხდიდა (დ. კლდიაშვილის
მემუარებში გვ. 333-34).

მეორე დღეს ქუთაისელმა მწერ-
ლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა
ვაჟა-ფშაველას ქუთაისში ყოფნის
სამახსოვროდ გადაიღეს ეს სურათი.

სურათში ვაჟა-ფშაველას ირგე-
ლივ არიან მწერლები ნიკო ლორთ-
ქიფანიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, გრ. გი-
ორგაძე (გაზ. „ფონის“ რედაქტო-
რი), შ. ქორელი (რეჟისორი), კ.
ნიკოლაძე, ლ. დარჩიაშვილი, აპ. წუ-
ლაძე (ჟურნალისტები), სერგი რო-
ბაქიძე (პედაგოგი), რ. არსენიძე
(ჟურნალისტი), ის. კვიციანიძე და
სხვ.

ვაჟა-ფშაველამ ამავე დღეს გადაი-
ლო სურათი თავის მეგობარ დავით
კლდიაშვილთან მხარზე ხელგადასვე-
ულმა (ამ ორივე სურათის დედანი
დაცულია საქართველოს სახელმწი-
ფო ლიტერატურულ მუზეუმში).

¹ თუმცა ეს საღამო ფორმალურად
ი. ჰავეციანის დაბადების დღის აღსანიშ-
ნავად იყო მოწყობილი. დ. შ.

ვაჟას საიუბილეო საღამოს შესახებ „სახალხო გაზეთი“ წერდა: „საღამოს დამთავრების შემდეგ, საზოგადოება ტაშის-ცემას დიხვანს განაგრძობდა და არ დიშალა სანამ ვაჟა-ფშაველა წამდით და ყაბალახით არ გამოჩნდა კიდევ ერთხელ სცენაზე“, ხოლო გაზეთი „თემი“ ვაჟას შესახებ აღნიშნავდა: „მისმა დარბაისლურმა მკაფიო ბუნებრივმა საკუთარ-ლექსების კითხვამ დიდი აღტაცება და თანაგრძნობა გამოიწვია ჩვენი მგოსნისადმი. მის სცენაზე ნახვას მრავალი ნატრობდა ქუთაისში. განსაკუთრებით აღტაცებით შეხვდა მას ახალგაზრდობა, მრავალჯერ გამოიწვია სიმპათიური პოეტი ლექსების წასაკითხად“.

ვაჟა-ფშაველამ, თავის სხვა ლექსებთან ერთად, ამ საღამოზე წაიკითხა ექსპრომტად ლექსი:

იმერეთს

ერთხანად ჩემო მძრახაო,
ღის აჭური დედაო!
გზედავ, რომ შამრიგეობიარ, —
მით შენთან საღამს ვზედავო.
შერთებულად შენშია
ქართლსა და კახეთს ვზედავო,
ფარ-ჩხალო საქართველოსავ,
სხეცა ვაბავედეს, ნეტაო!
ის მომწონს, — თავის ქვეყნისა
კარებს რა მგერა ჰკეტაო...
ენება ნუ ასცდეს, სავნებლად
ვინაჲ შენ ვაგიმეტაო...!

ეს ლექსი „ისეთი მოხდენილი დეკლამაციით და გრძნობით იყო წაკითხული, — გადმოგვცემს ლაღ ბზვანელი, — რომ დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. მგოსანი ტა-



გალატონ ტაბიძე ვაჟა-ფშაველას მუეღლესთან

შისცემით ოთხჯერ-ხუთჯერ გამოიწვიეს და ათქმევინეს სხვა ლექსებიც.

ვაჟა-ფშაველა კმაყოფილი და დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა თბილისში, თავის ძმებსა და მეგობრებს უზიარებდა იმ შთაბეჭდილებებს, რაც მან მიიღო ქუთაისში გამართულ თავის საიუბილეო საღამოზე. ვაჟა მოხიბლული იყო ქუთაისელთა სტუმართმოყვარეობითა და თანაგრძნობით.

ვაჟა-ფშაველა ქუთაისელ მწერლებთან 1913 წლის 21 თებერვალს



ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და სოფოკლეს „ანტიგონე“

ვახტანგ კვიციანი

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას უძველესი ქართული ხალხური თქმულებანი და საკმირი სიმღერები ასაზრდოებდნენ. ისევე როგორც ბერძნულ მითოლოგიაში „უმშვენნიერესად გაიშალა“ (მარქსი) კაცობრიობის ბავშვობა, ასეთივე სიწმინდედ ბუნებრიობა ახასიათებთ ვაჟას გმირებს. ისინი ბუნების ნამდვილი შვილები არიან; თვით ვაჟაც განსახიერებაა ჯანსაღი სულისა. მან ბერძენ ტრაგიკოსებივით მძაფრად გამოხატა ტრაგიკული კოლიზიები, ადამიანისა და სამყაროს მთლიანობის აღდგენისაკენ ლტოლვის იდეა. ხალხის სიბრძნე და სიკეთე იყო ვაჟას შემოქმედების წყარო. ამ ხალხის სულივით გმირულია და საკაცობრიოდ ჰუმანური მისი ყოველი ქმნილებაც. მისმა იდეებმა არ იციან საზღვრები, ისინი ზოგად ადამიანურ ტიპიულებსა და სიხარულს გამოხატავენ, მაგრამ ყოველთვის ერთგულ საფუძველებს ეყრდნობიან.

ხშირად სხვადასხვა ხალხებს ერთნაირი შეხედულებანი აქვთ სამყაროზე და საერთოდ ცხოვრებაზე. დამოუკიდებლად წარმოითქობიან ხოლმე ანალოგიური სიუჟეტები, ცალკეული ხასიათები თუ მსატრეველი პირობებები. მათი შედარება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. თუმცა ვაჟა-ფშაველა იმასაც ამბობს, რომ შემოქმედება ე. წ. გაელენა გვერდაუვალი და სასარგებლო ფაქტიც კია, თუ მწერლის საკუთარი სათქმელი აქვს და მყარადაც სდგას ერთგულ ნიადაგზე.

როცა სირინოზთა ეპიზოდს ვისწავნით ჰომეროსის „ოდისეაში“, უნებლიედ გავგონებდა ვაჟა-ფშაველას დედის ნაამბობი. მას თურმე უცნაური სანახაობა უხილავს: „მთელი ცა, — მოგვითხრობს იგი, — განათებული იყო. ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო წამოსული, ერთი ჭიკურის გორიდან, მეორე სივონის გორითა, გადაბმულები; ზედ ცეცხლის ბალები ადიოდნენ და ჩამოდოდნენ და ისეთ წმინდა ხმებზე გალობდნენ, ისე ტკბილად, ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყური“. განა ანალოგიური არ არის სირინოზთა მიწვის ეპიზოდს? ოდისესი რომ სირინოზთა კონესს მთავსობლავდა, ყვავილოვან კუნძულზე გამოვიდნენ წითლოყვებიანი სირინოზები, ისინი ჩამოსდნენ მიწაზე და განსაკვირვებელი ძალით დაიწყეს „მწყობრი, კეთილმზვანი, საუცხოო, სულსა და გულის წარმტყვი სიმღერა“. მინდობა ჩემს ყურებს, — ამბობს ოდისესი, — განუწყვეტილად ესმინა ეს ღვთაებრივი სიმღერა.

როცა „სტუმარ-მასპინძლისა“ და „ანტიგონეს“ პარალელურ ელემენტარობით, არ გველისსმობთ რაიმე გავლენას. აქ მხოლოდ ის შინაგანი კანონზომიერებაა, ოდისესისა და ვაჟას დედის ხილვათა შორის მსგავსებას რომ წარმოშობს.

სოფოკლეს „ანტიგონე“ ერთი უმძაფრესი და უმშვენნიერესი ტრაგედია მსოფლიო ლიტერატურაში. ანტიგონეს პრობლემა არ არის საერთო ლიტერატურული პროცესებიდან გამოთიშული. ანტიგონე და ალკას სულიერი დები არიან. ისინი

ნი იბრძვიან მაღალი მორალური პრინციპებისათვის. ეს ბრძოლა შთაგინებულია დიდი ჰუმანური იდეებით. რამდენადაც ძლიერია დებრკოლება, იმდენად გმირულია მათი სულიკვეთბაც. დიადი მიზანი მათში დიდ შინაგან სულიერ ენერჯიას წარმოშობს, და ამიტომაცაა ასე რაინდულად რომ იცავენ ადამიანის ღირსებას. ანტიგონესა და ალკასს საქციელი ბევრ რამეში პავს ერთმანეთს, მაგრამ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მათი სიახლოვე, ისინი მაინც სრულიად სხვადასხვა ეპოქის შვილები არიან და განსხვავებულ ერთგულ ნიშნებს ატარებენ.

ანტიგონემ დაიტირა და მიწას მიბარა ყვავეთა და ყორანთა საქძებდად მიტოვებული პოლინიკე, თავისი ძმა, სამშობლოს მტერი. ალკასმაც ასევე დაიტირა ქისტეთის მოისისლე მტერი ზვიადური. ყველას ეკრძალება მათი დატირება. ორთავე „ზეზე გაურებს ტიალად“, რომ „ფრინველთა ჯიკონნ ზიარად“. ამ შემსარავი სანახაობის ფონზე გამოჩნდება ორი ქალი, რომლებიც არ დაემორჩილებიან ესოდენ მკაცრ კანონსა და ტრადიციას. წინასწარ, „ანტიგონე“ თეატრისათვისა დაწერილი და ამდენად წინასწარ არის მოფიქრებული სპეციფიური სცენური საშუალებანი, მაგრამ ვაჟას პოემაშიც ისე ძლიერია აქტიური მოქმედება, ქვეტექსტიც და კოლოზიც იმგვარადაა აგარძობი, რომ ყველაფერი ეს, დილოთიკისა და ნოლოთიკის შინაგან სტრუქტურასთან ერთად, მის დრამატურული ღირსებაზედაც მტკვევლებს. იქნებ ამიტომაც არის, რომ ადრე ერთი მთავრული კლასიკოსი ისე კარგად არ გრძნობს ქართულ თეატრში თავს, როგორც ვაჟა.

რა ახსნავაგებს ანტიგონესაგან ალკასს? რით არის იგი საინტერესო და დიადი?

ანტიგონეს ორი ძმა ჰყავდა: ეტოკლე და პოლინიკე. ძმები ერთურთს შეეზნენ და ორთავენი დაიღუპნენ. პოლინიკეს შესახებ მეფე კრემნა ბრძანა: „რაიენი ვაბედის მისი ტირილი და დასვალავება“. ანტიგონე არ დაემორჩილა მეფის ბრძანებას. იცოდა, რა სასჯელი მოელოდა ამისათვის და მაინც შეასრულა და-ძმური მოვალეობა. იგი შეეჯახა სახელმწიფოს ინტერესებს, და აქ განნდა დიდი კონფლიქტიც. ანტიგონე უმეგნულად სწირავს თავს და ძლიერი ნებისყოფის ადამიანად გვევლინება. თუმცა მთელი ეს თავგანწირვა რელიგიური ატმოსფეროშია განფენილი. ანტიგონემ იცის, რომ ადამიანები ქვეყნად ორ კანონს ემორჩილებიან: ერთთა ამქვეყნიური, ე. ი. დაწერილი და მეორე — დაუწერელი, ანუ ღმერთის კანონი. რომელია უპირატესი? ანტიგონეს სწამს, რომ მთავარი ის, რაც მარადიულია (ე. ი. ღმერთისა).

„კანონი იგი დღეს კი არა არც გუშინდელი მონაგონია, იმის ძალას არც აქვს ბოლო, დასაბამიცა არა ჰქონია“.



ასე რომ, მუდმივ მოქმედი მხოლოდ დაუწერელი კანონია, მეფისა კი — დროებითი და წარმავალი. ბერძენმა ქალმა იცის, რომ „დრო ის უფრო გრძელია, რაც რომ იწყება სიკვდილის შემდეგ“, და რაკი ეს ასეა, მას აღარ ეშინია წუთისოფლისა. მას სურს, რომ ამქვეყნიურ სიციხეშიმეფე იზრუნოს იმქვეყნიურზე, რომ პირნათელი წარსდგეს უზენაესის წინაშე. ამიტომ იგი აკეთებს იმას, რასაც ღმერთი მფარველობს. — აღამიანი დასაფლავებული უნდა იქნას, რადგან იგი ღმერთის შვილია. იწამა ეს ანტიგონემ და აღასრულა კიდევ. სწორედ ანტიგონეზე ითქმის ჰაინეს გონებაშახვილური შენიშვნა: „ღმერთებსა ადამიანები თავიანთ სადიდებლად შეგნნესო. — ამ გმირ ქალს სასებით შეცნობილი აქვს, მის ზურგს უკან რომ ღმერთი სდგას, ეს აძლევს მას ძალასა და სიმხნევებს. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხის ერთი მხარეა. არის მეორეც: ანტიგონემ დაიჭირა თავისი ღვიძლი ძმა. ეს ზეიზბრივი აქტია. „იღდა და ჩუმად ცრემლსა აფრქვევდაო“, — აუწყებს მეფეს დარაჯი და იმასაც უყვება, როგორ ზიდავდა ანტიგონე მუთით მიწას, რომ ცხედარზე წაყვარა. თავისთავად ეს დიდი ემოციური ძალის სურათია, მაგრამ სულ სხვა სიმაღლეზე დგას ანალოგიური ეპიზოდი „სტუმარ-მასპინძელი“.

დღის მიერ ძმის დატყობა ნათესაური მომენტია და ამდენად სასებით ლოკუკური. ამ შემთხვევაში ანტიგონემ აღასრულა თავისი ბუნებრივი ზნეობრივი მოვალეობა და ამით ერთსულ კიდევ გამოსატყა რწმენა და ერთგულება „ღმერთის საქმისადმი“.

მართალია, გარეგნულად ანტიგონე და ალაზა ერთნაირად იქცვიან, როგორც ვთქვით, ორივე ამქვეყნიური უსამართლობის წინააღმდეგ ამახდრად, მაგრამ სულ სხვადასხვა პირობებში. რაც თითოეორი, მათ სხვადასხვა ძალის წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდათ. ამ წინააღმდეგობათა ხასიათის გამოა მძაფრად ტრაგიკული ალაზას სახე. იგი მე-19 საუკუნის პრეტორიანტა და ანტიკონევისეთი ღმერთების იმედით როდი იზრდის. ალაზა მარტოა ამ უცნაურსა და მოუწესრიგებელ ქვეყანაში. და მაინც იგი გაღუდვა თემსაცა და ღმერთსაც.

„ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა, მეორით — ღმერთი ეშინებას, ქისტეთის მტრისა მოხარეს თავს რისხვას ვაღმოდინებს“.

რომელი გაუძლოს, ღმერთის რისხვას თუ თემისას!?. დე აი, ეს ქალი, რომელმაც მშვენიერად იცის, თუ რას ნიშნავს თემისაგან განდგომა, რას ნიშნავს ღმერთთან ურთობა, მაინც თავისას აკეთებს, რადგან მისი ასპარეზი გულია, ხოლო გული თავისას შერობდა...“

სულერი გმირობისა და ქალური მომხიბვლელობის ამ ნაღვლიან თავგადასავალში მოჩანს უდიდესი ჰუმანიზმი, რომელიც ამ ქისტ ქალს ამაღლებს თავისი დროის ყველაზე დაიადი იდეების გაგებაზე.

რედქსაც ალაზამ დაინახა, თუ რა ვაჟაკურად შეხვდა ზეიდაური სიკვდილს, იგი დიდად მოიხიბლა და ასე იფიქრა:

ნუ ჰქვალთ! ეძახის გულიო, ფიქრობდა ბრახმოვრულო, ნეტავი მომცა კულიო, ნეტავი ნებას მაძალდეს

ღედაკაცობის რჯულიო, რომ ეგ ვაიკცლო, სხვას ყველას გაავადრთობინო სულო.

ასე დიდად ჰუმანიზმის ძალა, ასე მძაფრად დაუპირისპირა მან შეწირვის წესს-ჩვევას სტუმართმოყვარეობის უკვდავი ტრადიცია.

„პლიერ შემბრალდა ბეჩაი, რომ უცხოეთში კვებოდა, არც ნათესავი, არც მომამე, რომ ვისმეს შეპბრალებოდა!“

რალა თქმა უნდა, ზნეობის მაღალ გამოხატულებასა ალაზას ამგვარი მოქმედება. ამით იგი გვეუბნება, რომ ქვეყნად არსებობს მტრობა და უნდა იყოს კი მეგობრობა. მან იცის, რომ არ შეიძლება ადამიანები ერთმანეთს მტრობდნენ. საჭიროა ურთიერთ დანდობა და სიყვარული. და-ძმობა რეალურად არსებობს და ქვეყნის გაყენიდან დამკვიდრებული ფაქტია. ხოლო უცხო კაცისადმი ადამიანური მოპყრობა და მისი ღირსების დაცვა ჯერ კიდევ არ ქვეყნულად ადამიანთა ურთიერთობის ქვაკუთხედად. ამისათვის საჭიროა დიდი ბრძოლა, და ალაზაც პირველი მორბედი აბ საკაცობრივ ბრძოლაშია. აღაზას მიერ დაუწერელი კანონის დაცვა ღმერთის სურვილის ასრულება როდია. იგი ზოგადი ზნეობრივი ნორმისა რომელიც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა ქართველ ხალხში. ეს დიდი მორალური პრინციპი კარნახობს ალაზას, როცა ზვიად გაურს გლოვობს. მისთვის უმაღლესი მშვენიერებაა ვაჟაკობა, რომლის ხილვაც ასე დიდ ეთიკურ გინებას ანიჭებს ადამიანს.

„იაკის კაცურად სიკვდილი გულადმ არა ჰქრებოდა“.

ალაზას სწორედ ეს „კაცის კაცური“ ქვეყა აძლევს შინაგან ენერგიას და იმპულსს, რომ ხმა აღიმართოს მის დასაცავად..

ალაზას თუ უღალატია ქისტეთის ისევე, როგორც ანტიგონეს თემისათვის. მან (ალაზამ) ერთ ტრადიციას (ე. ი. სტუმართ მასპინძლობას) დაუპირისპირა მეორე (ე. ი. შეწირვა) და ამ ნიადაგზე დავგანახა, თუ რომელია მისაღები და რომელი უსუსაგები. იგი სტუმართ-მოყვარეობის უძველესი და უკეთესობითვის ტრადიციას დამკვიდრებს ადამიანის შეწირვისა და სხვა ამგვარი რელიგიური ფანატრის წინააღმდეგ. ასე თოულ კონფლიქტებში მოქცეა მისი პიროვნება.

ტრაგიკულია ორივე ნაწარმოების ბოლო. ორთავე შემთხვევაში მოცემულია ნაწარმოებთა იდეის რეზიუმე. „ანტიგონეს“ ტრაგიზმის მიზეზს განმარტავს ქორო, ხოლო „სტუმარ მასპინძლისას“ — თეო ავტორი. ქოროს აზრით, „თუ ცხოვრება გინდა ნახო, საამო და ბედნიერი“ არ უნდა შეეცადო, რომ მიწიერმა ზეციურის საღვთებში გადალახო. უზენაესმა ძალამ ტრაგედია დაატრალა, როგორც კი მისი სურვილის საწინააღმდეგო რამ ჩაიდინეს გმირებმა. კერონმა როცა იგემა ღმერთის რისხვა, ანტიგონეს განთავისუფლება ბრძანა, მაგრამ გვიანდა იყო, დაიღუპა არა მარტო ანტიგონე, არამედ მი-

სი სატრო და კრეინის მუღლე. ასევე მოხდა „სტუმარ-მასპინძელი“ც. დაიღუპა ჯოჟოლა, ზვიადური და აღაზა. დიდა ორივე ნაწარმოებში ტრაგიზმის გრძნობა. ანტიგონემ თავი მოიკლა, თავი მოიკლა აღაზამაც. ორთვე იმ შეგნებამდე ამაღლა, რომ ქვეყანა სრულიად მოუწყობელია ნამდვილი, ბედნიერი ცხოვრებისთვის და რომ ისინი თითქოს ნადრევი იასავით მოვიდნენ სუსხსა და ყინვამი...

მიწიერი არ უნდა შეებრძოლო ზეციურ ძალას, თუ გსურს საამო და ბედნიერი ცხოვრებაო, — გვაუწყებს ქორთ. ვაჟას გმირები კი სხვას ჩივიან. ისინი ღმერთთან ჭიდილში რთვი იღუბებიან. ღრმა სულიერ ტკივილებსა და რთულ წინააღმდეგობებს მათთვის სწორედ ეს მოუწყობელი და გაუხარელი ქვეყანა ქნის.

აღაზამ თავი დაიხრთო. მას არ შეეძლო კვლავ დიდხანს ეცქირა უსამართლობისათვის, ეცქირა თუ როგორ იბღალეობდა აღამიანური ღირსებანი და საერთოდ კაცური კაცობა. ამ ქვეყნად მოკვდა ვაჟას სამი გმირი, მაგრამ მათი სიცოცხლე გრძელდება იქ, მიღმა სამყაროში და ჩვენს წინ, პოემის უკანასკნელ სტრიქონებში იშლება უბრწყინვალესი, ფანტასტიკური სანახაობა...

ღამით კლდის თავზე წამოდგება ჯოჟოლა და სასაფლაო-საკენ იძახის: „ზვიადურო, ძობიბლო, რად არ მარვენებ შენს სახეს?“ ამ დროს სასაფლაოდან წამოვა ფარ-ხმალიანი ვაჟაკაცი, იქვე აღაზაც ამოვა მწუხარე სახით, „ერთება ცეცხლი მათ გვერდით“, შემოუსხდებიან მას და საუბრობენ სწორედ იმაზე, რაც სიცოცხლეში ადევლებდათ, რაც აწყუხებდათ და რაც გულს სტკენდათ. მათ ამ ქვეყნად ვერ შესძლეს წინააღმდეგობათა გადჭრა, და ბრძოლის ველზე დამარცხებული არმიის მეთაურებივით შეკრებილან ახლა და ისე საუბრობენ, თითქოს ეს ეს არის, შეტყვისათვის ემზადებიანო.

ისინი ჰყვებიან ურთიერთ დანდობის, და-ძმობის, სტუმარ-მასპინძლობისა და ვაჟაკობის ამბავს. მათ საუბარში მოსჩანს მათი ზეივბრივი იდეალები, რწმენა და სულიერი

მისწრაფებანი. ისინი დიდ სიმამლებიდან დასცქერიან ქვეყანას და გული სტკივთ, რომ ასე მოუწყობელია იგი.

კაცობრიობის საუკეთესო შვილებს ამ ქვეყნად არ მიეცათ საშუალება, ასე ტკბილად რომ შემოსხდომოდნენ ცეცხლის პირას და კვლავაც ეამზნათ თქმულებანი კაცთა სიყვარულზე და მეგობრობაზე. მხოლოდ ბუნებამ ალაღინა მათ შორის დარღვეული პარმონია, ისინი კვლავ შეგვდნენ ერთმანეთს. ახლა მათ თითქოს თავს აღარაიენ დაესმის, ვერაიენ შეპყრდნენ დაარღვიოს მათი მუღდრო და იდილიური ცხოვრება, კოსმოსურ სამყაროში რომ მოუწყვიათ, მაგრამ აქაც „გაჩნდება ჯანდი რამ“ და ჯაღოსავით დაეფარება დიდებულ სანახაობას. კვლავ იტრება ტრაგიკული ტონი მათ ცხოვრებაში, კვლავ გადულახავი წინააღმდეგობა, და აი, უცებ უკანასკნელი სტრიქონები: „უფსკრულს დასცქერის პირიშიუ მოღვრებულის ყელითა“...

პირიშიუ „მშის მოტრფილავ“ მცენარის სიმბოლური სახეა. იგი აღაზასავით უფსკრულის პირას წამდგარა და თვალეები შორს, მზისაკენ, ქვეყნის სინათლისა და სიკეთისაკენ მიუპყრია!..

სოფოკლეს „ანტიგონე“ მსოფლიო ლიტერატურის დიდებული ქმნილებაა. მთელს მის სიდიადეს ნათესა ჰფენს ბერძენი ქალის ანტიგონეს მომხიბვლელი სახე. ასევე რთულია აღაზას პიროვნება. მას აღმობაჩნდა ძალა იმისათვის, რომ გამოყოფოდა გარემოს, ღრმად შეეცნო იგი და შემდეგ უფრო მტკიცედ და ახლებურად დაეკავშირებოდა მის ყველაზე საუკეთესო იდეალებს.

სტანისლავსკის გენიალურმა ინტუიციამ მიიკანონა ჯონ-ზომიერებას, მიიკანონა ამ სპეციფიკურ შინაგან მდგომარეობას და პირობითად უწოდა მას რწმენა ანუ დაჯერება წარმოსახული პირობებისა. ჩვენს ცდებში ვწარმოვსახულიყობთ მის მიმართ ნებისმიერად შექმნილი განწყობა ან ის თუმცა არა ნამდვილი, მაგრამ გულწრფელი და დაჯერებულია. შინაგანი მდგომარეობა — უნებური დაჯერება იმისა, რის არარსებობის შესახებ იცის სუბიექტმა და რისგან სრულიად განსხვავებულ სიტუაციას აღიქვამს იგი.

როგორც ვნახეთ, ჩვენი ცდებით ექსპერიმენტულად მტკიცდება ასეთი განწყობის შემუშავება წარმოსახულის მიმართ, როდესაც სუბიექტმა იცის წარმოსახულის არა ნამდვილობა, მისი არარეალურობა. ოღონდ ამისათვის არ კმარა მხოლოდ წარმოდგენა, ადამისთვის აუცილებელია სპეციფიკური შინაგანი აქტიური დამოკიდებულების შექმნა წარმოსახულის მიმართ. მეტად საყურადღებოა, რომ თითონ ცდის პირები უშუალოდ აანწევს ხოლმე ამ მდგომარეობის შექმნას და აღნიშნავენ მას სხვადასხვა სიტყვებით: „მდგომარეობაში ჩართვა“; „მისგან ამორთვა“; „მისი დაჯერება“ და სხვადასხვა; „მონახვა“; ანსხვანაირად მზაობას მხოლოდ წარმოდგენისაგან და ა. შ. ცდის პირები ამ მდგომარეობას ისევე რეალურად განიცდიან, როგორც რეალური ამ მდგომარეობის განცდა სცენაზე (რასაც სტანისლავსკიმ დაშვებულის დაჯერება ანუ რწმენა უწოდა). ეს ორივე ერთი და იგივე მოვლენაა! ორივე წარმოსახულის მიმართ განწყობის აღმოცენების შედეგია.

სასცენო გარდასახვის განწყობისეული ბუნების ესასარგებლოდ, ცხადია, ისიც მეტყველებს, რომ, როგორც ექსპერიმენტულად დადგინდა, ეს უნარი წარმოსახულის მიმართ სათანადო განწყობის შექმნისა, განსაკუთრებით დამახასიათებელია სასცენო გარდასახვის უნარის მქონე ადამიანთათვის. (მსახიობთა და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტთათვის).

„რწმენის მდგომარეობის“ ბუნების გასაშუქებლად მეტად საინტერესო მასალას იძლევა იმ ხერხების თუ მეთოდების გათვალისწინება, რომლებსაც უხვად იყენებს სტანისლავსკის სისტემა მსახიობთან მუშაობის პროცესში, ძირითადად, ისევე მაგარი „რწმენის“ გამოსაწვევად. ამ მეთოდება გათვალისწინება „ამოცანების“ დაყენება „ფიზიკური მოქმედებების“, „შეგუება“ („приспособление“), პატარა სიმარბოებისა, ნაწილობრივი და მთლიანი „გამჭოლი მოქმედებების“ შექმნა და ა. შ.) კიდევ უფრო გავარწმუნებს, რომ ყველა ეს საშუალებები ფაქტურად სცენაზე წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი განწყობის შემუშავების მეთოდებს წარმოადგენენ!

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ სიტემის მთავარი ხერხი — ქვეყნის ყოველი აქტის, ყოველი მოქმედების გამოსაწვევად სათანადო „ამოცანების“ დასმა მსახიობის წინაშე. მცნირულ ფსიქოლოგიაშიც (დ. უზნაძის სკოლა) განწყობის ექსპერიმენტული გამოწვევისათვის ცდის პირს გარკვეული

ამოცანების წინაშე აყენებენ. ეს არის დ. უზნაძის მიერ, თანამედროვე ფსიქოლოგიაში შემოტანილი განწყობის ექსპერიმენტული გამოწვევის ძირითადი მეთოდი; სუბიექტის წინაშე დამდგარი ამოცანა, თუნდაც სულ მარტივი (შეადარე ეს სილადგები, — რომელია უფრო დიდი? და ა. შ.), სუბიექტში ქმნის სათანადო აქტივობას, ანუ ფართო გაგებით, მოთხოვნისა, რომლის მიხედვით აღქმული სიტუაცია შესაფერ შინაარსის მიხედვით აღმოცენებულ განწყობას.

სავალისებოა სტანისლავსკის სისტემაში „პატარა სიმარბოების“ შექმნა, „ფიზიკური მოქმედებების“, „შეგუებების“ გამოწვევა. აქაც არ შეიძლება უყრადღობა ამ მიქმედების ჩვენს წინაშე აღწერილ ცდებთან სრულ ანალოგობას. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ცდის პირები თავისით მივიღინე, ისეთივე ხერხების გამოყენებამდე: ჯერ ერთი, უმჯავლესბა მიმართავს ხოლმე ისეთ „ფიზიკურ მოძრაობას“ შესრულებას, რომელიც ეხმარება წარმოსახულის თვალსაჩინო გახედვას — საძიებელი შინაგანი აქტიური მდგომარეობის შექმნას. მაგალითად, ამოძრავებენ ხოლმე წარმოსახული ბუთონების სიდიდის შესატყვისად თითებს ან წარმოსახული სიმრეხების აწვევის შესატყვისად ამოძრავებენ ხელებს, კუნთების სათანადო დაქმობით და ა. შ.

გარდა ამისა, ზოგი ჩვენი ცდის პირი — სტანისლავსკის სისტემაზე აღზრდილი მსახიობი (მაგალითად, ურმოლოვი და იაკუბოუსკია) არა მარტო მიმართავს ისეთ ხერხებს, რომლებიც ეხმარება მას ნაოლად განიცდოს წარმოსახული და „ჩაერთონ მდგომარეობაში“, არამედ თვითონვე უწოდებს ამ ხერხებს სტანისლავსკის ტერმინს „შეგუებას“.

მაგალითად, მიიშე და მსუბუქი სხეულის აწვევის შთაბეჭდილების შესაქმნელად უერთობო ასაწვევი ცილინდრების ზონარებს სისხლად ეჭირის თითებს რომ ერთი საგნის ზონარი ნაწილობრივ უხსტკება თითებს შუა, მეორე კი არ უხსტკება, და ა. შ. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ იქცევა ისე, მეუბნება: მე „შეგუებას“ ვქმნი.

მაგრამ როგორ ესმის თვითონ სტანისლავსკის ამ არარსებულის დაჯერების ბუნება? რამდენად ეთანხმება მისი გაგება ჩვენს მიერ აქ მოცემულ ინტერპრეტაციას?

ამ მოვლენის აღსაწერად სტანისლავსკი მიმართავს ხოლმე მეტაფორული, აღწერითი ხასიათის გამოთქმებს, და ამ გამოთქმებით იძლევა ამ მოვლენის ისეთ დახასიათებას, რომელიც უახლოვდება განწყობის ცნების უზნაძისეულ დახასიათებას.

სტანისლავსკი წარმოსახულის რწმენის შემუშავების პროცესს აღწერს როგორც „რადაც ბერკეტის მოტარებას“ ადამიანის შვითხი და ამ გზით: „წარმოსახვის სიცოცხლის სობრტყეში გადანაცვლება“¹, იგი ამ რწმენას „ორგანული“ და ქვეყნობრივი ბუნების პროცესად თვლის. ცხადია, რომ ავტორი ამ რწმენას თუ დაჯერებას ცალკე განცდად და საზოგადოდ განცდად ბუნების პროცესსა კი არ მიიჩნევს, არამედ ისევე, როგორც დ. უზნაძე, განწყობას თვლის მთლიანი ადამიანის ღრმა ბუნების არანობიერ მდგომარეობად. იგი უარყოფს მისი საფუძვლების ძიებას მხოლოდ ფსიქიკაში — „მსახიობ-ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების არეში“ (სტანისლავსკი). მაგრამ სტანისლავსკის განგარკულებაში არ ყოფილა

¹ Станиславский, «Работа актера над собой», II изд. стр. 262.

ფსიქოლოგიური მეცნიერების თანამედროვე ტერმინოლოგია და იგი საკმაოდ გულუბრყვილოდ ლაპარაკობს რწმენის შექმნაზე სხეულის არეში (легче всего найти и вы-
 вать правду и веру в области тела“). იგი ლაპარაკობს „ფიზიკური რწმენის“ და ფიზიკური დაჯერების შესახებ. იგი იმიტომ მიმართავს ფიზიკურ მოქმედებას და სხვა თავის მე-
 თოდებს, რომ ადამიანის (მსახიობის) „ბუნებაში“ „ფიზიკურ-
 რად დაიჯეროს“ ის, რასაც აკეთებს. ბუნება ამ შემთხვევაში
 იხმარება სტანისლავესკის ერთ-ერთი ძირითადი ცნების —
 ორგანული ბუნების სინონიმად. მის ერთ-ერთ ძირითად ცნე-
 ბას ადამიანის ორგანული ბუნების ცნება შეადგენს, რომელშიც
 ავტორი გულისხმობს, როგორც განწყობის ცნებაში დ. უზნაძე,
 ადამიანის ცნობიერ ფსიქიკურ მოვლენათა საფუძვლად მდე-
 ბარე მოვლენას, ან უკეთ რომ ვთქვათ, თვისებას.

რწმენის მდგომარეობა, რომელიც სისტემის ავტორისათვის
 სასცენო ვარდასახვის ძირითადი საფუძველია მისი გაგებით.
 ცალკე პროცესი, ცალკე ფსიქიკური მოვლენა კი არ არს, არა-

¹ იქვე გვ. 274.

შედ ისევე, როგორც განწყობა, თვით ადამიანის, როგორც
 მთლიანის, შინაგანი მდგომარეობაა.

ზოგან სტანისლავესკი პირდაპირ ხმარობს ისეთ გამოთქ-
 მებს, რომელთაც განწყობის ბუნების დასახასიათებლად უზნა-
 ძე მიმართავდა ხოლმე. სტანისლავესკი ლაპარაკობს „მოქმე-
 დებისადმი მზაობისა“ და „ჩვენი შინაგანი აქტივობის“ შე-
 სახებ, რომელიც აღმოცენდება სათანადო დაშვების შედეგად.
 მეტიც! მას აქვს გამოთქმები, რომელნიც სინონიმურია გან-
 წყობის ფსიქოლოგიის ზოგიერთი ტერმინისა. მაგალითად, იგა-
 აღნიშნავს, რომ სათანადო დაშვების შემდეგ მსახიობში ხდება
 „мгновенная перестановка — сдвиг“. ამ შემთხვევაში
 განწყობის ფსიქოლოგიის წარმომადგენელი იტყობდა განწყობ-
 ბის გადანაცვლების შესახებ, რაც რუსულად გამოითქმის
 ასე — переключение установки. მაგრამ ეს ხომ ტერმი-
 ნოლოგიურად იგივეა, რაც სტანისლავესკის მიერ ნახმარი „пе-
 рестановка“. გერმანულად, მაგალითად, განწყობის გადა-
 ნაცვლება სპეციალურ ლიტერატურაში სიტყვა перестанов-
 ка-ს ადექვატური ტერმინის — Umstellung-ით აღინიშნება.

როგორც
 ანტიკონსერვატიული
 სხვაობა

დ. კაბიტაშვილი


ჩაის პლანტაციებზე





გ. შერვაშიძე

ფიდელ კასტრო



რ. ხანაძე
მუშის
პორტრეტი



თ. ხახელიძე

ჩაის სავაჭრედად



მ. თელიძე

მუშევრები

მხატვრული ჯავარდენის ხელოვნება საქართველოში

ალექსანდრე კოკლავაშვილი

„ჩემო ხანჯალო, ჯავარდენისა... შენ
ფორჩინაჲ ქართველმა ზედალა“...

მ. ლერმონტოვი



ამრტაცი მრავალფეროვნებით მოლივივე ნაყმი, სამოდ წკრიალა ხმა და დიდი სისალე — ასეთი დაჯარდენის ხმალ-ხანჯლების გარეგანი იერა და ზოგადი თვისება. საუკეთესო ხარისხის ჯავარდენის იარაღ უწინ იმის მიხედვით ამოიწნობდენ, თუ როგორი ფერი გადაკარავდა შვის სხვიებისადმი ირიბად დახრილი ხმალ-ხანჯლის ზედაპირს. ამას გარდა, კარგი ჯავარდენის იარაღ უნდა შედგებოდა არა მარტო ძელისა და რკინის გადაკვეთა, არამედ პაერში მოფარფატე ბალდადის ერთი მოქნივით აკუწვა. ზოგჯერ, ხანჯლის პირს აბრეშუმის თხელ ჩითმერდინს მსუბუქად შემოხანჯვდენ, ხანჯალს პაერში მკვეთრად დაიკეწვდენ და, თუ ის (ჩითმერდინი) გადიტრებოდა, იარაღი მაღალ შეფასებას მიიღებდა.

ძნელი იყო ასეთი იარაღის გაკეთება. მხოლოდ ერთდულნად ფლობდენ ამ ხელოვნებას, ხოლო სხვიებისათვის ის საიდუმლოებით იყო მოცული. ბევრნი, მათ შორის ევროპიელი ხელოვანნიც, ხანგრძლივად და ამაოდ ცდილობდენ ამოეხსნათ ჯავარდენის ხელოვნების საიდუმლოება; ბავთო, როგორ და რა საშუალებით ანიჭებდენ ჯავარდენის ცივ იარაღ მხატვრულ იერსა და აგრეთვე ჭრის მაღალ თვისებას. ცნობილი რუსი მეწერა ბ. პ. ანოსოვი გასული საუკუნის ორმოციან წლებში წერდა: „დამასკუსი ხმლების გაკეთება დღემდე ევროპის სწავლულებისა და მხატვრებისათვის გამოცანას შეადგენს“¹.

როგორც ირკვევა, ჯავარდენის ქართულ ოსტატ-ხელოვანთ ევროპელებისათვის რამდენიმე საუკუნით გაუსწრიათ. ლითონის მხატვრულად დამუშავების ხელოვნება ჩვენში ერთ-ერთ ხანდაზმულ დარგს წარმოადგენს. ჯავარდენის იარაღის მკეთებელმა ოსტატებმა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს მხატვრული ლითონდამუშავების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

გასული საუკუნის დამდეგიდან თანდათანობით ვრცელდებოდა რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან შემოტანილი ლითონის ნაირგვარი დანიშნულების ნაკეთობა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა მელითონებამ თავისი მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნა და ის კარგველ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საქართველის ყოველ გზაჯვარედინზე არსებულ სამჭიდლოებს, როგორც მასობრივი სახეების დამამზადებელ საწარმოს², აღარ ძალუძდა დეკემაციფიკაციისა მოსახლეობის განვითარებული ესთეტიკური გემოვნება. ამიტომ ჯერ კიდევ

ადრე საუკუნეებში ლითონდამუშავების ხელოვნებაში დაიწყო ცალკე ვიწრო სპეციალობათა გამოყოფა³, რაც გასული საუკუნის დამდეგიდან უფრო გაფართოვდა და ის საესტეტიკურ-საბამებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ლითონის მხატვრულად დამუშავების ოსტატთა დახელოვნებას, თუმცა ისინი ტექნიკური შეუძლებლების მხრით ისევ დაბალ დონეზე იმყოფებოდენ. ზოგიერთმა დარგმა თავისი ხელოვნებით ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია და მსოფლიოში სახელმწიფეტილ ფაბრიკა-ქარხანასაც კი გაუსწრო.

აღინუნუსის თვალსაჩინო დამადასტურებელია, უპირველეს ყოვლისა, ჩვენში ჯავარდენის ფოლადისაგან მხატვრულად მოპირკეთებულ ქართული ხმალ-ხანჯლების წარმოება. საქართველოში ფოლადის დამამუშავებელი სხვა საწარმოებიც არსებობდა, რომელთაც თავიანთი გამოცდილებით გარკვეული წვლილი შეჰქონდათ საერთოდ საქურველომეცნიერების ხელოვნების განვითარებაში.

პლ. იოსელიანის დამოცემით, თბილისში არსებობდა საუკეთესო სამართებლების სახელოსნო, რომელიც თბილისელ ოსტატს, ვინმე ივანე ზოტიშვილს ეკუთვნოდა. ამ ოსტატს თავისი ხელოვნებით სახელი მოუხვეჭია ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეთა დროს, ხოლო მის სამართებლებს რუსეთშიც დიდი ქება დაუმახსურებიათ. პლ. იოსელიანი წერდა: „ქლაქსა ს.-პ. ბ. გაცეან 1843 წელსა... სლოიცივი მოხუცი... ესე მოხუცი სლოიცივი იყო ზუბოვისა ადულიტანი ღერებენტსა ზარიდსაც იმპერატორმან პავლე დააბრუნა ჯარი რუსეთად, მაშინ მოვიდა იგი თფილისს 1797 წელსა და მოისყიდა სამართებლები, გერანა კიდევ იყო ხელოვნება ესე მუნ და მოხვდა დაუბარო მას რამდენიმე. თვითონი მივე თვითონ აბაზოი. არცა ერთი ევროპაში ნაკეთი არ შეედრება თფილისისა სამართებლებსა“⁴.

ზოტიშვილის სამართებლებს გაცნობია ახალგაზრდა მ. ს. ვორონცოვიც ჯერ კიდევ 1801 წელს, როდესაც ის რუსეთის ჯართან ერთად საქართველოში ჩამოვიდა. რუსეთში დაბრუნებისას მასაც ამ სამართებლების რამდენიმე ცალი თან წაღია. კავკასიაში მეფისწავლად ყოფნისას ვორონცოვს თბილისური სამართებლები მიუთხოვია, მაგრამ ზოტიშვილის სახელოსნო მაშინ უკვე აღარ არსებობდა. სახელოსნო პატარა არ უნდა ყოფილიყო, რადგან, ზ. ჭიჭინაძის დამოცემით, წარმოებაში „ურცხცივ ქარგალი და შევირდი მუშობდა“⁵.

ასეთი მაღალი ღირსების საგნების დამზადება წარმოადგენდა ოსტატის მხოლოდ დახელოვნებისა და ლითონის გან-

¹ П. П. Аносов. Собр. соч., М., 1954, гл. 122.
² დ. გვრიტიშვილი. ვეფხისტყაოსნის საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი, 1955, გვ. 162.

³ Ш. А. Месхия. Города и городской строй феодальной Грузии XVIII—XIX вв. Тб., 1959, гл. 125—129.
⁴ პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაი გაჭრეილიას რედ., თბილისი, 1936 წ., გვ. 265.
⁵ საქართველოს ლიტერატურული მემკვიდრეობა. სპ. № 4719-ბ, გვ. 68.

საკუთრებულ პირობებში წრთობის შედეგს. საერთოდ ლითონის დამუშავება გასული საუკუნის 40-იან წლებში შედგებოდა იყო და ემყარებოდა არა მეცნიერულ კანონზომიერებას, არამედ ემპირულ გზით ოსტატ-ხელოვანთა მიერ დაგროვილ გამოცდილებას.

საჭურველმშენებლობას ჩვენში ძველთაგანვე თვალსაჩინო ადგილი ეკავა, რადგან ქართველი მეომრები იარაღს უმკაცრეს მოთხოვნილებებს უყენებდნენ. სწავლას-საბა ორბელიანის გადმოცემით, — „ქართველი ჰყუარობდნენ... ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უხვეველ, აბრე არ დამშლავველ“ ხმალს¹. ეს ცივი იარაღი, როგორც ვახუშტი სამართლიანად შენიშნავდა², წარმოადგენდა ქვეყნისა და პირადი თავდაცვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას და არა მამაკაცთა მხოლოდ გარეგანი მორთავლობის აუცილებელ ელემენტს, როგორც ამასუხს. ესავე იყარა³.

ცივი იარაღის ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო ქართული საზოგადოებრიობა ამ დარგის განვითარებისათვის მუდმივად ზრუნავდა, ხელისნეის ხელს უწყობდა და მათ პრივილეგიებულ პირობებს უქმნიდა. საყოველთაო ყურადღებით მოსლი ოსტატი-ხელოვანნიც თავის მხრით იარაღის დამზადების ხელოვნებას აუჭოფებდნენ და შესანიშნავ წარმატებებსაც აღწევდნენ.

ადგილობრივი საჭურველმშენებლობის მნიშვნელობა რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდგომაც არ შენელებულა, რადგან კავკასიის ფრონტებზე რუსეთის ჯართან ერთად ქართველ მეთაართა სპეციალური ნაწილებიც იბრძოდნენ, რომელნიც ადგილობრივ დამზადებული იარაღით იყვნენ აღჭურვილი. საომარ იარაღზე მოთხოვნილების ზრდად გამოიწვივა ხელოვნობის გაფართოება, მისი ვიწრო სპეციალზაციის შემდგომში გაფართოება⁴ და საწარმო ტექნიკის რამდენიმე გაუმჯობესება.

გასული საუკუნის 20-იან წლებში აფხაზეთის მრეწველობის მთავარ დარგს წარმოადგენდა ხარისხოვანი ფოლადის წარმოება და მისგან კარგი თოფებისა და ხანჯლების დამზადება⁵. მაღალხარისხოვან ცივ იარაღს დამზადებდნენ აგრეთვე აჭარაში, სამეგრელოში, გურიაში, იმერეთსა და ზემო რაჭოში⁶.

მეიარაღეობა უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოში,

კერძოდ, თბილისში, იყო გავრცელებული, თუმცა ოფიციალურ სტატისტიკაში ხელისნეობის აღნიშნული დარგის მდგომარეობა გასული საუკუნის 20-იანი წლებისათვის თითქმის სრულიად ასახული არ არის. ამავე დროს, 1824 წელს თბილისში ჩატარებული კამერალური აღწერის საქმეებიდან ჩანს ქალაქში მეიარაღეთა სიმრავლე და ვიწრო სპეციალობის მიხედვით მათი დანაწილება. აღწერაში მოხსენიებულია მეთოფე — გველსაშვილი გიორგი შარაბაში; ხ მ ლ ი ს პ ი რ ე ბ ი ს მ კ ე თ ე ბ ე ლ ი — გუერჯა და აარამან ელიარაშვილები⁷. ავთანდილსაშვილი სილომონი; მ ე ჩ ა ხ მ ა ხ ნ ი და ხ მ ლ ი ს ა ხ ე ლ უ რ თ გ ი ა ო ს ტ ა ტ ე ბ ი — პაპაშვილი გოგი, პაპასაშვილი გოგია გვორასძე, დავითასაშვილი პეპანა, ოგანუხასაშვილი ქარიზა და ა. შ.⁸ ასეთი მაგალითები უმარავია. ზოგიერთი ცნობით, თბილისში მიმუშავებ მეთოფეებს, მეჩახმახეებს, ხმლებისა და ხანჯლების სახელოსნოებს ცალ-ცალკე ქუჩებიც კი ეკავათ.

ამვე აღწერით ირკვევა, რომ მეიარაღეობის მიერ რაოდენობით დაქირავებული ქარგლები და შეკრდებიც ჰყავდათ. მათი იმეათა ხელთნეობით დამზადებული ნაკეთობა იყიდებოდა თბილისის ბაზარზე და აღმოსავლეთის ქვეყნებში. რუსეთის დიდი პოეტის ა. ს. პუშკინის გადმოცემით, თბილისი იარაღი მთელს აღმოსავლეთში მფირად ფასობდა⁹. ამიტომ, ირანში გატანილი საქონლის საგრძნობ ნაწილს ამიერკავკასიის იარაღი (ხანჯლები) შეადგენდა¹⁰.

20-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობის გათრულებას, 30-იანი წლების დასაწყისიდან თავისუფალი ვაჭრობისა და შედავათიანი ტრანზიტის აღკვეთასთან დაკავშირებით, იარაღის ექსპორტი ირანში შემცირდა, შემდეგ კი საერთოდ აიკრძალა, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საჭურველმშენებლობა. 1833 წელს მთიანეთისა უკმაყოფილების შედეგად მოაგრებამ გააუქმა ეს მიზნთება და ხელისნეის ნება მიეცათ გაეცანათ ირანში კავკასიური ცივი იარაღი¹¹. ეს გადაწყვეტილება ეცნობა დაინტერესებული მხრების, კერძოდ, თელავის, სიღნაღის, გორის, თბილისის, დუშეთის, ზორჩაღის, ბამაკისა და ელისავეტპოლის ბოქალეებს¹².

ამ არასრული ცნობებითაც ირკვევა, რომ მეიარაღეობა აღმოსავლეთ საქართველოშიც ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ მთავრობის აღნიშნული ღონისძიების შედეგად მეიარაღე ოსტატების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. 1835 წელს მარტო თბილისში 21 მეთოფე და ხმალ-ხანჯლების 12 ოსტატი ირცელებოდა¹³, 1840 წლისათვის მხოლოდ 5 მე-

¹ ს ლ უ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ქართული ლექსიკონი. ო. ყ ი ვ შ ი ძ ი ს ა და ავ. შ ა ნ ი ძ ი ს რ ე ლ. თბილისი, 1928 წ., გვ. 464-465.

² ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941 წ., გვ. 14.

³ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (შემდგომში — საქ. ისსა), ფონდი 1087, აღწერა 1, საქმე 1021, ფურცელი 14.

⁴ ოანე ბ ა ტ ო ნ ი შ ი ლ ი. კალმისთა I. კ. კ ე მ ე ლ ი ძ ი ს ა და ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რ ე ლ., თბილისი, 1936, გვ. 194-195; III. A. Месхия. დასახლებული შრომა, გვ. 125-126.

⁵ საქ. ცსსა, ფონ. 548, ფურ. 3, საქ. 74, ფურ. 34; Лаврентьев. Статистическое описание губернии и области Российской империи, XVI, ч. I, СПб., 1858, გვ. 254. Г. А. Дзидзария. Народное хозяйство и социальные отношения Абхазии в XIX веке. Сухуми, 1958, გვ. 59.

⁶ საქ. ცსსა, ფონ. 1087, აღწ. 1, საქ. 1021, ფურც. 19; ვ. ი ა შ ვ ი ლ ი. აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი, 1948 წ., გვ. 39; ვ. ი. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. საქართველოს უძველესი მეტალურგიული ცენტრების საკითხისათვის. ქ. მეცნიერება და ტექნიკა⁶, № 2; თბილისი, 1950, გვ. 20; Лаврентьев. დასახ. შრ. გვ. 106.

⁷ ზოგიერთი მკვლევრის შრომაში, აგრეთვე, საარქივო საბუთში გუერჯა და ყარამანის გვარი ნარაგვარაია მითითებულია: ელიაზარაშვილი, ელიაზარაი, ელიაოი და სხვ. არქივში გამოავლინებ გუერჯაის უცნობი განცხადება, რომელსაც ხელს აწერს „გუერჯა სარტისაჲ ძე ელიაზარაშვილი“ (საქ. ცსსა, ფონ. 213, აღწ. 1, საქ. 212, ფურ. 1-3).

⁸ საქ. ცსსა, ფონ. 254, საქ. 659, ფურ. 252, რიგ. № 678, საქ. 650, რიგ. № 4; საქ. 651, რიგითი № 434, 994, 1144, ფურ. 218, 226, 241 და სხვ.

⁹ „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, 1. ო. გ. შ ა ლ ო რ ი ს რ ე ლ., თბილისი, 1949, გვ. 157.

¹⁰ П. В. Гугушвили. Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., I. Тбилиси, 1957, გვ. 47.

¹¹ საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 4669, ფურც. 1.

¹² იქვე, ფურ. 2.

¹³ П. В. Гугушвили, დასახ. შრომა, გვ. 42-43.

თოფე და ცივი იარაღის 15 ოსტატი მუშაობდა¹, ხოლო მთლად საქართველოში ირიცხებოდა 15 მეთოფე და ხმალ-ხანჯლების 45 ოსტატი². მიუხედავად ამისა ცივი იარაღის წარმოება ჩვენში მაინც არ შეწყვეტილა.

პოტე ი. პოლონისკის გადმოცემით, 40-იან წლებში თბილისის მაზარულ ბევრი მხოლოდ ცივი იარაღთ ვაჭრობდა³. კარგი ღირსებისა და მხატვრულად ღმირიერობისა რი ხმალ-ხანჯლების გარდა, თბილისში დაღარული თოფებიც კეთდებოდა⁴, რომელნიც არა მარტო მხატვრული გაფორმების, არამედ საომარი თვისებითაც ბევრად აღემატებოდა ფაბრიკულ ნაწარმს⁵.

საქართველოში მუშაობდნენ აგრეთვე უცხოეთიდან ჩამოსული მეიარაღნი (მაგალითად, აქინე შივი თბილისში ფოლადის შესანიშნავ იარაღს ვეჭობდა)⁶. ცივი იარაღის ჩამოსული ღუმბორებიც აშხადებდნენ⁷.

ქართულ იარაღის ნაწილს ფარულად იძენდა შამილიც, რომელიც, ფრ. ენგელსის ცნობით, ყველაზე მეტად იარაღის სიმდიერეს განიხილდა⁸. ამიტომ მეფისნაცვალმა მ. ს. გორონ-ციგმა მეტად მაკარი კონტროლი დააწესა, რათა მთიანეთში თბილისიდან იარაღ არ გაეზარათ⁹, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა იარაღის ხელისწიერ წარმოებაზე. უკანასკნელი თანდათანობით ეცემოდა აგრეთვე იმიტომ, რომ რუსეთიდან შემოტანილი იარაღის რაოდენობა სისტემატურად იზრდებოდა.

მიუხედავად ამისა, 60-იანი წლებისათვის მეიარაღეობას ჩვენში მაინც საგრძნობი ადგილი ეკავა. გენ. პოტო, შავი-შვიდაპირთა და საქართველოს იარაღის გამაგრეცხველელ ცენტრად მიიჩნევედა¹⁰. თბილისში უფრო მეტად გასცვივდა ხმალ-ხანჯლებით ვაჭრობა, რაც მხატვარ გ. გაგარიის მხატვრულ ტილოზეც აისახა¹¹. 1865 წლისათვის საქართველოში სულ 118 ოსტატი — მეიარაღე ირიცხებოდა, ხოლო მარტო თბილისში — 38 ოსტატი და 49 დამზადებ მუშაობდა¹². მათი საუკეთესო ხარისხისა და მაღალმხატვრული ნაკეთობა საქართველოს ფარულად გართავს იყიდებოდა.

მაგარი ქართველმა მეიარაღეებმა როგორც წინათ, ისე XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სახელი გაითქვეს უმათერესად ჯავარდენის ფოლადისაგან ხმალ-ხანჯლების წარმოებით.

უკანასკნელ წლებში ამ წარმოების არსითა და ისტორიით ბევრი მკვლევარი დაინტერესდა. მათი კვლევის მთავარ ობიექტს წარმოადგინეს გასული საუკუნის 20-30-იან წლებში მცხოვრები თბილისელი ოსტატი ყარამან ელიარაშვილის სახელოსნო, რომელმაც ერთი გარემოების გამო, ფართოდ გაითქვა სახელი რუსეთშიც.

ყარამან ელიარაშვილის ხელოვნება და დამსახურება

პირველად პროფ. გუგუშვილმა გამოიკვლია და სათანადოდ შეაფასა მისი ხელოვნება¹. მაგარი ზოგიერთი მკვლევარის მიერ გამოქვეყნებული შრომებიც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის ჯავარდენის ფოლადისაგან ცივი იარაღის კეთება მხოლოდ ელიარაშვილებმა იცოდნენ, და მათ ისეთ ამბებსაც კი მიაწერენ, რომელთაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია.

მკვლევართა ნაწილი მიუთითებს, რომ ყ. ელიარაშვილმა იცოდა ჯავარდენის ფოლადის გამოწონისა და მისგან იარაღის გაკეთების ხელოვნება. ზოგიერთის აზრით, რუსეთში ჯავარდენის ხმლების მასობრივად დამზადება დაიწყო მას შემდეგ, რაც ელიარაშვილის მიერ მომზადებული ოსტატები ზღაბოტის ქარხანას დაუბრუნდნენ. მკვლევართა მეორე ჯგუფი საერთოდ უარყოფს ელიარაშვილის მიერ ამ ხელოვნების ცოდნას. მას სახავენ მატყუარად, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, — ისეთ ჩვეულებრივ ხელოსნად, რომელმაც იცოდა მხოლოდ ინდური ფოლადისაგან სატყვართა პირების პეჭვა.

ყარამან ელიარაშვილის დიდოსტატობის შეფასებაში არც ერთი მხარე სწორი არ არის. ისინი დაუმსახურებელ ჩრდილს აყენებენ არა მარტო ყარამან ელიარაშვილის, არამედ მთელ ქართულ ხელოსნობასაც, რომლის ტრადიციული წარმატება კარგი თვისებისა და მხატვრული ხმალ-ხანჯლების წარმოებაში საერთოდ ეჭვის ქვეშ არის დაყენებული.

ამ შეხედულებათა შესაბამისად ნათელია მოკლე ექსპერსი ქართული ჯავარდენის წარსულიდან. ჯავარდენის ფოლადიდან ხმალ-ხანჯლების დამზადება ჩვენში ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ტოდინათ, და დასავლეთ ევროპა ამ იარაღებით საქართველოდანაც მარადებოდა².

რას წარმოადგენს ჯავარდენის ანუ მულატის³ ფოლადი? ეს არის განსაზღვრული ქიმიური შედგენილობის ლითონი, რომლის ანაეროტული ძეგად და წარმოადგენს ლითონის სტრუქტურულ ცვლილებასა და, ამის შედეგად, ხმალ-ხანჯლების ზედაპირზე ნაირგვარი ლამაზი ნაყვის წარმოშობას. უკანასკნელი კი იარაღ მხატვრულ იერს აძლევს.

იცოდნენ თუ არა ძველმა ქართველმა მხატვარებმა ასეთი ფოლადის გამოწონა, წყაროებში მითითებული არ არის. მაგარი ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებით, საქართველოში ხალხობა მიერ მზადდებოდა მაღალღირსებაში ფოლადი, რომელიც არ იფანებებოდა და კარგი ნაწარმობით განიჩნებოდა⁴. ივარადება, რომ დახელოვნებული ქართველმა მეფოაღებებმაც აღრვეს იცოდნენ წმინდა ჯავარდენის ფოლადის დამზადება, რომლის ტრადიციამ ჩვენში საშუალო საუკუნეებამდე მოაღწია.

როგორც ქართული ფოლადის უამრავი ძეგლებით, ისე არქეოლოგიური ინვენტარიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენში, ხარისხობანი საომარი იარაღების ხელოვნება უხსოვარ დროიდანაც ცნობილი. არსებობს მითითება, რომლის მიხედვით, სკანდინავილმა სავმა-მიითურმა მეიარაღე ვილანდმა — სა-

1 საქ. ცსსა, ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 6366, ფურ. 20.
2 იქვე, ფურ. 23.
3 დას. ცსსა. „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, გვ. 261.
4 საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 325, ფურ. 5.
5 საქ. ცსსა, ფონ. 1087, აღწ. 1, საქ. 1021, ფურ. 19.
6 «Кавказ», № 36, 1847.
7 Лавриентьев, დასახ. შრომა, გვ. 254.
8 Ф. Энгельс, Статьи и письма по военным вопросам, М., 1923, გვ. 80.
9 საქ. ცსსა, ფონ. 4, საქ. 744, ფურ. 18.
10 В. А. Потто. Кавказская война, IV.
11 Ш. Чегетия, Тбилиси в XIX столетии, Тб., 1942, илл.стр., № 10.
12 საქ. ცსსა, ფონ. 414, აღწ. 1, საქ. 18, ფურ. 14.

1 პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1941, გვ. 173-174; მისი ინიციალი — ამბრულ ხელოსნობის დღშლა ამიერკავკასიაში (საქ. მეც. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტის „შრომები“, 1953, ტ. VIII, გვ. 372); П. В. Гугушвили, დასახ. შრომა, გვ. 46-50.
2 П. В. Гугушвили, დასახ. შრომა, გვ. 49.
3 ეს სიტყვა სპარსულიდანაა წარმოშობილი.
4 В. Л. Татищев. Известия древнерусских и латвийских писателей о Скифии и Кавказе, ч. I, «ВДИ», 1947, № 2, გვ. 327-328; № 3, გვ. 272.



დიდება მოუხდენია, მაგრამ მეიარაღებს მასში განცვიფრება გამოუწვევია. „ქართულ ოსტატთა ყველაზე შესანიშნავი ხე-ლომეებია, — წერდა ის, — თეთრი იარაღი, ხმლის პირებისა და ხანჯლის სახელების დამზადება. ქართველთაგან ერთი პრივილეგირებული ოსტატია, რომელიც შესანიშნავი ჯავარ-დენიდან კარგად ნაწრობი ხმლის პირებს აკეთებს დაკვეთით. ეს ხმლის პირები დამასურეს არ ჩამოუვარდებიან. სატყვეთს პირებს ის პაერის საშუალებით აწრობს. ამისათვის სამჭედ-ლოთთან მზად დგას რამდენიმე ცხენოსანი. იგი ქურში გახურებულ ლითონს ხელში აწვდის ცხენოსანს, რომელიც პაერის წინააღმდეგ ამართულ სატყვეის პირთ თავაწყვევით მიჰქერის განსაზღვრულ ადგილამდე და ფოლადი იწრობა“¹.

თბილისში ამ დროს პრივილეგირებულ ოსტატად ითვლებოდა ვინმე გეურქა. მეორე ანიშინ ავტორი, ვინმე „ა. ს.“ გადმოგვცემს: „ქართული იარაღი, განსაკუთრებით კი ხმალი, ქებულია. ოსტატ გეორგს მთავრობისაგან აქვს პრივილეგია უკანასკნელთა დამზადებაზე და მეტად სახელმწიფოებელია თავისი ნაშრომებით. სატყვეის პირს აკეთებს რკინისა და სპილენძის თხელი მავთულსაგან, რომელსაც ძალიან დიდხანს ჰქვადვს. კარგმა ხმალმა ლურჯმანი უნდა დაკვეთოს. სხვათა შორის, დახელოებულიდანაც ბევრადი და მოკიდებული. ჩვეულებრივი სასინჯია — სამად მოკეცილი ნაბადი, რომელსაც ჰკვეთავენ“².

თბილისური ხმლები ასეთ მაგარ მოთხოვნებს სასტიკი აკმაყოფილებდნენ. ა. ს. პუშკინი „ერზურუმ მგზავრობაში“, წერდა: „გრაფი სამილოვი და ვ., რომელთაც აქ გოლიათების სახელი გუაგარდა, ჩვეულებრივად ცხვარზე ან ხარზე სციდენენ თავიანთ ახალ ხმლებს. ერთი დაკვირით ორად აპობდნენ ცხვარს ან თავს აგდებინებდნენ ხარს“³.

ა. ს. პუშკინი, სამწუხაროდ, არ მიუთითებს, თუ ვინ იყო ასეთი იარაღი დამამზადებელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხმლებიც წარმოადგენდნენ აღნიშნული გეურქას (გეურგას) ნაკეთობას, რადგან იმ დროს სწორედ მის მიერ დამზადებული ხმლები იყო ყველაზე მეტად გაგრძელებული.

1827 წელს ერთი უცნობი პირის ქონებაზე შედგენილ ნუსხაში ოსტატ გეურქა (არა გეურგა, გეორგა) ორჯერაა მოხსენებული: „ხმალი გაწობილი, თეთრტარინი, გეურქას გაკეთებული, ზარნიშანიანის იარაღითა“, „ხმალი, გეურქას გაკეთებული, ოქროს ზარნიშანიანის ქუფითი გაწობილი“⁴.

მასაღამე, 20-იან წლებში თბილისის მეიარაღეთა შორის თანამედროვეთა ყურადღება მიუქციათ საუკეთესო ხმალ-ხანჯლების მკეთებელ ვინმე გეურქას. 30-იანი წლების მეორე ნახევარში და, როგორც ვნახავთ, შემდგომაც გეურქა ისევ სახელგანთ ოსტატთა რიგებშია მოხსენებული.

1837 წელს, თბილისში რამდენიმე კვირის განმავლობაში იმყოფებოდა დიდი რუსი პოეტი მ. ლერმონტოვი. მან ქართულ ხანჯალს ხანჯაბეგო ლექსიც მიუძღვნა („ხანჯალი“). პოეტი, მიზართავე რა თავის ჯავარდენის ხანჯალს, წერდა

„შენ... ფიქრინამა ქართველმა გეგადა“. ლერმონტოვი მეორე ლექსის („პოეტის“) შვად დაწერილ ვარიანტში „ფიქრინამა ქართველის“ ნაცვლად უკვე ოსტატის სახელს მიუთითებდა: — „Мой ножик, Тегра старого издалье“⁵.

ლერმონტოვი მეიარაღე „გეურგას“ თავისი ერთ-ერთი პოეტური ჩანაფიქრის გეგმაშიც („მე-თბილისში“) იხსენიებს: — „ჩვენ გადაწვევით მოძებნით (ჰყვლეული); მტიკეციხისათვის მიცავლებულს ხანჯალი მოვსენი. მიგაქვს გეურგასთან. ის ამბობს, იგი რუს ოფიცის დუშადალი“⁶.

ლერმონტოვი, ქართულ ჯავარდენს სხვა ლექსშიც იხსენიებს⁷.

1835 წელს ოფიციალური მიმოხილველი მიუთითებდა, რომ „მოთლს ამიერკავკასიაში ფოლადის საქის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატ იმყოფებოდა თბილისში. მისი გაკეთებული ხმლები და ხანჯლები ჩინებულია“⁸. ამ ოსტატის ეთანობის მიმოხილველი არ მიუთითებს. პროფ. პ. გეგუშვილი ვარაუდობს, რომ იგი ყარაამან ელასზარშვილია⁹.

1936 წელს ლექვეგრამა ვ. არაქაძემ გამოაქვეყნა საქართველოში დამზადებული ხანჯლის ფოტოპირი, რომელზედც ნათლად იკითხება ამოკეცილი შესრულებული ქართული წარწერა: „მარტარა“, ხლომ რამდენიმე ბუნდოვანი მისი ვაგირა: — „ვაზარდოს... 184...“ („ტფ. 1844 წ.“)¹⁰.

1850 წელს ამიერკავკასიის სამრეწველო გამოფენაზე მონაწილეობისათვის დაკვირვებულთა შორის იხსენიება თბილისელი ოსტატ გეურქა, რომელიც სამედიცინოს საბერველით იქნა დაკვირვებული, როგორც იარაღის საუკეთესო ხელოვანი¹¹.

40-იან წლებში თბილისში ე. წ. „ზემოთბენელთა მოდის ხანჯლები“ ყოფილა განთქმული. გრ. ორბელიანი ჯუნგუთაიდან ქეთევან ორბელიანს სწერდა: „ამას წინათ ხანჯალი გამოგზავნენ ზემოთბენლების მოდისა. უნდა იცოდეთ, რომ მაც ვვარის ხანჯლებს, დიდი ხანი გავა, რომ ველარავინ გააკეთებინებს“¹².

¹ И. Андриконов, „Перматов в Грузии в 1837 году, Тбилиси, 1958, გვ. 123. აქვე უნდა შევნიშოთ, რომ ლექსი — „პოეტის“ ეს ნაწილი ქართულად მნიშვნელოვანი ხარვეხებითაა თარგმნილი. ორიგინალში ვითხოვლობთ: „В серебряных ножнах блистает мой ножик, Тегра старого издалье, булат его хранит таинственный закал, для нас даву утраченное зелье“. ქართულად რგი ასეა თარგმნილი: „ვერცხლის ქარქუში მძლავრად ბრწყინებს ჩემი ხანჯალი, გიორგის მიერ ძველმძიველად ნაქვედნი რვაჯო, მისი ბუღტალი საიდუმლო წართმის ინახავს, დიდი ხანია რაიც ჩვენთვის უცნობია არა“ (ვ. ჩილოყაშვილი, „ბულატის თბილისელი ოსტატები“. ფურ. ლექს-ნირება და ტექნიკა, № 5, 1956, გვ. 16). როგორც ვხედავთ, უკეცის ზოგიერთი ადგილი თარგმნით დამახინჯებულა. ჩვენ მხოლოდ ერთ მომენტს აღვნიშნავთ. პოეტი, ჩვენი აზრით, ამბობს ან იმას, რომ მისი ხანჯალი ოსტატმა ძველმძიველად გამოქვდა, არამედ იმას, რომ ის ძველი ოსტატის ნაკეთობა წარმოადგენს — „Тегра старого издалье“ და არა „Тегра старое (давнинее) издалье“, გაუმართლებელია აგრეთვე ოსტატის სახელის („გეურგას“) გიორგად“ შეცვლა, მით უმეტეს, რომ ლერმონტოს ეს სახელი ორ სხვადასხვა ნაწარმოებში ერთნაირად აქვს მოხსენებული და წერილობითი წყაროებიდან არ შეიძლება დადგინოთ.

² იქვე გვ. 123.
³ М. Ю. Лермонтов, Пол. собр. соч., т. I, 1953, გვ. 270.
⁴ „Обозрение... I, 1835, გვ. 236. П. В. Гугушвили, დასახ. შრომა, გვ. 47.
⁵ П. В. Гугушвили, დასახ. შრ., გვ. 47, შენიშვნა 34
⁶ А. И. Т., 1936, в. 8, გვ. 172.
⁷ Кавказский календарь на 1851 год, განყ. II, გვ. 70.
⁸ გრ. ორბელიანი, წერილები, 1936 წ., ავ. ვაჭერელის რედაქციით, ტ. I, გვ. 151-152.

¹ Журн. „Библиотечка для чтения“, 1848, ტ. 86, გვ. 44-56. საგულბნობა ავტორის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ცხენოსნების გამოყენება პირადად არ უნახავს და ეს სხეებზე უმახვებს. ავტორი უკვეცია შედრომამო შეყვანილი, თბილისელ ხელისნეგს, რომლებმაც წართმის ნარკავარი ბერძი იკოდნენ, არ შეეძლოთ. ასეთი ნაკლები ფეტიტის საშუალებისათვის მიგობრობათ.
² Журн. „Северный архив“, X, 1823, გვ. 232-234.
³ დას. კრებ. „რუსი მწერლები“, გვ. 157.
⁴ ნ. ბერძენიშვილი, დას. მასალები, ტ. 3, გვ. 492.

წყობიდან დასახული მიზნის მიღწევას. რუსეთში უკვე აღ-
რვე იყო ცნობილი, რომ საკართველო მიდარია იყო არა
მარტო მინარაღი რუსურებით, არამედ ჯავარდენის და-
მამუადელო ოსტატებითაც. მათ გამოყენებას შეელო მიძიმე
მდგომარეობიდან გამოიყვანა ზღაბრუსტის ქარხანა, რომ-
ლის შესახვა მთავრობას ერთო მცირი უფლებოცა. ამ მიზ-
ნით კანკინმა 1828 წლის 24 ოქტომბერს თბილისის სამ-
ხედრო გუბერნატორ სიპიაგინს (და არა პასკევიჩს, როგორც
ხშირად აღნიშნავენ) დაავალა, რათა მას სასურაფოდ შეეკ-
რება ყოველგვარი ცნობა იმაზე, თუ თბილისელი ოსტატები
კავარდენის ფოლადის დამამუადელოდ რა ნედლეულს იყე-
ნებდნენ, როგორ ამუშავებდნენ მიღებულ ფოლადს, როგორ
წყობენ და რაში აწრთობდნენ ხმალ-ხანჯალების პირებს,
აგრეთვე, როგორ აღწყვედენ ისინი ოქრო-ვერცხლის ძაფე-
ბით იარაღის მოჭრევასა და სხვ.¹ მაგრამ გუბერნატორი
სიპიაგინი, როგორც ცნობილია, 1828 წლის დასასრულს
მეტად უცნაურ და საყვეთ ვითარებში გარდაიცვალა. ამი-
ტომ აღნიშნული დავალების შესრულება მოუხდა პასკე-
ვიჩს².

1829 წლის დასასრულს ის ე. ელიარაშვილს დაკავში-
რებია და იმპერატორისათვის ხმალ-ხანჯალები მოუთხოვია
საფასურით. ოსტატს ისინი მზად არ ჰქონია და აღუთქვამს
უახლოეს დროში დამამუადეობა. ამავე დროს მას პასკევიჩი-
სათვის უცნობებია, მზად ვარ ჩემი ხელობის საიდუმლოება
მოაგვრობას გადავცეო.

ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, თითქოს ე. ელიარა-
შვილმა ამისათვის პასკევიჩს თავიდანვე ჯილდო მოსთხოვა,
რაცე არ აქციეოთ დასული საბუთი არ დასტურებს. სამთო
დემპრატამენტის მიმართებულ ვკითხვობით: „აღნიშნულმა
ოსტატმა (ე. ი. ელიარაშვილმა) ითხოვა საიდუმლოების გა-
დაცემისათვის იგი მძლდით დაეკარდოვებინათ მხოლოდ მას
შემდეგ, არდასეუ თავისი აღწერის მიხედვით რუსეთში დამამ-
უადეობა ასეთივე კარგი ხარისხისა და თვისების რკინას,
ჯავარდენს, ფოლადს. ის მზად არის თავისი საიდუმლოების
გადასაცემად წავიდეს, სავა სკირია“³.

როგორც პასკევიჩის წერილები ირკვევა, ყარამანს 1830
წლის მაისისათვის დაუმუადეობა დამაზა, ხმალი, ხანჯალი და
მახვილი, რაშიც 160 ჩერონციეი მიუღია.

აქედან ხმალი და ხანჯალი მას ნამდვილი ჯავარდენის
ფოლადისაგან გაუკეთებია ნაირგვარი ორი ნაყმით, ხოლო
ფოლადის დამაზა-ჯავარდენის გარკვანი იმიტაციით და-
ერთიც — ხმლის პირი, ესა ნაწილის ტალღისებრი მხატვ-
რული ზედაპირით. ყველა ეს მხატვრულად გაფორმებული
ნაკეთობანი, აგრეთვე მათი დამამუადეობის დაწერილობითი
აღწერილობა ჩაუბარებია პასკევიჩისათვის. იმპერატორმა
ელიარაშვილის ნაკეთობებს მალეო შეფასება მისცა.

ზღაბრუსტის ქარხნის დირექტორისათვის 1830 წლის
13 აგვისტოს გავაზვილ წერილი კანკინი სწერდა: იარა-
ღი „თბილისის საუკეთესო ოსტატის ელიარაშვილის მიერ ისე
ჩინებულად არის დამამუადეული, რომ... ისინი ბევრტანინ
ყოველივე იმას, რაც კეთდება ჩვენსა და თვით ვეროების საუ-
კეთესო ფაბრიკებშიაც კი“⁴.

ამიტომ ცენტრში სასურელოდ იქნა მიჩნეული, რათა

ასეთი იარაღების დამამუადეობის ხელოვნება ელიარაშვილს
რუსი ოსტატებისათვისაც შეესწავლებინა.

ამ იმეის თაოსანი, როგორც აღინშნა¹, თვით ყარამან
ელიარაშვილი იყო, რასაც დასტურებს პასკევიჩის წერილი,
რომელიც მას 1830 წლის 30 მაისს, იარაღის აღნიშნულ
ნიმუშებთან ერთად კანკინისათვის გაუგზავნია².

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი შეუწყნარებლად
ამხინჯავს სინამდვილეს. მაგალითად, 1954 წელს გამო-
ქვეყნებულ შრომაში ი. პეშკინი წერს: „ელიარაშვილმა ჯერ
გადაკეთა უარი თქვა, ვინმეზე თავისი ოსტატობა გადაეცა
და მხოლოდ ხანგრძლივი გაჭრების შემდეგ დათანხმდა
რამდენიმე შეგირდი აეყვანა, თუ დიდ გასაზრჯელოს მიი-
ღებდა“³.

მამასადამე, ავტორი უპირისპირდება იმას, რასაც ამის
ნესახებ პასკევიჩი და კანკინი წერდნენ. პეშკინის დასკვნის
უნაწრებულობის ნათელსაყიფად საჭირო არ არის ვრცელი
ექსკურსი ტომობრივი და ინდივიდუალური ხელოსნობის
უშველესი ისტორიიდან. ამისათვის საკმარისი იქნება უკა-
ნასკენელი ორი საუკუნის მაგალითებიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განვითარების გარკვეულ
საფეხრებზე ხელოსანი პროდუქციის ნაწილს მხოლოდ არსე-
ობისათვის ხელოვნებულ საფეხრზე და პროდუქტებზე გასაცე-
ვლელოდ ამუადებდა. მაგრამ მას შემდეგაც, რაც ის წერილ
საქონებულწარმოებლად გადაიქცა და მიწათმოქმედებას სრუ-
ლიად გამოეყო, მისი შემოსავლისა და არსებობის ერთადერთი
წყაროს ხელობა წარმოადგენდა.

ხელოსანთა შორის მეტოქეობის თანდათანობითმა გან-
ვითარებამ და ეკონომიური მოზოპოლიისადმი ბუნებრივმა
ნისრქავებამ ხელოსანი აიძულა თავისი ხელოვნება სხვე-
სათვის მიუწვდომელი გაეხდა. ამიტომ ხელობა, მის გავე-
ჯობებისთანა დაკავშირებული „ღვთაებრივი საიდუმლოე-
ბანი“⁴, აგრეთვე მაგიური ლოცვა-ვედრება და სხვა მისტიკე-
ური ხასიათის ატრიბუტები, მთლად თაობიდან თაობაზე საი-
დუმლოების სახით გადადიოდა, როგორც ვეარის კუთენი-
ლება. თითოეული თაობა წინამორბედა მოაგონებით გაურ-
ზობდა „ღვთაებისაგან“⁵ მინიჭებულ ხელოვნების საიდუმლო-
ების გაცემას, რაც მისი წარმოდგენით, ღვთაებათა რისხე-
ბას, ოსტატის დეკარგვასა და, მამასადამე, მატერიალურ
დუსტირს გამოიწვედა. ბუნების მოვლენებზე პრიმიტიულ-
მა წარმოდგენამ ხელოსანთა შორის უშველეს დროიდანვე
წარმოშუეს რწმენა იმის შესახებ, რომ დახელოვნება მხოლოდ
მისი ხედრია, ვინც მისტიკური ძალებით არის მოსილი
(ე. მარქსით, სიტყვა „მასტერიც“ აქედან წარმოიშვა).

ხელოსანთა ეკონომიურმა მდგომარეობამ და რელიგიურ-
მა ცრუმორწმუნებამ გაახანგრძლივა ხელოვნების ამა თუ იმ
დარგში ყოველგვარ გაუმჯობესებათა დასაიდუმლოების
ფართო პრაქტიკა. კარლ მარქსი წერდა: „დამამასობათე-
ბლია, რომ XVIII საუკუნემდე ცალკეულ ხელობებს ეწოდე-
ბოდა... (ანდუმლოებანი), რომელთა ყველადადმი შესვლა
მხოლოდ გამიძირელოდ და პროფესიულად განდობილს შეეძ-
ლო... მსხვილმა მრეწველობამ ჩამოკლია ის ფარდი, რომე-
ლიც ადამიანებს უმაღლავდა წარმოების მათსვე საკუთარ
პროცესს და გამოცნად ხდიდა სხვადასხვა სტიქიურად გა-

¹ საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 171, ფურ. 2.

² საქ. ცსსა, ფონ. 12, აღწ. 1. საქ. 1062, ფურ. 1.

³ საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 171, ფურ. 4.

⁴ იქვე, ფურ. 2.

¹ საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 171, ფურ. 4.

² АКАК, VIII, გვ. 342, 294.

³ И. Пешкин, П. П. Аносов, 1954, гл. 128.

მოცალკეებულ დარგებს ერთიმეორისათვის და თვითველ დარგში განდობილისათვისაც კი¹.

XVIII საუკუნის ნახევარშიც არა თუ ხელოსნობა, არამედ ზოგიერთი მანუფაქტურაც, მუშების მიღებისას ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც ფაბრიკის საიდუმლოებას შეადგენდა, კარლ მარქსის სიტყვით, — „ნახევრად იდიოტებს აძლევდა უპირატესობას“², რათა ხელოვნების საიდუმლოება არ გამოშვებულყო.

უფრო მეტიც, ამა თუ იმ ხასიათის ტექნიკური გაუმჯობესებისა და თვით ხელოსნობის მიელი დადების დასაბუღლოებების პრაქტიკას, როგორც წარსულის განდობნის, XIX საუკუნის დასასრულამდე რუსეთშიც ვხვდებით. ამისი მაგალითები უმარავია და მისი მთავარი მიზეზი ხელოსნათა ეგონომიური პირობები იყო. ვ. ი. ლენინი, შრომაში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“³, წერდა, რომ ბაზრის გაფართოებამ კონკურენცია წერილ მრეწველთა შორის გააძლიერა, რამაც საუფუძელი გამოიკადა მის მონოპოლიურ მდგომარეობას. „ამიტომ, განავრცობს იგი, — უმარა მას კონკურენციის... ეს შიში... მკაფიოდ ააშკარავებს წერილი საქონელმწარმოებლის ნამდვილ საზოგადოებრივ ბუნებას“⁴. შემდეგ, კონკურენციის შექრების მიზნით, წერილი მრეწველნი მოისწრაფიან — ადამაონ ტექნიკური გამოგონებანი და გაუმჯობესებანი... ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რათა თავის თანამეზობელთ დაუმალონ ხელსაყრელი მოსაქმეობა... არავის არ უშვებენ თავის სახელისწიუმში, მუშაობენ სარდაფებში და წარმოების შესახებ არაფერს ეუბნებიან საკუთარ შევიდებსაც კი“⁵. ნიფინ-ნივგოროდის სოფ. ბეზვოდნის მელითონე ხელოსნები იქამდეც კი მისულან, რომ თავიანთ საქონელებს მუხოზბელ სოფლებში არ ათხოვებდნენ, და არც სასიძო მოჰყავდათ იქიდან, რომ ხელოსნობის საიდუმლოება სხვა სოფლებში არ გაეტანათ, ხოლო, ვინც ამას ჩაიღწდა, მას წესობრივად მაინც სჯიდნენ“⁶.

კიდევ შეიძლება ანალიტიკური ფაქტების, ამქრული წესდებებიდან და ცალკე სახელმწიფოთა კანონდებლობებიდან ამონაწერების დამოწმება, მაგრამ უკვე აღნიშნულც ცხადყოფს, რომ ელიარაშვილი ხელოვნების დასაიდუმლოების მხრივ გამონაკლისს არ შეადგენდა და მისი თავდაპირველი მოქმედება ან საიდუმლოების დაცვის საქმეში გამოწვეული იყო „წერილი საქონელმწარმოებლის ნამდვილი საზოგადოებრივ ბუნებით“ (ვ. ი. ლენინი) და არა პირადი კუთვობითა და თვისებით, როგორც ამას პეშინი გვიჩვენებს.

მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, ელიარაშვილის თავისი საწარმოო საიდუმლოება მეფის მთავრობისთვის მაინც გადაუცია⁶.

იმპერატორის ბრძანებით, ყარამან ელიარაშვილი დაჯილდოვდა ოქროს მედლით. ერთდროულად კანკრინმა ზლატოუსტის ქარხნის ხელმძღვანელობას დაავალა საქაროდ შეერჩია ახალგაზრდებიდან ორი ყველაზე უნარიანი ოსტატი,

ამდენივე მუშა და სათანადო რუსული ლითონებით ისინი გავეზავნა თბილისში ელიარაშვილთან საგარეულო მხელთა ნების ასათვისებლად“⁷.

1830 წლის 18 ნოემბერს, მთავარმმართველის დავალებით, ელიარაშვილს ჩააბარეს მედალი, აგრეთვე, წერილი, რომლითაც მას აცხადებდნენ: „თქვენნი ხელოვნება სასარგებლო იქნება მამულისათვის“⁸.

1831 წლის მარტის შუა რიცხვებში ზლატოუსტიდან გამოგზავნილი მუშები ელიარაშვილთან ზაფხულში ჩამოვიდნენ. რუსეთიდან გამოიგზავნა სხვადასხვა ქარხნის ფოლადი, ოუჯი და რკინა. ელიარაშვილმა ურადიდან ჩამოტანილი ნიმუშები შეამოწმა და დასკვნა წარუდგინა თბილისის პოლიტექნიკის მინისტრს⁹. ყარამანმა გულმოდინედ მოკიდა ხელი ურალური ოსტატების მიმზადებას და იმათაც მოკლე დროში აითვისეს თბილისელი ოსტატის ხელოვნება. რამდენიმე თვის შემდეგ, 1832 წლის დამლევისათვის, ელიარაშვილის ხელმძღვანელობით, მათ გააკეთეს ჯავარდნის ფოლადის 10 ხმალი. ნიმუშებმა ცენტრში ისევე მაღალი შევასება მიიღეს, რისთვისაც ყარამან ელიარაშვილი ღელახლა იქნა დაჯილდოვებული 1000 მანეთით, ხოლო ზლატოუსტელი ორი ოსტატი — ვოლფერტი — ვოლფერტი — თითოეული 500 მანეთით“¹⁰.

ამავე წლის მაისის თვეში ურალელმა ოსტატებმა ისევე ელიარაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით 13 დღეში გააკეთეს ხმლის ოთხი პირი, აქედან ორი — ზლატოუსტის ქარხნის მასალით, ხოლო ორი — ქართული ნალებისა და თურქული ფოლადის დადუღებით“¹¹.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რამდენად დამორბეულია სინამდვილის პეშინის შემდეგი დასკვნა: „სწავლების დამთავრების შემდეგ ოსტატები ჩამოვიდნენ პეტერბურგს. მინარხის სურდა პირად მათგან გაეფო, როგორ წარმატებებს მიადრეეს მათ, განაღდეს თუ არა ხარჯები. აღმოჩნდა, რომ კახრამან (ივლინსხება „ყარამანი“ — ა. კ.) ელიარაშვილს ჯავარდნის საიდუმლოება არ იცოდა, თავის შევირდებს ის ატყუებდა და ბოლოს იძულებული გახდა ელიარაშვილი, რომ ნამდვილი ჯავარდნის მახელების გაკეთება შეიძლება მხოლოდ ინდური რკინისაგან. მაგრამ, რას წარმოადგენდა „ინდური“ რკინა და რით განსხვავდებოდა ის ურალისეულისაგან, ელიაზაროვს არ შეეძლო აესწნა. ასეთ დასასრულს მისისა, რომელზედაც ესოდებ სერიოზული იმედები ემყარებოდა, კანკრინმა არ მოელოდა“¹².

ს. ესაქ ასევე აღნიშნავდა, რომ ყარამან ელიარაშვილიც არ იცოდა, რას წარმოადგენდა ინდური ლითონი — „გ უ ც ი“, რომელსაც ის მზა სახით ირანიდან ან ინდოეთიდან იღებულობდა“¹³. მეკლევარი ირ. ანდრონიკაშვილი უფრო შორს მიიდა თბილისელი ოსტატების ტექნოლოგიური ცოდნის უარყოფით შეფასებაში და წერს: „ფიქრობდნენ, რომ გეურგამ

¹ იქვე, ფურ. 1-2.

² იქვე, ფურ. 7.

³ AKAK, VII, გვ. 345.

⁴ AKAK, VIII, გვ. 191-192.

⁵ საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 171, ფურ. 12. ლიტერატურაში ზოგჯერ მოუთხოვენ, რომ ყ. ელიარაშვილი ინდური ფოლადის გარდა, თითქოს ქართული თუჯის ფებნისაყ იყენებდა. იმდროინდელ საქართველოში თუჯის წარმოება არ არსებობდა და ოსტატი თურქული თუჯის ფებნილი მუშაობდა.

⁶ И. Пешкин, даახ. ობხ. გვ. 128 — 129.

⁷ საქ. ცსსა, ფონ. 12, აღწ. 1 საქ. 1062, ფურ. 1.

¹ ვ. მარქსი, კაპიტალი, 1954 წ., ტ. 1, გვ. 614.

² იქვე, გვ. 460.

³ ვ. ი. ლენინი, ობხ., ტ. 3, გვ. 387-388.

⁴ იქვე, გვ. 388-389.

⁵ იქვე, გვ. 389-390.

⁶ საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 171, ფურ. 1-2; AKAK, VII, გვ. 342, № 294.

და მისმა შვილმა ყარამანმა იცოდნენ ჯავარდენის ფოლადის წრთობის საიდუმლოება. ეს არ დადასტურდა. ისინი მხოლოდ გამოქვეყნდნენ სახელგანთქმულ თბილისურ სატყვერის პირებს, თვით ჯავარდენს კი აღმოსავლეთიდან ლეგლობდნენ. მაგრამ იცოდნენ საშუალება ურალის ქარხანაში დამზადებული რკინისა და ფოლადისაგან, როგორ გაეკეთებინათ ჯავარდენის ყაიდაზე დადუღებული პირები¹.

ყარამან ელიარაშვილი ტექნოლოგიური შექმნების მხრით დაბლა დინებუ იდგა და მისი ხელოვნება მხოლოდ ემპირული გზით შეძენილ ჩვეულებას და ლაქირებებს ეყარებოდა. ამიტომ მას არც მოეთხოვებოდა ამა თუ იმ ლითონის მეცნიერული დახასიათება. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მან ურალის ქარხნებში დამზადებული ლითონების გამოცდის საფუძველზე გამოიტანა სწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ ჯავარდენის დახამაზადებლად ამ ლითონების ერთი ნაწილი სრულად უგარეხის იყო².

ამას გარდა, ყ. ელიარაშვილმა, ურალის ქარხნებში მიხსივე „რეკეტის“ შესაბამისად შერჩეული ლითონები მიიღო მხოლოდ 1831 წლის ზაფხულს, ხოლო, როგორც აღინიშნა, „მთავრობისაგან პრივილეგირებული გუბრქა“ ჯერ კიდევ 20-იან წლებში ამზადებდა სახელგანთქმულ თბილისურ ხმლების პირებს; ყარამანი დაჯილდოვეს არა ურალიდან მიღებული ლითონებით დამზადებული იარაღისათვის, არამედ ინდური და ადგილობრივი ლითონებისაგან დამზადებული ნაკეთობებისათვის.

მართალია, ყ. ელიარაშვილი უმათარესად ინდური ჯავარდენის ფოლადით მუშაობდა, მაგრამ ეს გარემოება მას არც პასუხისმგებლის დაუმალავს, რაც ჩანს როგორც უკანასკნელის, ისე კანკინის წერილებიდან³.

რაც შეეხება იმას, რომ ყარამან ელიარაშვილმა თითქოს არ იცოდა საერთოდ ჯავარდენის „წრთობის საიდუმლოება“ და მხოლოდ გამოქვეყნით აკეთებდა განთქმული ხმალ-ხანჯლების პირებს, რისთვისაც ურალის ლითონებს იყენებდაო, ის სრულ გაუგებრობაზე აგებულია და მცდარია.

საქმის ნამდვილი ვითარება შემდეგია. კავკასიური, ისე როგორც ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხელოვნება მიერ გაკეთებული ხმალ-ხანჯლების პირები, კეთდებოდა სხვადასხვა ლითონების ურთიერთ დადუღებით⁴. ამ პირების მჭრელ ცანობად გამოყვანა წრთობის გარეშე შეუძლებელია. ეს ისობილია ტექნოლოგიის მცირემცოდნეებისათვისაც კი.

რამდენად დახლებიერებული იყო ყ. ელიარაშვილი სხვადასხვა ლითონის ნარეგვარ წრთობას, ყველაზე ხალხად ასახულია თბილისის პოლიტექნიკურის მიწინეოს ვრცელ პაქაჯში, რომელიც მას ბარონ როსტინისათვის 1832 წლის 8 იანვარს წარუდგინა⁵.

ისიც მართალია, რომ ყ. ელიარაშვილმა არ იცოდა ჯავარდენის ფოლადის გამოდნობა, მაგრამ შეიძლება თუ არა ჯავარდენად ჩაითვალოს ლითონების დადუღებისა და მრავალჯერ წრთობით მიღებული სიარბლო პირები, რომლებსაც ელიარაშვილები აზადებდნენ? ამის შესახებ ცნობილი რუსი

მეტალურგი — ჯავარდენის საიდუმლოებათა მცენიერულად პირველი ამომხსნელი პ. პ. ანოსოვი წერდა: „დადუღებული ჯავარდენი (ისინი მიიღებენ როგორც ნარ-ნარი ფოლადების ურთიერთთან, ისე რკინასთან მრავალჯერ დადუღებით), რომელიც შინაგანი ღრსებით განირჩევიან, მზადდება უპირატესად აზიაში, მაგალითად, ინდოეთში, თურქეთსა და საქართველოში, და განსაკუთრებით, იმ ოსტატთა მიერ, რომელნიც ცაცნობილინი არიან ნამდვილი ჯავარდენის და მუშავების დამუშავებას. ევროპულმა დადუღებულმა ჯავარდენებმა ვერ მოიპოვეს განსაკუთრებული სახელი, რადგან ევროპულ ოსტატთა ყურადღება უშეტესად ნაყმის წარმოებას ექცევა და არა ლითონის ხარისხს გაუმჯობესებას“¹.

ამრიგად, პ. პ. ანოსოვი აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში დადუღებით გაკეთებულ ჯავარდენებს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ამავე წესით გაკეთებულ ევროპულ ჯავარდენის ფოლადს. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთის ნაკეთობა მაინც არ იყო სრულყოფილი ჯავარდენი, ანუ ნაკეთობა ისეთი ლითონებისაგან, რომელნიც თავიანთი შედგენილობითა და ბუნებით ჯავარდენებისათვის აუცილებელ ელემენტებს შეიცავდა. მაგრამ არავის, მათ შორის პეშინსკის, საფუძველი არ გააჩნია ამტკიცონ, თითქოს საქართველოში დახამაზებული ჯავარდენი ყალბი იყო². ამას კატეგორიულად უარყოფდა არა მარტო ანოსოვის უკვე დამოწმებული ციტატა, არამედ ის გარემოებაც, რომ ამ იწურვი ფოლადი ე. ი. ჯავარდენის ნამდვილი ფოლადი გამოიყენებოდა.

ქართული ჯავარდენი, როგორც ანოსოვი წერდა, განირჩევა არა მარტო ნაყმისობით, არამედ „შინაგანი ღრსებით“, რაც ნამდვილად ყალბ (ე. ი. ევროპულ) ჯავარდენებს არ ახასიათებდა.

როგორც ყ. ელიარაშვილის, ისე მთელი კავკასიის ოსტატთა მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დამზადებული ჯავარდენი მაინც ბევრად მძარე იყო, ვიდრე სახელგანთქმული მაღალხარისხისგანი ქართული ფოლადი — „გორდა“³.

რამეთუ პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულა ყარამან ელიარაშვილმა თავისი ზღაბრუსტელი მწეირდნობის რუსეთში ჯავარდენის ფოლადის საიდუმლოების ამხსნებით, არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ

¹ П. П. Аносов, Ук. соч., 1954, გვ. 122.

² И. Пешинский, Ук. соч., № 134. ასეთივე შეცდომას უშვებს მკვლევარი ბოგანი, რომელიც ერთმომოტი აფრია პ. ანოსოვის მიერ განსაზღვრულ (გვ. 122) ყალბი და ხელეწიერი ჯავარდენი (И. Н. Бога, П. П. Аносов и секрет былати М., 1952 г., გვ. 54).

³ რას წარმოადგენდა „გორდა“, როგორ მზადდებოდა ის, საშუალოდ, უნდად არ ვიცით. ასტუბოს მხოლოდ მითითება, რომ „გორდა“ მეტად სლი და მჭრელი ხმალი იყო. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ იგი „ხმალი ერთგვარია“. კავკასიის მთიანეთში არსებობდა ლეგენდა სიტყვა „გორდას“, როგორც საუკეთესო ხმლის სინონიმის წარმოშობის შესახებ: ერთ ოსტატს სახელი გაუთქვამს საუკეთესო ხმლისთვის გაკეთებით. მას აღმოუჩნდა მეტეტი, რომელიც ცილა სახელი გატება პირველსათვის. შერეაცხოფილ ოსტატს მეტეტი საჯაროდ გამოუყენებია ხმლების გასასწავლად. ისინი ერთმანეთს ხელახალ მოუდნენ შეტყობაში. პირველი უშობულოდა ხმალი და მეტეტიასთვის მეტეტი — „გორდა“. (უკუტყუ!) და ენობის მოქმეტილი თავისი მჭრელი ხმალიანდ უშაზე გაუბა. ხალხის მეტეტიერება ამ შერჩენია ამ ოსტატის სახელი და ვინაობა, მაგრამ ეს შესაძლო კარგი ხმლის სინონიმად დარჩა (საქ. ცსსა, დეკ. 187, აღწ. 1, საქ. 1021, გვ. 5).

¹ И. Андроников, დასახ. შრ. გვ. 123.

² АКАК, VII, გვ. 345.

³ საქ. ცსსა, ღონ. 1105. 171, ფურ. 2.

⁴ Б. А. Колчин. Опыт металлографического исследования древних железных вещей. Краткое сообщение Института истории и материальной культуры. М., 1949, გვ. 46.

⁵ АКАК, VIII, გვ. 191—192.

ზღატიუსტელმა ოსტატებმა, შესწავლეს რა ყარამან ელია-რაშვილის საშუალებით კარგი იარაღების დამზადებისათვის უკანასკნელის ხელოვნება, მისივე ხელმძღვანელობით გააკეთეს რამდენიმე ხმალი, რომლებმაც ცენტრში მაღალი შეფასება მიიღეს.

კავკასიის ომების ისტორიკოსი, ვ. პოტო წერდა, რომ ელიარაშვილის შევირდებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს ზღატიუსტის ქარხანას; რუსეთის ცენზოსან არამიში გამოჩნდა ზღატიუსტის ქარხნის საუკეთესო ხმლები, რომლებიც 1832-1833, 1834 წლებით იყო დათარიღებული, რაც გიბხ-ვევა ვ. ელიარაშვილთან ზღატიუსტელი ოსტატების მუშაობის პერიოდს¹.

ეს აზრი დაზუსტების მითხოვს.

ოდნავადაც არ უგულებელვყოფთ ყ. ელიარაშვილის თვითმყოფად ხელოვნების დიდი ნაწილს, არც მის დამასხურებას რუსი ოსტატების მომზადებაში და არც მის გარკვეულ წილის დიდი რუსი მეცნიერ-მეტალურგი პ. ანოსოვის ცდები სასაქმეო, მაგრამ არ შეიძლება ელიარაშვილის გეგმურით ის, რისი გაკეთებაც მას არ შეეძლო მისი დაბალი ტექნიკური შემიქნების გამო.

ზღატიუსტის ქარხნის ექსპერიმენტები ანოსოვის ხელმძღვანელობით დამყარებული იყო წმინდა მეცნიერულ მიზანყემებას და კანონზომიერებაზე. ემპირიული მასალა მხოლოდ მეცნიერული შემოწმებისა და განხორციელებისათვის დამატებით ელემენტს წარმოადგენდა. ანოსოვი თვით აღნიშნავდა, რომ მან თავისი ექსპერიმენტული შედეგები შეუდარა საპარულ წესს, რომელიც მაპამეტ (მუჰამედ) — ალის ჰქონია აღწერილი და ბევრი მსგავსება აღმოაჩინა. უეჭვლია, ანოსოვი თბილისელი ოსტატს ყ. ელიარაშვილის მიმდარი საწარმოო გამოცდილების ზოგიერთ მნიშვნელოვან ოპერაციასაც იცნობდა და სათანადოდ იყენებდა. მკვლევარი ი. ნ. ბოგანი აღნიშნავს, რომ ცხელ ზეთში და ჰაერის ჭავლით წროთბა პირველად ანოსოვმა ჩაატარა².

ქართულ ფოლკლორზე რომ აღარა ვთქვათ რა, წროთობის ეს წესები ყ. ელიარაშვილის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს შეადგენდა, რასაც თბილისის პოლიტექნიკური მინერჯიკი აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1832 წლის 8 იანვარს³.

ლითონის წროთობის ქართული წესები ყ. ელიარაშვილის „აღწერილობის“ საშუალებით უთუოდ ცნობილი გახდა ანოსოვისათვისაც, რომელიც ყოველგვარ ხალხურ გადმოცემებს აგრეობდა და მეცნიერული კვლევისათვის იყენებდა⁴.

ამიტომ ივარაუდება, რომ ზღატიუსტის ქარხანის შექმნაში გამოიყენებინა ელიარაშვილის საწარმოო გამოცდილება აგრეთვე ლითონის როგორც ჭედვის, ისე მისი წროთობის დარგში, რასაც ვიწროვლია, არა ზღატიუსტის ცენტრისთვის საშუალებით, როგორც „პოკოინიკი“ და ზოგიერთი ჩვენ დროშიც აღნიშნავენ.

მიუხედავად ამისა, ზღატიუსტელ ოსტატებს, რომლებიც 1832-1833 წლებში ჯერ კიდევ თბილისში იყვნენ და ხელობა სრულყოფილად არ ჰქონდათ ათვისებული, არ შეეძლოთ ზღატიუსტის ქარხანაზე ისეთი გავლენა მოეხდინათ, რომ უკანასკნელს, როგორც ვ. პოტო ვარაუდობდა, რუსეთის არ-

მისიისთვის 1832-34 წლებში დამზადებინა მაღალხარისხიანი იარაღი და ისიც ასე მასობრივად.

ფაქტობრივად, ანოსოვმა ჯავარდენის პირველად გამოღონობს უკვე მანამდე (მეათე ექსპერიმენტის შემდეგ) მიღწეა და მისი ინიშები აჩუქა ცნობილ მეცნიერ გუმბოლდტს, რომელსაც ის ზღატიუსტის ქარხნის ვაგონ⁵. ანოსოვს მამინ არ შეეძლო ამ ერთი ექსპერიმენტის საფუძველზე ჯავარდენის დანობის მეცნიერული კანონზომიერება დაედგინა. მან 1831 წელს მე-107 ცდის შემდეგ დღიურში ჩაიწერა: „მიღებულია ნამდვილი ჯავარდენის პირველი პირი“; 1834 წელს მე-132 ცდით უკვე ხორხასის ფოლადი გამოაღონ და მხოლოდ მე-149 ცდის შედეგად შეეძლო ამოეხსნა ჯავარდენის ფოლადის საიდულებობა და მისი პროცესების კანონზომიერება. აქედან ნათელია, რომ თ. პოტოს შემოსხენებულ ვარაუდს რეალური საფუძველი არ ჰქონდა.

ამას გარდა, ელიარაშვილს არ შეეძლო ისეთი ჯავარდენის ფოლადების გამოღობა, როგორც ანოსოვი აწარმოებდა⁶. ამიტომ არც მის მიერ განუხორციელ შევირდებს შექმნით ამ მხრივ დახმარებოდნენ ანოსოვს, რომლებმაც მეტად რთული და ნაირ-ნაირი ვარაგების 189 ცდა ჩაატარა, კიდრე საბოლოოდ დაადგინდა ჯავარდენის ფოლადის წარმოშობის საიდულებობით მოცულ კანონზომიერებას.

ამრიგად, ყ. ელიარაშვილი ძირითად ნედლეულს — ჯავარდენის ფოლადის სახით (ინდურ „გუქს“) მიღებულდა ადამიანების ქვეყნიდან. იარაღის პირების გაოსაჭედად იყენებდა როგორც თურქეთიდან მიღებულ თუხას და ფოლადს, ისე ადგილობრივ ძველ რეცენულობას და სხვა მასალას. მისი პროდუქცია წარმოადგენდა ნაირგვარი ზოლებსა-საგან დაიდებულ მსატყობად ლამაზ ჯავარდენს, რომელიც გენიალური რუსი მეტალურგი ანოსოვის დასკვნით, თავისი მიზანდას თვისებებით ბევრად აღმატებოდა ევროპულ ანალოგურ ჯავარდენს. ოსტატ ჯავარდენის ასეთ მაღალ თვისებებს აღწევდა ლითონის მრავალერე ჭედვის, გახურებისა და წროთობის ორიგინალური წესებით, რისთვისაც (წროთობისათვის) ის იყენებდა: ჰაერის ჭავლს, თბილ წყალს გახურებულ ცხიმეულს, შაბს, ხოლო იარაღის ზედაპირზე ნაყის გამოსავლინებლად — შაბით გაჯერებულ წყაროს წყალს⁷, ლითონის ფიწვური თვისებისა შესაცვლელად კი — მარლის, საქონლის დაწვეარი სპის ფხენიასა და სხვ.

ყარამან ელიარაშვილმა თავისი საწარმოო გამოცდილების გადაცემით, ზღატიუსტისთან გამოგზავნილი ოსტატების მომზადებით, აგრეთვე ურალის მეტალურგიულ ქარხანებში გამოღობილი ლითონების ვარკასანობის შემოწმებით დიდი წვლილი შეიტანა ამ პრობლემის გადაწყვეტაში.

ასეთია ქართული ჯავარდენის ხელოვნების წარსული.

¹ Д. А. Порошкин. Работы Аносова по специальным стальям. «Труды по истории техники», 1954, в. V, № 20.

² სწორი არ არის, რომელსაც ზოგჯერ აღნიშნავენ, თითქოს ყ. ელიარაშვილმა იცოდა „საუკეთესო ფოლადის წარმოების საიდულებობა“ და ის პასუხისმ ვადაცა. სინამდვილეში, პასუხისმ მან ვადაცა უკვე მომზადებული ჯავარდენის ფოლადისაგან ხმალანჯვლების პირების ქვედა-წროთობით დამზადების წესი, აგრეთვე წესები დალუღებულ ჯავარდენის დამზადებისა და ნამდვილ ჯავარდენის ფოლადის ამოსაცნობი ნიშნები.


³ სტეპათონის, ასეთსავე ხსნარს, ოღონდ სხვა დროით, მაგრამ ისეთივე დახვედრით (საღვინის ვიწრო მილი), როგორიათაც ყ. ელიარაშვილი სარგებლობდა, XIX საუკუნის დასაწყისში იყენებდნენ დაშქანული ოსტატებიც თოფის ოსტატებზე ნაყის გამოსაქვლავნილად (საქ. ცსა, ფონ. 263, საქ. 52, ნაწ. 1, ფურ. 68).

¹ В. Потто. Кавказская война, IV, гл. 306.

² И. Н. Богач. П. П. Аносов и декрет булата, 1952 г., гл. 20.

³ АКАК, VIII, гл. 192.

⁴ П. П. Аносов, Ук. соч., 1954, гл. 122.



გმირი თანაკოლკელთა წინაშე

პეტრე შამათაყა

„სპექტაკლმა უჩვეულოდ ამაღლევა. თითქმის 40 წელი გავიდა კიკვიძის დაღუპვიდან, მიუხედავად ამისა, დღეს, ამ თეატრში, მე კვლავ შეგვხვდი ძვირფას ვასოს. სასიამოვნოდ, ძალზე გამაკვირვა იმან, რომ დრამატურგმა, რეჟისორმა და აქტიორებმა შესძლეს სწორად და ნათლად აღედგინათ კიკვიძისა და კიკვიძელთა სახე.“

ჩვენ, ძველი კიკვიძელები, რომლებმაც მასთან ერთად განვევლო სამოქალაქო ომი, დავესწარით ამ შესანიშნავ სპექტაკლს, კვლავ გავიხსენეთ განვლილი გზა. არ შემიძლია არ გავიხსენო ვასილ ისილდრეს-ძის უკანასკნელი სიტყვები: „ვეწუხება, რომ ვერ შევეძლი შემოსრულებინა ყოველივე ის, რაც დავაპირდი ილიჩს. თქვენ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო და თანამებრძოლონო, იყავით რევოლუციის საქმის ერთგულნი და საბოლოო გამარჯვებამდე წინ წაიღეთ ეს დროშა, რომელიც გვისაჩუქრა ჩვენ ლენინმა.“

ისეთი ადამიანის ცხოვრება, როგორც კიკვიძე იყო, გვასწავლის თუ როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და იბრძოლო მისთვის. ძველი კიკვიძელების სახელით მსურს მაღლობა მოვასხნო ძვირფას თბილისელ არტისტებს იმ სიხარულისათვის, რომელიც მათ მოგვანიჭეს ჩვენ. — ასე უბრალოდ, მაგრამ ამაღლებებლად თქვა მართლი სიტყვა კიკვიძის ერთ-ერთმა თანამებრძოლმა პოლოვნივამ კირილე ერიოზიმმა 1958 წლის 25 მარტს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ლელოვნების დეკადის დროს, საზმატკრო თეატრის ფილადელის სცენაზე გრიბოედოვის თეატრის სპექტაკლის „კიკვიძე“ ნახვის შემდეგ.

მართლაც, ვისაც კი წაუკითხავს ვანიონ დრამების გმირული დრამა „კიკვიძე“, ან ერთხელ მაინც უნახავს ეს სპექტაკლი გრიბოედოვის თეატრში, უთუოდ გაიზიარებს სამოქალაქო ომის გმირის ღირსეული თანამებრძოლის გულიდან მომდინარე სიტყვას.

„კიკვიძე“ გრიბოედოვის თეატრში პირველად დაიდგა (რეჟისორი მ. ოლზანიკი) 1953 წელს და მას შემდეგ ამ სპექტაკლს წლების მანძილზე შეუწლებელი ინტერესით ნახულობდა მყურებელი. შეიძლება გადაუტარებებლად ითქვას, რომ ეს დადგმა თვალსაჩინო მოვლენა იყო თეატრის ნიჭიერი კოლექტივის შემოქმედებით ცხოვრებას.

ეს წარმოება უპირველესად განაპირობა ბიესის დიურმატურულმა ღირსებებმა. „კიკვიძე“ საზოგადოებრივი რეზონანსის შემცველი ამდვილად თეატრალური დრამაა, რომელიც ახალი საზოგადოების დამკვიდრებასა და ახალი ადამიანის დაბადების რთულ პროცესებს გვიჩვენებს.

სპექტაკლში დროის მკაცრი და დრამატული სურათია მოცემული. პირველიდან ბოლო სცენამდე, სპექტაკლი დაძაბული, ერთიანი და დრამატულია.

ყველა სცენაში მონაწილეობენ და მოქმედებენ ცოცხალი, კონკრეტული, თავისებური სახათის ადამიანები, რომელთა აზრი და საქმიანობა ღრმად წვდამა და ადვილდამ მყურებელს. ყველას, დიძეს თუ პატარას, მთავარს თუ ორიგოს ადამიანს, სპექტაკლში თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს და მოქმედებს.

ჩინებულია კიკვიძის როლში ი. რუსინოვი. გარეგნულად მიმოიხედული, იგი საუცხოოდ ხსნის გმირის შინაგან ბუნებას, მის ხასიათს, მისწრაფებას; იგი წარმოვიდგენს მამაცს, რევოლუციის საქმისადმი ბოლომდე ერთგულ ახალგაზრდა ქართველ კაცს, მტრისადმი შეურთებელსა და უკომპრომისს, მაგრამ ახლობლისადმი, მშობლიურისადმი გულისსმეირსა და გულმართალ ადამიანს, უშიშარსა და ნიჭიერს, გამბედავსა და მიხეჩხებულს მტერთან ბრძოლაში.

ბრძოლაში თუ შესვენებაზე, გმირულ შემართებისას თუ წყნარ ღამეში ფიქრს მიცემული, მხიარულ წუთებში და მშფოთვარე ვითარებაში, აშკარა თუ შენიღბულ მტერთან პირისპირ შეხვედრაში, — ყოველ მომენტში რუსინოვი სიმართლით წარმოვიდგენს თავის გმირს.

ბუნებრივი, თანმიმდევრულია და დასრულებული დრამაში და სპექტაკლში ყოველი მოქმედება, ყოველი სურათი, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ერთი სცენა, სახელდობრ, სცენა კიკვიძისა და მისი ხელქვეითის ნიკოლაი კორშუნოვის მისვლისა კორშუნოვის ოჯახში. ეს თავისებური „სტუმრობა“ დიდ და გაბედულ რისკთანა დაკავშირებული. მინაი კორშუნოვის სახლი თეთრების შუაგულშია მოქცეული. ირგვლივ ჯალაღიტი დარჩნა, მათ თვალსა და ხელს შუა მოყოლილდელი სტუმრობა ახალგაზრდა კორშუნოვის დედ-მამის სიმათიას იწვევს კიკვიძისადმი. ეს მიხვლა არის არა ჩვეულებრივი, უბრალო აქტი, არამედ რომის გამიზნული ნაბიჯი. იგი ნაკარნახევია იმ მიზნით, რომ სიმართლე გაგვიგინოს შრომული კაცის, რომელსაც თავის დიურე ერთგულების ფიცი მიუცია ღვთისა და მეფის წინაშე. ამ ფიცის ბრმა შემსრულებელი იყო მიხეილ კორშუნოვი ცხოვრების მანძილზე; ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის პრაქტიკული მაგალითი მისთვის უცხო როდია, მაგრამ ჯერ კიდევ უცნობია. აქ მარტო კისთილი სიტყვით მისა ვერ დაძრავ, თუმცა მართალი სიტყვაც ქმედითაა, იგი თანდათანობით ძრავს დრომოჭმულს, ძველს. მართლამა სიტყვამ, ახლის პირველმა ყლორტმა ბოლოს ათქმევინა მინაი კორშუნოვს: „მე წავალ და ვნახავ... იმათ ვნახავ... ეგებ ასე ჯობია“... და არა მარტო ათქმევინა, არამედ დაანახა და აღაწვინა, ნამდვილად ასე რომ ჯობია. მინაი კორშუნოვი მშრომელი კაცობის, მამაცის და მაცივი, ბრძოლის და შრომის, ხმლისა და გუთნის ადამიანთა ტიპიური წარმომადგენელია და წითელ არმიამი იმხანად მისი მიხვლა, ეს ნაბიჯთა ხელისუფლებისაქნ მასების მოზიდვას იმხნავდა. და უნდა ითქვას, რომ ეს ძალზე რთული საბრძოლო პრობლემა მაღალი ოსტატობითა და დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითაა გადაჭრილი დრამაში და ხორციელსმული სპექტაკლში.

ცხოვრებისეული სიმართლემ, თანამოსაქმეთა პრაქტიკულმა ნაბიჯმა, წითელი არმიის მეთაურების, პოლტემუშაკებისა და მებრძოლთა კეთილშობილმა საბრძოლო საქმემ თვალს აუღია ძველი არმიის ნაცად ჯარისკაცს — მინაი კორშუნოვს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მან კაცაქური სიმხნევითა და სიმარჯვით აიღო ხელში იარაღი და წითელი არმიის საბრძოლო მწყობრში ჩაადგა.



ძველი კავკასიის მინია კორმუნოვის კოლორიტულ, დასამახსოვრებელ სახეს ქმნის მსახობი ა. ზაგორსკი, ხოლო მისი ერთგული მუდღის და შვილის მოსჯერავე დიდის პრასკოვია პავლოვნას გულთბილ სახეს — არტიტი ა. სირნოვი.

მთავარი მოქმედი პირი კიკვიძე — თავდავიწყებული მეომარია, რომელსაც ერთი რამ ამბობდნენ — ბრძოლა ძველი სამყაროს დასათრეწავად. ვარგუთ თუ შინაური მტრის ძალთა განადგურება მისი ცხოვრების და ბრძოლის ტიტიანაა, მისი არსებობის მთავარი აზრია. კიკვიძეს იმდენად დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, რომ ზოგი მას ურვეულო ადამიანად თვლიდა, ნამდვილად კი კეთილი, მშრუნველი, მხიარული, ჩვეულებრივი ადამიანი იყო, არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ ყოფილა, ამის თვალსაჩინოდ დადასტურებდა სცენა კიკვიძის შეხვედრა ქალიშვილ მარგოსთან.

პიესაში კიკვიძის მთელი ცხოვრების გზა კი არ არის ნაჩვენები, არამედ ყველაზე საპასუხისმგებლო, დაძაბული პერიოდს, რომელიც ისინი უწოდებდნენ წარმოგვიდგენს ამ შესანიშნავი ახალგაზრდა მეომრის ცხოვრების მიჯნას, მის მამულაშვილობას. სპექტაკლში რეჟოლუციური დროის გადაცემის სცენა ჩინებულადაა თავისი შინაარსითა და განწყობით. ფორტის რწმუნებული, უმაღლესი საბჭოთა სარდლობის ბრძანებით, საბრძოლო დროსას აბარებს კიკვიძეს. ეს სახეიმი აქტი მისი მხედართმთავრული ნიჭის, წარმატების და დამსახურების აღიარებაა. მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული კიკვიძე ფიცას სდებს ახალი სასახელი საბრძოლო წარმატებებით უპასუხოს ამ ფაქტს. მისი ფიცი წმინდა და ურყევია, როგორც წმინდა და ურყეველი მისი ხალხის ერთგულება და თავდადება სამშობლოსადმი.

კიკვიძის გვიდობი მაყურებელი ხედავს მის ერთგულ თანამეგობარს — დივიზიის კომისარს მიხეილ მედვედოვსკის, არმიამ პარტიის მიერ წარგზავნილს, შენაერთის პირადი შემადგენლობის იდეურ ხელმძღვანელს, მათს აღმზრდელს და დამრიგებელს.

დრამის მთავარი გმირი ცხცხოვანი ადამიანია, იშვიათი მხადართმთავრული ნიჭით დაჯილდოებული, ბუნებით მამაკი და შეუთოვარი, ფიცხი ხასიათის კაცი. სხვათა შორის მის ამ თვისებას, მისი იშვიათი მეთაურული ხელოვნების სახიანოდ, ზოგჯერ აზავიანებდნენ და გადაჭარბებით მიუთითებენ კიკვიძის პარტიულად წარმართულ ნიჭებსა და უდისციპლინობას, მაგრამ არ შეიძლება მთლიანად გაგივიაროთ ასეთი მოსაზრება. ახალი ტიპის არმიას, წითელ არმიას უსაჭიროებდა ახალი თვისებები, ხასიათის და ნიჭის მეთაურები. ასეთები კი უმთავრესად შრომელთა წირად გამოდიოდნენ. ასეთი თვისებებით აღჭურვილ მეთაურთა აღზრდა-ჩამოყალიბებას პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა ამ ხანად... თუმცა არც ეს უნდა დავივიწყოთ, რომ სიტყვაში კიკვიძე თავისებური იყო მდგომარეობა და ხასიათით.

წითელი არმიის ახალგაზრდა მეთაურთა კადრების იდეური აღზრდელი, ორგანიზაციული ხელმძღვანელი და წარმართული პარტია იყო. ამის ნათელი მაგალითია დრამის ერთ-ერთი მთავარი გმირი მედვედოვსკი, პარტიის წარგზავნილი, დივიზიის პოლიტიკური ხელმძღვანელი, რომლის როლსაც სპექტაკლში შესანიშნავად ახორციელებს დ. სლავინი.

დიდა დივიზიაში კომისრის მოღვაწეობა და ორგანიზატორული საქმიანობის ქმედითი ძალა. მედვედოვსკი-სლავინი მოხერხებულად შეინიშნავს, რომ ბრძოლაში საჭიროა არა მარტო პირადი მამაცობა, გამებლობა, არამედ მტკიცე, შენეებული მოქმედება, ორგანიზებული ძალა, რადგან მტრის წინააღმ-

დეგ ბრძოლაში წარმატებას წყვეტს მამაცობის, გმირობისა და უნარის შესაბამე, რკინისებური წესრიგით განმტკიცებულადივიზიის სიტყვისა და მოქმედების ლოკავა. ამიტომაც, რომ მამაცი და ფიცხი ახალგაზრდა მეთაური რწმენითა და დაჯერებით მიყვება გულისხმიერ პარტიულ რჩევას, რითაც კიდევ უფრო ამაღლებს შენაერთის ბრძოლისუნარიანობას და უზრუნველყოფს საბრძოლო წარმატებებს მტერთან შერკინებაში.

დამაჯერებელია კომისრის სიტყვა და შთამბეჭდავი მისი რჩევა-დარჩევა, რომელიც ესმარბა ახალგაზრდა მეთაურს, ანელეს მასში ნაკლოვან მხარეს, ზრდის და აზრადღებადღებობის, ახალს, წითელი არმიის მეთაურისათვის საჭირო უნარჩვევებს. კომისარი მედვედოვსკი-სლავინი მოქმედებს თავდაჭერივად, ჭკვიანად, კონკრეტული ვითარების შესაბამისად, გონივრული ტაქტით „ურევა“ მეთაურის მოქმედებაში, ქვეყანაში, ხასიათში. მისი ძალა ბოლშევიკ-კომისრის შინაგან რწმენაში, რომელსაც ასეთი ოსტატობით გადასცემს და უნერგავს კიკვიძეს.

ასეთი კომისრის სახე, მისი სიტყვა და საქმე. დიდი შინაგანი ძალით, პათოსითა და ოსტატობით აქვთ გამოძრწოვლი სპექტაკლის ავტორებს ეს როლი.

სპექტაკლი მთავრდება კიკვიძის გმირულად დაღუპვით. სპექტაკლის ფინალი განადიდებს ლეგენდარული დივიზიის მეთაურს, სამშობლოს ღირსეულ შვილს, მეომარ-მთქალაქს, ეს ფინალი ტრაგიკულად ეძღვნება, მაგრამ თავისი მხნე სულისკვთებით მის წარმოგვიდგება ღრმად ოპტიმისტრად, რომელსაც ძალუმაღ ჩქვეს სიცოცხლის, ახალი ცხოვრების დამამყვიდრებელი პათოსი. სწორედ ამაშია პიესისა და სპექტაკლის დიდი შემეცნებითი ძალა და მათი მხატვრული ღირსება.

„მე მსვდა დიდი პატივი ყოფილიყავი კიკვიძის სახელობის მე-16 დივიზიის მეთაური, — ამბობდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში გენერალი ლუბოკვევი, — მეომრები წმინდად ინახავდნენ კვიცილთა გმირულ და საელოვან ტრადიციებს. დიდი სამამულო ომის დროს კიკვიძის სახელობის დივიზია გმირულად იცავდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს, იცავდა ლენინგრადს, ბალტიკას.

მე, როგორც ამ დივიზიის ყოფილ მეთაურს, განსაკუთრებულ სიამოვნებას მცვირს დღეს ამ სპექტაკლზე დასწრება. ჩვენმა ძვირფასმა სტუმრებმა — თბილისელმა მსახიობებმა ნამდვილად შესძლეს ეჩვენებინათ შესანიშნავი სპექტაკლი სახელგანთქმული გმირის, სამოქალაქო ომის ნიჭიერი მხედართურობის კიკვიძის შესახებ. მათ შესძლეს ეჩვენებინათ წითელი არმიის ახლად შექმნილი, თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალური ნაწილების რეჟოლუციური დარაზმულობა, სუსტად შეიარაღებული მებრძოლების გმირობა, რეჟოლუციონალიზმი მათი უსაზღვრო ერთგულება.

სპექტაკლი ქართველი ჩაპაივის — კიკვიძის შესახებ გრიბოედოვის სახელობის თეატრის ნამდვილად დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა“.

სპექტაკლში, როგორც თვით პიესაში, ღრმად და ნათელ ფერებში აისახა ხალხთა მეგობრობა, მისი ცხოველყოფილი და ურღვევი ძალა, ახალ ადამიანთა თავგანწირული შემართება ახალი ცხოვრების დასამყვიდრებლად. პიესა და სპექტაკლი კარგად გადმოგვიცემს სამოქალაქო ომის დაუვიწყარ დღეთა პერიოდს.

ერასტი ტოროტაძე

ქართულ ლიტერატურას ახალი საინტერესო ნაწარმოები შეემატა — ამხ. ბ. გორდენზაინის ნაშრომი „ზიკი საქართველოში“, რომელიც ახლახან გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“. წიგნი შეიცავს შვიდ თავს (განყოფილებას): 1. წინასიტყვაობა; 2. შესავალი; მოკლე ბიოგრაფიული ცნობები; 4. საქართველოში მოხელა (ზიკის) და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება; 5. ზიკის ურთიერთობა საქართველოსთან „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებამდე; 6. ზიკის მეორედ ჩამოსვლა საქართველოში; 7. უნგრეთ-საქართველოს კულტურული კავშირის განხილვა „ვეფხისტყაოსნის“ გამოსვლის შემდეგ.

გამოჩინელ უნგრელ მხატვარს მ. ზიკის ბევრი ქართველი მკითხველი იცნობს მის მიერ დიდი გემოვნებით შესრულებული „ვეფხისტყაოსანში“ მითათესელო სურათების მშვენიერობით, მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს ზიკის მთელი ბიოგრაფია, ის დიდი და მძიმე შემოქმედებითი შრომა, რომელიც ზიკიმ გასწავა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისათვის, აგრეთვე ისიც, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა ეს შრომა; მეორეც — „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება, — ეს ერთი სასახლო მომხატვრა ზიკის შემოქმედების, ხოლო მთლიანად ზიკის ცხოვრების და მოღვაწეობის მრავალ მხარე მკითხველისათვის უცნობია. და ვინაიდან ამხ. ბ. გორდენზაინი თავის ნაშრომში საქმალ ვრცლად ასახავს ზიკის მოღვაწეობის ყველა მხარეს, ამით დიდ სამსახურს გაუწევს მკითხველს ზიკის მეტად საინტერესო პიროვნების უფრო დაწვრილებით გაცნობა-შეცნობის საქმეში.

„ზიკი გუთონის იმ უცხოელ მხატვართა წრეს, — ამბობს ბ. გორდენზაინი თავის ნაშრომის შესავალში, — რომლებიც გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედიში მოვიდნენ საქართველოში და მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. მათ შორის მან (ზიკიმ) განსაკუთრებული ადგილი დაიკავა; ის, საქართველოში მოსვლისთანავე, საფუძვლიანად გაეცნო ჩვენს ქვეყანას, ჩვენს წარსულს, დიდი მხრეწველობა და ინტერესი გამოიჩინა ქართული კულტურისა და მისი დიდი წარსულის მიმართ, ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან გააბა მეგობრული კავშირი. მან გამოიჩინა დიდი პრინციპულობა და, მიუხედავად მოსალოდნელი უსიძინებისა მეფის მთავრობის მხრივ, ერთხელაც არ დაუხვია უკან, მტკიცედ განაგრძობდა ქართველ მოღვაწეებთან მშობისა და მეგობრობის გზას“.

უნდა გაავითვალისწინოთ, რომ ასე მტკიცედ იქცეოდა ზიკი ქართველი ხალხისათვის იმ შავებულ და საბედისწერო დროს, როცა ბევრი, სამწუხაროდ, ერთიმ ბევრი ქართველი სათავილდო თვლიდა ქართველობას, არ კანდრულობდა ქართულად ლაპარაკს (არა თუ საზოგადოებაში, არამედ ოჯახშიაც კი) და ქართულ კულტურულ საქმიანობას ახლოვან კავრებშიც... რამდენიც კეთილშობილი, გულწრფელი და პიროვნებობით აღსავსე უნდა ყოფილიყო შორეული ერის ეს სასახლო წარმომადგენელი, მეფის კარის დიდი მხატვარი, რომელმაც მიზნად დაიხანა თავისი წვლილის შეტანა ქართული კულტურის აღორძინების საქმეში, ამას მკითხველი თავად აწონ-დაწონის და მიხედება, როცა უშუალოდ გაეცნობა ბ. გორდენზაინის ნაშრომში უხუცად მონათლილ ფაქტებს ს. ზიკის მოღვაწეობიდან.

„ახალგაზრდა ზიკიმ აღწერა მიიპყრა საზოგადოების ყურადღებამდე, — განაგრძობს ბ. გორდენზაინი ნაშრომის შემდეგ თავში — „მოკლე ბიოგრაფიული ცნობები“, — 18 წლისა იყო, როდესაც მონაწილეობა მიიღო ვენის სამხატვრო გამოფენაში, საიდანაც მისი (ზიკის) ნამუშევრები მუზეუმებში შეიძინეს... 1847 წლის ზაფხულში გადმოვიდა ზიკი მუზეუმადკითხი წინადადება მიიღო შესულიყო რუსეთის სამეფო კარის სამსახ-



ხურში. ზიკიმ ეს წინადადება მიიღო და 1848 წლის... იანვარში საშრობიდან წამოვიდა პეტერბურგის სატყეო მსახურეობაში... მისი ჩამოსვლის დროს ჯერ კიდევ ცოცხლად იყო შენახული ხალხის მესხიერებაში პეტრე-პავლეს ციხის მიწაწილზე 1826 წელს აღმართული სახნობრივები დეკაბრისტების გავმებით, პუშკინისა და ლერმონტოვის მკვლელობის ამბები, სალტიკოვ-შჩერდინის გადასახლება, დოსტოევსკის კატორღაში გაგზავნა და ტ. შევჩენკოსათვის სატყისა და წიკის აკრძალვა... როგორც ზიკის ბიოგრაფები აღნიშნავენ, ამ დროს ახალგაზრდა ზიკი უტოპიური სოციალიზმის დიდ გაგონებს განიცდიდა. იგი ცდილობდა არ დღეობის უკვდავყოფას თავის შემოქმედებაში. იგი ჯერ კიდევ მაშინ ყოფილა დაინტერესებული ამ იდეებით, როდესაც ვენაში ცხოვრობდა და სოციალისტურ უსამართლობის საკითხებზე ფიქრობდა“.

ამხ. ბ. გორდენზაინი აღნიშნავს, რომ „ზიკის ახლო კავშირი ჰქონდა დამყარებული ქართველ პროფესორულ და რევოლუციურ ახალგაზრდობასთან... როდესაც ზიკიმ პირველად დატოვა პეტერბურგი (1864 წ.) და საზღვარგარეთ გაემგზავრა, ის უკვე იცნობდა საქართველოს... „ამ დროს საქართველოს დეკარდაციის გზაზე ამდგარნი ფეოდალური კლასის წარმომადგენლები მრავალად დაუფუფუნებდნენ სამეფო კარზე. მათი უმრავლესობა იქ იბრძოდა კათოლიკის მოსაპოვებლად და ჩინ-ორდენების მისაღებად. მათს აქეთ ზრახვას დიდად უწყობდა ხელს იმ დროს კავკასიაში წარმოებული ომები, რომლებშიაც ქართველი თავდაზნარობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ისინი მეფის კარზე დიდი ყურადღებით სარგებლობდნენ, როგორც სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშნობი, ისე ოფიციალური აღწერების მატარებლის დროს...“

მაგრამ ჩინ-ორდენების მოტრფიალე აზნაურების გარდა იმავე დროს ყალიბდებოდა და საქართველოს ცხოვრებაში სათანადო ადგილს იჭერდა ახალი ძალა — ახალგაზრდობა, სტუდენტობა, რომელიც რუსეთში სწავლობდა, რუსულ პროგრესული იდეებს ითვისებდა და პრაქტიკულადაც იყო ჩამოყალიბებული ახალი ცხოვრებისათვის, ახალი საზოგადოებრივი იდეალოზისათვის მებრძოლთა რიგებში. ამ სასიხარულო და გამომწვეველი მოვლენების შესახებ ბ. გორდენზაინს თავის ნაშრომში მოაქვს სათანადო აქნაწერი იყო ნიკოლაძის ნაწილობითი: „ამ სახის მატარებელი ნიშნად იღებოდა სტუდენტობა, რომლის ერთმა ნაწილმა 1861 წელს სტუდენტთა არეულობაში მიიღო მონაწილეობა და ამის გამო კრონ-შტადტის ციხეში მოხვდა. ეს იყო პირველი ისტორიული ფაქტი, რომლისაგან ქართველი ინტელიგენცია რუსეთის თათრობის მატარებელი ერთად გამოვიდა საბრძოლველად. ოპორტიუნისტული სტუდენტებს აღაფრთოვანებდა და ენერჯიას მატებდა არა მარტო რუსეთისა და ევროპის მამინდელი რევოლუციური-სოციალური მოძრაობა, არამედ რუსეთის ის ციხეებრივი მოძრაობაც, რომლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი

* ბ. გორდენზაინი, „ზიკი საქართველოში“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1960.

ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო... ხლოთ ქართველი რევოლუციურ-ოპორტივური ახალგაზრდობის წინამძღოლი იყო ჩერნიშევსკის მოწვევ. ნ. ნიკოლაძე. ის დასაბოლოებულ იყო ჩერნიშევსკის ოჯახთან, რომელიც დიდ დახმარებას და მხრუნველობას უწევდა საერთოდ პეტერბურგის სტუდენტობას და კერძოდ ქართველ ახალგაზრდობას. ამის საილუსტრაციოდ ნ. ნიკოლაძე ინსერებს შემდეგ ფაქტს: „შობის დღესასწაულების წინ (1861 წ.) ჩემთან მოვიდა ორი ახალგაზრდა მომხიზველი მანდილოსანი; ერთმა მათგანმა, უფროსმა, მთხზრა, რომ ის არის ჩერნიშევსკის მეუღლე და მოხზავა მეთხოვებინა მისთვის მასსაკარადო ჩემი ჩემუხული კოსტუმი. ამ ქალის შესახებ ბევრი რამ მსმენოდა ამხანაგებისაგან, რომელნიც გაეცნენ მას ჩვენი პატიმრობის დროს და ხშირი სტუმრებიც იყვნენ მის ოჯახში“. ზირი დიდი პატივითმცემელი იყო ჩერნიშევსკისა, და მასზედაც დიდი გავლენა მოუხდენია ჩერნიშევსკის ცნობილ რომანს, რომლის მიხედვითაც შეუქმნია ზირის რამდენიმე სურათი: „ქუჩა მოსივრნე წყვილებით“, „გატრის ოჯახი“ და სხვ. „ზირის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ერთ-ერთ ბრწყინვალე ეტიუდს, რომელსაც „ციმბირის ტყვე“ ეწოდება. მასზე გამოხატულია ნ. ჩერნიშევსკი ვალუისკის საპრობოლემი მწოდირე ვეფხის პოეზიაში...“ არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ამ სურათის შექმნაში დიდი როლი ითამაშა ზირისა და ნიკოლაძის მეგობრულმა დამოკიდებულებამ“ — და აკვსინ ბ. გორდენიაი.

ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ბ. გორდენიანის წიგნის შემდეგი თავი — „საქართველოში მოსვლა და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება“. ეს არის ზირის შემოქმედების მნიშვნელოვანი მიღწევა, რომლითაც მან ხორცი შეახსნა და მკითხველის თვალწინ გააცოცხლა შოთას უკვდავი გენიის გმირები მთელი თავისი გარეგანი და შინაგანი ავლადილებით. და, მიუხედავად იმისა, რომ ზირი უკვე დიდად დახელოვნებული იყო მთელ რიგ კლასიკურ ლიტერატურულ ნაწარმოებთა დასურათების საქმეში, ჩვენ მაინც ვგოთყვებით ზირის ის უნაკლო, წარმატები სურათები, რომელიც შექმნილია ზირის გენიალური ნიჭისა და მალალი ხელოვნებით და ამშვენებს უკვდავი შოთას ფასდაუფლო „ვეფხისტყაოსანს“. მიუხედავად იმისა, რომ ზირი არ იცოდა ქართული ენა, მან მაინც შესძლო ღრმად ჩასწვდომიდა „ვეფხისტყაოსნის“ სულსა და გულს, უნაკლოდ, სრულყოფილად დაუბატა ამ ნაწარმოების გმირები. ეს მოწმობს იმ დიდ სიყ-

ვარულს, რომლითაც განმსჭვალული იყო ზირი ქართულ-კულტურისადმი საერთოდ და კერძოდ ამ კულტურის საკუთესო ნიშნისადმი — „ვეფხისტყაოსნისადმი“. და შეიძლება ითქვას, რომ იმ დროის ქართველი საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც გადაწყვიტეს დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა, არ შემდგარან, რომ ეს დიდი საქმე მ. ზირის მიანდევს. ზირი დიდი მონღიებით, პასუხისმგებლობით, სიყვარულით და ენერგიით მოეკიდა ამ საქმეს და ბრწყინვალედ შეასრულა ეს დავალება, რითაც ხელთუქმნელი ძველი დიდადა ქართველი ხალხის გულში, ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა ინდროიანილ ქართველ სახელოვან მოღვაწეთა შორის. ბ. გორდენიანი ამ თავში მადლობის გრძობით აღნიშნავს იმ მოღვაწეთა სახელებს, რომელნიც დაემხარნენ და ხელი შეუწყვეს ზირის ამ მისიის შესრულებაში. ესენი იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ვ. მამახალი, ი. მუხარგია, გ. ქართველიშვილი და მრავალი სხვანი, რომელნიც სიტყვიით, საქმით და ნიუთიერად მონაწილეობდნენ ამ საშვილიშვლო საქმეში. ზირის უბადლო მხატვრული ნიუთეში საფუძველი, მისაბაძი მაკალითი გახდა იმ ქართველი მხატვრებისათვის, რომელნიც შემდგომ პერიოდში წამოიზარდნენ, დახელოვნდნენ და ქართველი ხალხისა და თავიანთი ნიუთის სასახელოდ შექმნეს „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი ილუსტრაციები. ესენია: ს. კობოლუაძე, ი. თოთი და სხვ.

ბ. გორდენიანი ძვირფას მასალებს იძლევა იმ კითხვის გასარკვევად, თუ როგორ, რა გზითა და ხერხით შესძლო ზირი, უცხო ერის შვილმა, „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალედ დასურათება. ამ მიზნით ის დგამდა ცოცხალ სურათებს „ვეფხისტყაოსნიდან“, არჩევდა სათანადო ტიპებს, ადგილმდებარეობას და სხვ.

საინტერესოდ არის დაწერილი წიგნის შემდეგი თავებიც: „ზირის ურთიერთობა საქართველოსთან „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებამდე“, „ზირის მეორედ ჩამოსვლა საქართველოში და უნგრეთ-საქართველოს კულტურული კავშირის განმტკიცება, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის შემდეგ“. წიგნში ჩართულია რამდენიმე უცნობი სურათი, რაც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. წიგნი საერთოდ ღამაზად და შნითადად არის გამოცემული და პოლიგრაფიულადაც დამკამაყოფოლელად არის შესრულებული საქართველოს კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიკამოცემლობის მთავარი სამმართველოს პირველი სტამბის კოლექტივის მიერ; დაბეჭდილია ხარისხოვან ქაღალდზე და ჩასმულია ღამაზ ყდაში.

ლ. ხოჯალანი

სვანეთის მთებში



კონსტანტინე გამსახურდიას იუბილე



27 ივნისს მთელმა ქართველმა ხალხმა დიდის ზეიმით და სიყვარულით აღნიშნა გამოჩენილი ქართველი მწერლის, აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 70 წლისთავი.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ქართული მწერლობის ეს რაინდი ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი ენერჯითა და თავგამოდებით ემსახურება მშობლიური ლიტერატურისა და ენის წინ წაწევისა და გამდიდრების საშვილიშვილო საქმეს.

მწერლის თანამედროვე და ისტორიულ რომანებში გაშლილია ქართველი ხალხის ცხოვრების, ბრძოლის, შემოქმედებითი შრომის უფართოესი პანორამა. მისი ყურადღების ცენტრში, როგორც ეს ნამდვილ კლასიკოს რომანისტს შეჰფერის, მუდამ დიდი პრობლემატიკა დგას. ისტორიის ის უღელტეხილები, საიდანაც ერის ცხოვრების სრულიად ახალი ხანა იშლება. მისი „დიდოსტატის მარჯვენა“ მსოფლიო ისტორიული რომანისტიკის მწვენივბაა. ეს არის პიზნი აღელენილი ქართველი ხალხის შემოქმედებითი, აღმშენებლური გენიის სადიდებლად. ამ რომანში სრულად გამოვლინდა ამ ეპიკოსის ნათელი პოეტური და შემამართებელი სული. საქართველოში ეს რომანი ისევე პოპულარულია, როგორც ჩვენი გენიალური ქართველი პოეტების პოემები. ახლა ამ ნაწარმოებს კითხულობენ მსოფლიოს მრავალ ენაზე.


მისმა დიდმა ტალანტმა, განსაცვიფრებელმა შრომის-

საიუბილეო საღამოზე



ბოხსენებით გამო-
ღის კრიტიკოსი
ბესარიონ კოინტი





...მე შევეცდები ჩვენი ხალხს, ჩვენი მთავრობის უურაოდება, სიყვარული და პატივისცემა დავუფასო...

...უნდა ვაღიარო, მე არც სიბერეს ვგრძნობ და არც დაღლას,

ვაქცავტურ სიტყვას ვაძლევ ჩვენს ხალხს, ჩვენს მთავრობას, ცვლივინდებურად შევივილო ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მშობისხანე ღმერთს...

კონსტანტინე გამსახურდიას სიძაპილად

მოსყვარებობამ ქართული პროზა და თარგმნითი ლიტერატურა გაამდიდრა შესანიშნავი ნიმუშებით.

ქართველმა ხალხმა მრავალგზის გამოხატა თავისი სიყვარული და პატივისცემა გამოჩენილი მწერლისადმი, საიუბილეო საღამოზეც, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა, თავის ღირსეულ შვილს მან ჭეშმარიტად განუზომელი გულთბილობა აგრძნობინა.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა კრიტიკოსმა ზესარიონ ჭყენტმა.

იუბილარს მიესალმნენ ქართული და საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი. მიღებული იყო უამრავი ღებუშა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.



ფარდის დაშვების შემდეგ

მიხეილ მრეველიშვილი მიესალმება იუბილარს



კონსტანტინე გამსახურდია და გიორგი ლეონიძე

მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად, რომელიც უერთდება მდინარე აბაშას ამ მდინარეს ჰქვია ზანა.

ვეროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლის დროს, მე ჩემს თავს ვეუბნებოდი: „შენ ჰეი უმცირეს მდინარის პირად შობილი ბავშვო, არ გაჯობოს მსოფლიოს უდიდეს მდინარის პირად შობილთა.“

მწერლობაშიაც ესა მქონდა დევიზად, თუმცა, ამას არავის ვუშვებდი.

სახელი სიყვლილა ჰგავს, როცა საჭიროა, თავით მოგაკითხავს.

მე სახელისთვის არასოდეს მიზრუნვია, არ მიყვარს საკუთარი დიდების ორგანიზატორები ხელოვანთა შორის.

ჯერ კიდევ ჰაბუტემა დაეწერე ერთ ლექსში:
...ჯერ სახელისთვის მათხოვრობა არ დამიწყია“.



← კონსტანტინე გამსახურდია მიესალმება
დარბაზს,

↓ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ იუბი-
ლარის შოსალოცად მოსულნი



შალვა მხველიძის ოპერა



„დიდოსტატის მარჯვენა“

ანტონ წულუკიძე

დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი ავივია“.

შარდის დაშვებამდე მოწუმენტივით აღიმართა ავანსცენაზე მკლავიარე ქალის ახოვანი ფიგურა, მის უკან კი აელვარდა სვეტიცხოვლის ტაძრის ხედი. ის იყო მიწისძვრამ მიანგვრია ირგვლივ ყველაფერი და სვეტიცხოველი კი გადარჩა. სცენასაც მხოლოდ ეს სურათი შერჩა. არსაკიძის დედის ამ მოწუმენტმა უნებლიეთ, შორეულად, მოგვაგონა კონსტანტინე გამსახურდიას რომანის ზემთაგონებელი ეპილოგი: „ათას წელს იწვიმა და იქუხა იმ დღიდან საქართველოს თავზე, ათას წელს ივორა ქვაღქცეულმა სულმა“... საუკუნეების ქართველიებთან, მიწისძვრებთან ჰილიღში გამარჯვებული სვეტიცხოველის ხილვით ასევე ვიგრძენით დიდი შემოქმედების უკვდავების იდეა, რაც წითელი ზოლივით გასდევს კ. გამსახურდიას მთელს რომანს. ამასვე გვეუბნება ოპერის ამ ეპილოგ-აპოთეოზში ტაძრის წინ აღმართული დედის-ღატყვეები — ეპიგრაფი, აკებული ამაყი, ორატორულ-დეკლამაციური მელოდიის ფართე და ვაჰკატურ შესტებზე.



როგორც ვარბენილი საუკუნეების ხმა, სცენის სიღრმიდან ექოსავით პასუხობს მას გუნდი. მაცურებლის აღტაცება დამცხრალი არ იყო, რომ მას იქვე წამოეშველა ტამის გრილის ახალი ნაკადი: დავევა ფარდა, რომელზედაც გამოსახულია დიდოსტატის მარჯვენა თავისი გონიოთი... და უნებლიეთ, ამ დეკორაციულმა შტრიხმა მოგვაგონა რომანის პროლოგი, მისი ეპიგრაფი:

„ხეივანის წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამივია,

მაცურებელი სტოვებს თეატრს და უშუალოდ თან მიჰყვება ოპერიდან რომანის „წერტილებში მოხვედრის“ მომენტები. მაგრამ ეს „მოხვედრაც“ არ მიჰყვება მთელის სისრულით და სიზუსტით რომანის სიუჟეტურ მომენტებს, თუნდაც ისეთ ეპიზოდებს, რომლებიც უდიდესი მხატვრული შთაგონებითა და ხატოვანებით არიან შექმნილი, საკვირველი ის არის, რომ ოპერის ეს (და სხვა ამგვარი) გარკვეულად „ფორამეჟული“ ეპიზოდები თავისი მთლიანი მხატვრული სახით, უწინარეს ყოვლისა კი, — მუსიკით ყველაზე მეტად ხედებიან რომანის არსს, მის დედავარს.

უნებლიეთ დაფიქრდები: რამ გამოიწვია ამგვარი ცვლილება? ამაზე ერთი პასუხია: ძირითადი მიზეზია სულიერი კულტურის ორი სახეობის შეხვედრა. მართლაც, მუსიკა, მეტადე ოპერა ძნელად აიტანს ლიტერატურული ნაწარმოების სიმძიმესა და სირთულეს, თუკი „პირდაპირი გზით“ შეეძიდა იგი ლიტერატურულ სახეებს. ამ „პირდაპირი გზით“ გადატანის უშუალო სინონიმებსაც რომ არ გამოვედევნოთ, აქ მხედველობაში უნდა გვექონდეს მუდამ ლიტერატურისა და ხელოვნების ამა თუ იმ ქმნილების სრულყოფილობის, დასრულებულობის საკითხი. უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, — ყოველი სრულყოფილი მხატვრული ქმნილება დასრულებულია, მასში ყველაფერი ნათქვამია როგორც შინაარსის, ასევე მისი ფორმისა და კომპოზიციის მხრივ (ქვეტექსტების ადგილი ხომ ფორმის თავისებურებაა). ხელოვნებისა თუ ლიტერატურის ერთი სახეობიდან მეორე სახეობაში მისი გადატანა უნდა იწვევდეს მისი მხატვრული დასრულებულობის დარღვევას და ხელოვნების სხვა სახეობის ენაზე მის ხელმეორედ ამტყვევებას...

მაგრამ კ. გამსახურდიას რომანის მხოლოდ ამ ზემოთაღნიშნულმა მომენტებმა განიცადა სახეცლა? მივყვეთ რომანის გმირების ბედს, რომელიც მათ ოპერაში ერგოთ. გამსახურდიას უნიკალური გმირები რომანში მათივე თავისებურების, განსაკუთრებულობის შესატყვის დასასრულს პოულობენ. ასე, დიდოსტატ არსაკიძეს მკლავის მოკვეთვად ამით ვერ ჰკლავენ მას — ამერიოთან იაკობის შებრუნებულობის სურათის შემქმნელი სულთმოპოვები



შალვა მშველიძე

ებრძვის სიკვდილის ღმერთს და ბოლოს მორიგისადაც დატყვევებული კვდება. მისი სიკვდილიც სიმბოლოა: მომრიგის შხამს, სწორედ რომ შხამს, შექმნილი ფიზიკურად მხოლოდ მისთვის ბოლო! და ეს გამომდინარეობს თვით რომანის კონცეფციიდან, მისი შიანისაგან.

ოპერაში კი მკლამომკვეთილი არსაკიდე თავს იკლავს. ცტაბა არ იყოს, აქ, გარდა მხატვრული გაუმრავლოებისა, თვით იდეაც შეცვლილი გამოდის. ცხადია, სცენაზე მორიგელები ვერ გამოვიდოდნენ, და თუ აქ არ მოხერხდებოდა სხვა ხერხით, მაგრამ ადეკვატური ეფექტით იმავე იდეურ-მხატვრული მიზნის მიღწევა, მაინც არ იყო, ჩემის აზრით, მიზანშეწონილი რომანის, და თუნდაც ამავე ოპერის მხატვრული სიმაღლეების შესაფერად, ამ ერთ-ერთი უმთავრესი ტრაგედიალი მომენტის გადაწყვეტა მხოლოდამაგალიტო, „არტიტული“ პოზით („მარჯვენა მოაკვეთს და მარცხენა ხელით დაიკა გულში მახვილები?“) თუ რომანის შესატყვისი ეფექტით არ მოხერხდებოდა ამ სცენის წყაროსახეა ოპერაში, მაშინ სჯობდა ეს მომენტი გადაწყვეტილიყო უფრო უბრალოდ: მკლამომკვეთილი არსაკიდე მძიმე ავადმყოფობის ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო (ამის კორექტივი კი დიდ გარჯას არ მოითხოვს).

შორენა, ეს დიდბუნებოვანი ქალიშვილი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ქალის ერთ-ერთ უშესანიშნავეს პოზიტორს სახედ მხატვრულ ლიტერატურაში, თავის იშვიათად ანთებულ, უკანსად და ბოუტურ სიყოფის რომანში ამთავრებს თავგანწირული სიკვდილით, — იგი კლდის ქარაბეზიდან უწყურულში გადადგება. ეს ტუმარითად მთის ასული სიკვდილშივე ღვინო შეღობა ბუნების წიაღისა. მისი განუყოფრებელი მომზიბველობის სიყოფისევე ასევე ღამაში სიკვდილით დაბოლოდა.

ოპერაში შორენა საწამლაყ იღებს და ხალხის წინაშე აკვდება თავის მიჯნურს. მიუხედავად გამასხურდასეუ-

ლი მოხდენილობის დაკარგვისა, ეს სცენა მაინც ძალიან ბუნებრივად, ტიპურად, გამოიყურება: ქართველთა ცხოვრება ატარებდა ხოლმე საწამლაყს, როგორც თავისი ღირსების დაცვის უკანასკნელ საშუალებას. გარდა ამისა, სატრფოს ცხედარზე ზედ დაკვდობა, როგორც ქალის უმაღლესი სიყვარულისა და ერთგულების მაჩვენებელი, ქართული ეროვნული გაოსიდან, სახელდობრ „ეთერიანიდან“ მოდის, და ქართულ ოპერაშიც ხომ ამის ტრადიცია? ფალიაშვილის დიდებულმა „აბესალომ და ეთერმა“ გვიახდერძა!

გიორგი მეფე — რომანის გმირი, თავის მშფოთარე, ეაკაცობითა და „ცოდვებით“ სასეე ცხოვრებას ასევე თავისებურად ამოავრება: უბედური სიყვარულითა და საკუთარი ცოდვებით შეძრწუნებული, ვადიარგება და თავის სიყრმის მეგობარ უშიშარისძესთან ერთად ხეტილში, „გლახუნა ავანსიძედ“ ვადაცმული, ტრაგიკულად იღუპება: იღუპება ასევე ბუნების წიაღში, თავის მეგობართან განმარტოებით ყოფნისას (დაჭრილი ირემს ეფერება, ხელში აიყვანს და ნაწლავები ვადახეხართება). და გიორგი მეფის ნიჭიერი ბუნების ერთი გამოვლინება ხომ ხალხში ვადაცმული სიარული იყო!

ოპერაშიც, მის ფინალში, გიორგი შეძრწუნებულია მომზადარი ამბობებით და საკუთარი ცოდვებითაც. აქ იგი არ კვდება (ამ შეთხვევაში მისი სიკვდილი არც არის საჭირო), მაგრამ „ცოდვებს“ კი ინანიებს საჯაროდ, ხალხის წინაშე და მეტრის მიუშურს მიჯნურთა ცხედრების მტორალ არსაკიძის დედას („დამეც მახვილი დედაო, სიკვდილი შექნდეს შეუდაო!..“) და აქაც რომანის გმირის საოცრად თავისებური სიყოფის ბუნებრივი დასასრული შეცვლილია „არტიტული პოზით“.

საბედნიეროდ, ყველა ამ სცენაში, სახელდობრ, ამ დიდ საფინალო მოქმედებაში, ლიბრეტოს ამ საეჭეო მომენტებმა თავისი კვალი ვერ დაამჩნიეს ოპერის მუსიკას, რომელიც იმდენად მთლიანია თავისი მხატვრულობით, სიძლიერითა და სიწმინდით, რომ აღიქმება რომანისად დაბოლოებულ ნაწარმოებად, და მსმენელ-რეაქტიველთა შთაბეჭდილების პირველ „სასიყოფსოლო ძაღვს“, უწინარეს ყოვლისა, მშვედისის მუსიკაში ხედავს. და ოპერაში, სადაც ბუნებრივად კომპოზიტორია წამყვანი, გამასხურდაის ქმნილები არისც, სულაც სწორედ იქ არის შესანიშნავად გახსნილი.

კიდევ ბევრად დასცილდება ოპერა რომანს, ბევრგან შეიძლება ვადარიბებულიც ვევიწინოს გამასხურდასეული სახეები. აქ ბრალდებებს პირველ რიგში ლიბრეტოს ავტორს ქუჯი ძიძიშვილს წაუყუყუებთ. მე ვანზრახ შეეჩრდი მთავარი გმირების ცხოვრების დამამთავრებელი მომენტების განსხვავებაზე რომანსა და ოპერაში, არა მხოლოდ ამ ღამაზე დაბოლოებათა გამო. ეს დაბოლოებები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მაჩვენებელია გმირთა განუთხრებელი თავისებურებებით დასახე სიყოფისა. ლიბრეტოში, და მის შედეგად, — ოპერაშიც, ლიდოსტატის მარჯვენის“ გმირების სამოქმედო მასშტაბი, მათი თვისებების სიმდიერე და „ამოუწერაობა“ საგრანძობლად შეიცვალა.

მაგრამ ამის საფუძველზე მსჯავრს ვერ გამოვუტანთ ოპერას, რადგან აქ ვხედავთ დასვეთილი კანონმოიერ მოვლებს. ერთობ ძნელი ვადასაწყვეტია დიდი ლიტერატურული ქმნილების (მეტადრე ბელეტრისტული) საოპერო ნაწარმოებად ვარდაქმნის პრობლემა. მეტადრე მაშინ არის ეს რთული, როდესაც ლიტერატურული ქმნილება დიდი თავისი მასშტაბითა და მიყოფობით, შეიცავს მრავალ ვანშტოებას, რომლებიც უფორითთან არიან ვადასაწყვეტული და ქმნიან ნაწარმოების „სასიყოფსოლო არტერიებს“. საოპერო ხელოვნების ისტორიიდან კი ვიცი, რომ მხატვრული ლიტერატურის შედევრებიდან სწორედ ის ნაწარმოებები ამეტყველებულან ოპერაში ყველაზე მეყოფოდ და სასულეყოფილად, რომლებიც არ არიან ვადატერიოთული „მრავალბანაიანობით“, რომლებიც ავებული

არიან შედარებით მარტივ ფაზულაზე, რომლებშიც გმირთა მოქმედების ნაზი შედარებით აირღმარია და ლაბირინთული, ასეთ შემთხვევებში სათა მასშტაბების გაზრდა თუი-კალურ დრამატუროვის აულია თავისთავზე.

ეკლერტიკული ნაყოფობებისაგან შექმნილ ოპერებს მოის ყველაზე მადური და დრამატურგიულად გამოკვეთილი არიან ისინი, რომლებიც შედარებით მცირე მოცულობის მოთხრობის ან ნოველის მიხედვით არიან დაწერილი; ასეთებია ჩაიკოვსკის „აიკის ქალი“, ზიზეს „კარმეზი“. პუშკინის მოთხრობის ფსიქოლოგიური სიმაღლე და ილუზიალება, მერიმეს ნოველის წარმტაცი სიცოცხლისეული აათოსი ამ ოპერების მუსიკალურ-სცენურ დრამატურგიაში პოულობზე თუზულდველ გაქანებას, რაც შეეხება საოპერო ქანში დრამატუროვის შედევრების ანტეკველმას, ამ შემთხვევაში უხდა მთავაგონით, რომ ყველაზე რთული კონცეფციის დრამებს შორის, სახელდობრ, შექსპირის ტრაგედის შორის ყველაზე მარჯვედ იქნა ოპერაში გასახიოციული „ოტელი“ (ჯერ როსინის, ხოლო შემდეგ ვერდის თიერ) ტრაგედია, რომელიც მაქსიმალურად კოცენტრირებულია ერთი სიუჟეტური ღერძის და მცირე მოცედ ბირთა ირვვლივ. ოპერაში პუშკინის ტრაგედის „ძრავალბანიანი“ პროზომატიკის განსახიერებისათვის კი მუსორგსკი დაადგა სრულიად ახალ დრამის ახალი დრამატურგიული ფორმა მისცა.

მაგრამ დავებრუნდეთ ისევ ბელეტრისტული ნაწარმოებისა და საოპერო ქანის ურთიერთობის საკითხს. დიდი მოცულობის რომანიდან კომპოზიტორები, ოპერის დაწერისას, ჩვეულებრივ გამოყოფენ რომელიმე ნაწილს, მონაკვეთს, მოტივს.

ასე მოიქცა კომპოზიტორი ი. მერქინსკი, როდესაც წერდა ოპერებს ძოლოხოვის რომანების მიხედვით. ასე, ოთხწიგნიანი ეპოპეა „წყნარი დონიდან“ მან საოპეროდ გამოყო პირველი წიგნი (სხვათა შორის, შოლოხოვის მამინ არც ჰქონია მთლიანად გამოქვეყნებული თავისი რომანი).

მაგრამ მერქინსკის დროში გიგანტური ეპოპეა-რომანის მიხედვით ოპერის შექმნის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტად დიდი რუსი საბჭოთა კომპოზიტორის სერგეი პროკოფიევის ოპერა „ომი და მშვიდობა“ უნდა ჩაითვალოს.

პროკოფიევა საოცარი შემოქმედებით შემართებით ბირდაპირ „რქებში“ ჩასვიდა ხელი ღვე ტოლსტოის ეპოპეას და თავისი ოპერის ორიბითი მოაქცია რომანის გმირებისა და მასში ასახული მნიშვნელოვანი ეპოქალური მოვლენების ძირითადი სიტუაციები. ცხადია, ოპერაში ვარეგულად შემცირდა გმირთა მოქმედების არე და მასშტაბები, მაგრამ აქ თავი იჩინა პროკოფიევის, როგორც საოცრად მაკადლური ნოვატორის, მუსიკალური დრამატურგის ბუნებად. გმირებმაც და სიტუაციებმაც ოპერაში მიიღეს ერთგვარად ესკაზური ელფერი. დიდმა კომპოზიტორმა ტოლსტოის გმირებს თავის მუსიკაში უშოვა ისეთი მყარი საყრდენები, ისე მძაფრად და თეატრალური ელვარებით გამოკვეთა ხასიათები და ცალკეული მნიშვნელოვანი სიტუაციები, რომ თავისი ლიბრეტოს-სცენარის ფაქტურად ერობიკისებურ-სუიტურ ჩაონის შთაბერა ერთიანი სული, ორიგინალურად დააჯგუფა მშვიდობისა და ომის სცენები, მკაფიო და ელვარე ლეიტმოტივების და მათი გახეითარების მუშეობით მძლავრი სიცოცხლე მიანიჭა ოპერის მთავარ გმირებს, შექმნა იშვიათად მძაფრი და ნაირხატოვანი მუსიკალურ-დრამატურგიული პანორამა, რომელშიაც მარჯვედ არის დაჭერილი ტოლსტოის რომანის ძირითადი პერიეტები. ამან მოუტანა პროკოფიევს შემართული შემოქმედებითი გამარჯვება მის ამ მშტად სარისკო და „ქაღნიერ“ წამოწყებაში — ღვე ტოლსტოის გიგანტურ ეპოპეასთან შემაშში. აქ მცირე როლი მიუძღვის იმას, რომ მუსიკალური თეატრის დიდოსტატმანოვანებმა ბევრის მხრივ ვადალახა ოპერულის ტრადიციები და თავის მუსიკაში ღვე ტოლსტოის პროზალური ტექსტიც კი ააშტყველა!

* * *


ვფიქრობ, არცერთ მწერალს, ვაჟა-ფშაველას შემდეგ, არ გამოუხატავს თავის შემოქმედებაში ქართულად ხალხის სულიერი და ფიზიკური ენეგია, ერის უმრეტე, პოზიტიური ძალა, ხალხის ცხოვრების პანორამები ისეთი ვეგბერთელ მასშტაბებითა და ძალთ, როგორც ამას კონსტანტინე ვამსახურდიას რომანებში ვხვდავთ. „დიდოსტატის მარჯვენა“ ქართულ ხალხს წარმოსახავს ისეთის სიძლიერით, მრავალმხრივობითა და ხატოვანებით, რომ ამ

არსაკიძე — სერგო თორელი

შორენა — ოლგა კუნცეოვა

გიორგი მეფე — ბათუ კრავიშვილი





ვახტანგ ტაბლავიძე

თვისებებით გამსახურდას ეს გენიალური ქანილება სცილდება ისტორიული რომანის ფარგლებს მნიშვნელობას და თავისი მიწიერი ძალით, სიყვარულის, შემოქმედების უტყნობი იდეებით, სიცოცხლის დაპატიობების მძლავრებით, ბრძნული შეგონებების, თქმების, აფორიზმების შესაძარბივე ფეიერვერკით მარად თანამედროვე მნიშვნელობას იქნის.

ქუჯი ძიძიშვილის ლობრეტომ, მიუხედავად მისი უექველი კონსტრუქციულ-არქიტექტონული ღირსებებისა, ზოგიერთი მომენტის გამონაკლისის გარდა, ვერ ასწია რომანის მრეწველობა, ვერ შეიჭრა მის სიღრმეებში. მაგრამ ამას მხოლოდ ლობრეტოს ვერ გადავაბრალავთ.

აქ მცირე როლს როდი თამაშობს ის გარემოება, რომ ამ ოპერაში მიზნად შეხვედრა გამსახურდასა და მშველიძის — ორი მეტად თავისებური ბუნების შემოქმედისა, რომელთა შორის მიეღო რიგ „შემხვედრ“ მომენტებთან ერთად (რომელთაც ღრმა ეროვნული, მიწიერი საფუძველი აქვთ) არის საგრძნობი თვისობრივი განსხვავება.

შ. მშველიძე იშვიათად მილიანი შემოქმედელი ნატურაა. მის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბჭოთა მუსიკის ერთი ყველაზე თვითმყოფი და ღრმად ეროვნული შტო. ქართული პოპულური სიმფონიზმის ფუძემდებელი და ეროვნული პროგრამული სიმფონიზმის უმნიშვნელოვანესი ფიგურა, შ. მშველიძე, შემთხვევით როდი შეხვდა თავის შემოქმედებაში ვაჟა-ფშაველას პოეტურ ეპოსს. ვაჟა-ფშაველას სამყაროსთან, გარდა „მთის კოლორიტისა“, მის მოსიკას ბევრი რამ სხვაჯე აკავშირებს. ეს არის: უმრავლესად შურვერელი, ბუნების სტეპის ნატურანებობა აღბეჭდილი პერიოპი, „მთის სუსხიანობა“ და „აღსული სიწმინდე“ აღსაქვ ღირიკა, ძლიერი განცდები, რომელთათვისაც უცხოა რაიმე მოტივდურული მგრძნობიარობა. დიდ

როლს თამაშობს ამ შემთხვევაში მშველიძის ენა — მიწიერი, ფეხმავარი, თითქოსდა კლდის ნატურებისაგან შექმნილი. და აკი მის შესახებ ჩვენი დროის უდიდესმა კომპოზიტორმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა ასე განაცხადა საჯაროდ: „ეს ისეთი მუსიკალური ენაა, რომ ამე გგონია, მთები დაივიწყებ ადგილიდან“.

მაგრამ მშველიძეს აქვს იმდენად საკუთარი (ზოგჯერ „უცნაური“ მწვენიერებით აღბეჭდილი) ხედავ, რომ მიუხედავად მისი შემოქმედების ძალადგრი ეპიური მასშტაბისა, მისი ღრმა, ამასთან „ჯიუტი“ მხატვრული საწყარო საგრძნობლად „ლიბიტირებულია“ და იქ „უცხო პირთათვის“ იშვიათად თუ აღმოჩნდება ადვილი. ეს ბევრგან იჩენს თავს მშველიძის მუსიკაში, მის ინტონაციურსა და მარშონის საყაროში, რომელიც, ამ „ჯიუტ“ თავისებურებასთან ერთად, მულად ეღვარე და გაუცქვეოელია. და თუკი რამ მათში „უცხო“ შეიჭრა, (შესაძლოა ზოგჯერ ეს იყოს „სხვისთვის ნორმალური“), ასეთ შემთხვევაში, ეს „შემოჭრილი“ ინტონაციები ბოლოს მაინც შემოტრიალდებიან „მშველიძისებურად“, და ამგვარი „პროცესები“ მშველიძის მუსიკაში აღბეჭდილია ხოლმე სტიქიური მახვილვანიერულობით. ამის ტიპიურ მაგალითს „დიდოსტატის მარჯვენაშიც“ ვხვდებით, თუნდაც II მოქმედებაში. ასე, მშვენიელი მუშების გუნდის („თუ მარად გვემა გვეწერა, ვი რად გვეშობა შშობელმა“) მარშისებურ მოტივში, თითქოს და კლასიკური გერმანული და ფრანგული „დიდი ოპერებისათვის ჩვეულ მელოდიას გვხვდავთ, რომელიც „დიდოსტატის მარჯვენაში“ მეტად უხვად და ტრივიალურად გამოიყურება; და მხოლოდ მაშინ, როცა „მშველიძისებურად“ შემოტრიალდება, იგი იჩენს „სიცოცხლის უნარს“ და ძალას!

მიუხედავად იმისა, რომ მშველიძეს თავის მუსიკალურ მასალად საკმაოდ ძვირფასია „გამძლე მადანი“ გაჩენია, იგი უბეჭდად მოპოვებულია „საკუთარი შემოქმედებითი ტერიტორიის“ წილიდან და უშთაერესად გათვალისწინებულია მძიმე, მონუმენტურ „ნაგებობათათვის“, რომელთა დაძვრა არც თუ ისე ადვილია. მშველიძის თხზულებათათვის არც თუ იმდენად დამახასიათებელია თვალსაჩინო მრავალფეროვნება, და აქედან — მძაფრი ელატორული გადასახიერებანი და კონტრასტები, მოქმედების „კინემატოგრაფიული“ სისრულად, რაც აგრეთვეა მკვლევრდება თანამედროვე საბჭოურ დრამატურგიაში და რომლის ერთ-ერთი მამოძრავებელი პროკოფიევის საოპეროსაბალეტო შემოქმედებაა.

ეს გარემოება განსაკუთრებით საგულსხმო შეიქმნა მაშინ, როდესაც კომპოზიტორი შეეხო კ. გამსახურდას რომანს, სადაც ცხოვრება უმეადურსი, თავბრულამხვევი ტემპითაა გადაწყვეტილი. თითქოს რომანი ხომ შეუნელებლიე იწვის კოცონივით, რომელიც თითქოსდა გააჩაღებელია ბრწყინვალეობი მწვერვალზე და ძნელად თუ ვიპოვით რომანში ისეთ მომენტს, რომელიც ამ მწვერვალზედან დაეშვება და ყოველივე ამის განსახიერებისათვის საჭიროა არა მარტო მუსიკისტისებური პიქტური, ხალხური მიწიერი ძალა (რომლის ბუნებისთანავე ახლოა მშველიძე), არამედ ის დაპატიობებელი, ფიგურაციული ელვარებაც, რომელიც ვფიქვთ, ბიზეს „კვირმინსაფისი“ არის დამახასიათებელი.

კ. გამსახურდას გმირები ძნელად თუ შეიძლება გამოითქვოს იმ ცხოვრებისეული პანორამიდან, იმ თვალწარმტყვი, სტიქიური სურათებიდან, რომლებიც რომანშია მოცემული. გამსახურდას რომანის საერთო კოლორიტისა, მისი მტკაურებისათვის „ფრად დადამახასიათებელია ერთი მეტად საგულსხმო მომენტი: ვიპოვებ და გირმული მდამბიურად გადაცმულნი, სსასხილიან „გამომავალნი“, აღმა მიპყვებულენ არაგვს და ხედავდენ, თუ როგორ მოტყანვა წყალს უღლიანი კანებში, „თავისებრი მოუზუნად ბედმაგვს მხოლოდ, საწყალოლად ყოყინებდენ, ნაპირსაგვ იცხორებდენ. იძალბებდა ორთავან ერთი, ზეპასირდა თავის კერ უღელს, დასძირდად მეორეს წყალში. მიპქონდა დაუღლებულნი არაგვს, მორიგობით

ყვინთაობდნენ ბელშვანი. „ასე გადაკიდებს ხანდახან ორ კაცს ერთ უძლავ ბელს“. ეს სთქვა გიორგიმ... ეს კოლორიტული ეპიზოდი ორგანულად ავსებს გიორგი მეფის ხასიათს და აძვარია სურათებისაგან გვირგვინს მოწყვეტა საგრძობლად აღარ იბეძებს მათ ზეგნებს.

ცხადია, მუშაობდა ამავერი სურათების ოპერაში გამოტანა, მაგრამ აღნიშნული მომენტი იმით მოვიყვანე, რომ ხათელი ყოფილიყო, თუ რაღაცეხი სიძულელებს წინაშე იდგნენ ოპერის ავტორები. ამიტომ კომპოზიტორს უნდა აერჩია სხვა გზა, თუნდაც გადაეხეია რომანოსავს და ეთარსა საკუთარი კონცეფცია, რომ ოპერაში აუცილებლად დამკვიდრებულიყო მუსიკალური დრამატურგიის პრიმატი.

ეს ასეც მიხდა. ყველაფერი ეს მშველიძემ „თავისკენ გადასწია“. ოპერის მუსიკალურ დრამატურგიაში, მთელს მუსიკაში და საერთოდ მთელს ოპერაში ყველაზე მძლავრად ამტკიცებდა სახალხო სცენები. ქართველი ხალხის სახე, მისი „უეხიურ-ფსიქიური“ თავისებურებანი, მისი, ასე ვთქვათ „ზეიმ-ზარი“, მთლიან თვითმყოფი მომხიბვლელობით ადრე გვიგრძნობდა მშველიძის სიმფონიურ ნაწარმოებებში, რომელთაც შექმნეს ქართული პროგრამული სიმფონიზმის უწყესიწინავესი შტო და საფუძვლიანი ჩაუყარეს ეროვნულ ეპიურ სიმფონიზმს. ვთხოვ სახალხო სურათები გვიგრძნობა მის თვით „წმინდა ინსტრუმენტულ“, უპროგრამო ნაწარმოებებშიც.

ცხადია, რომ ეს ყველაზე თვალსაჩინო უნდა გამოიყენილიყო ისეთი ფორმის ქმნილებით, სადაც ხალხი უშუალოდ ამტკიცებდებოდა (ამ თვალსაზრისით მეგრის ძმები სანტკერსოა მისი პირველი ოპერა „ამავეი ტარიელისა“ და ორატორია „კავკასიონი“).

მაგრამ თუ ოპერაში „ამავეი ტარიელისა“, სახელდობრ ოპერის II მოქმედებაში — თინათინის გამეფების სცენაში (რომელშიც თითქოს და ოპიზარის სული ამტკიცებდა), ხალხი — გუნდი მაინც წარმოადგენდა „ფრესკულ მასას“, რომელიც მთელის სიდადიით და სიწმინდით გვაგრძნობინებდა საქართველოს ოქროს ხანას — რუსთაველის ეპოქას, სულ სხვაგვარად გამოჩნდა ხალხი „დიდოსტატის მარჯვენაში“. აქ გვხვდეთ მოძრა, მოქმედ კოლეტივს, რომელშიაც იგრძობა მოზავებული ძალა და დაუოკებელი ენერჯია (და ამის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, მშველიძის მუსიკაა). ამრიგად, ოპერაში სიმძიმის ცენტრმა უშთაფრესად ხალხის — მასის სახეზე გადაინაცვლა.

გამსახურდაის რომანში წარმუშავლი ხატოვანებით არის მოცემული სახალხო-მასობრივი ეპიზოდები, სახალხო ალტყინების, ღრეობის, ზეიმისა თუ გლოვის სცენები. მაგრამ ქართველი ხალხის მფთქები ძალა უშთაფრესად მოცემულია ადამიანებში, გვირგვინში, რომლებიც საოცარი ხაირხატოვნებით, უმძაფრესი დაპირისპირებით გადმოსცემენ ერის ენერჯიის მდლერებას, მის ტკივილებსა და ხათელსწრაფვას. მის ავსა და კარგს. რა უზადრუქნი აღმოჩნდნენ ის კრიტიკოსები, რომლებიც უსაყვედურებდნენ კონსტანტინე გამსახურდას, თითქოს მის რომანებში ხალხი არ იყოს ასახული. სხვა ურიცხვ მაგალითებს, ხალხის წარმომადგენლთა მთელ ვალერეას რომ აღარ გამოვიყენებოთ, ვანა არ კმარა თუნდაც კონსტანტინე არსაკიძე, რომელიც თავისი ამაყი ქედუბრელობით განსახიერება უზრალა. მშრომელი ხალხის შემოქმედებითი გენიისა? ვანა შორენასა და არსაკიძის უმაღლესი სიყვარული, ამ სიყვარულის მიერ სოციალური უთანასწორობის გადალახვა (რაც ქართული ლეგენდის ტრადიციაშია) არ მეტყველებს გამსახურდას „დიდოსტატის მარჯვენის“ ღრმა ხალხურ საფუძველზე?

შალვა მშველიძე სხვა გზით წავიდა. მის ოპერაში არ ვხვდეთ გმირთა — ადამიანთა იმ უშუალო შეჯახებებს, ვნებათა უმძაფრეს ჭიდილსა და დაპირისპირებათა ფიქერეკვას, რომელთა საშუალებით გამსახურდა გადმოგვცემს ძირითად ქართველი ხალხის სახესა და მის დაუმრეტელ პოტენციას. შალვა მშველიძემ „სიმძიმის ცენტრი“ იქითკენ გადაიტანა, სადაც უფრო „მაგრად გრძობს“ თავს

დასასრულს მხატვრობის შესახებ. ისტორიის პირქუში, დრამატული კოლორიტისა და ქართული ხალხის სულიერ ქმნილებათა სიწმინდის გრძობა, რაც ასე გასდევს მიელ წარმოდგენას, დიდად არის გამოვლინებული მის მხატვრობაში (კარლო კუკულაძე და ოსებ სუმბათაშვილი), რომელიც განუყოფელ მთლიანობაშია რეჟისორის კონცეფციასთან. ყველა ამასთან მხატვრობა კარგად ეფარდება მუსიკის ხასიათს. უკვე არაერთხელ აღვნიშნე ოპერის ეპილოგი, სადაც მხატვარ კ. კუკულაძეს იფექტურად აქვს მოცემული მიწისძვრის სცენა და ღრუბელთა გაულის შემდეგ ტაძრის გამოჩენა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ფხოვის სცენები პირველ მოქმედებაში, სახელდობრ მე-3 სურათი. სადაც კაკასიონისა და ციხე-გოლობის დამუხლი პანორამა, ციხის კილოებზე აკრებიზებული ჩირაღდნები, მოლოდინო შუქში გახვეული პირქუში ხედი და ამ თონზე მასის ხატოვანი ჯანლაგება ქმნის „სისხლიანი ნადიმის“ თასტასტურ სურათს. სამწუხაროდ, ვარ მოხარბდა ი. სუმბათაშვილის მაღალნიჭიერი ისაიზობის სცენაზე სრული განხორციელება. ისაიზობისა, რომლებშიც ერთანული პეიზაჟისა და ისტორიულ-მხატვრიალური ძეგლების კონსტრუქტი იშვიათად ორიგინალურ და მძაფრ ფორმებში იყო მოცემული. მათი განხორციელება კი განუზომლად გაზრდიდა წარმოდგენის ზემოქმედებით ძალას. თვით მხატვარმა რატომღაც თავიდანვე მიატოვა ეს შესანიშნავი შთანაფქტი — თავისივე პირქუში. მისი დამთავრება და სცენური განხორციელება მოუწია კ. კუკულაძეს, რომელიც დიდი ტაქტიით მოიკიდა ამ ესაიზობს, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო შეიყვალა დასახული კონსტრუქციული პრინციპი, რამაც სავარძობლად შეუცვალა იერი პირვანდელ შთანაფქტს. კ. კუკულაძეს კუთვინის წარმოდგენის კონსტრუქტი, რომელიც კარგი

გემოვნებითა და ისტორიულ-ლოკალური კოლორიტისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით არის განხორციელებული. რაც შეეხება ჩვენი თეატრის სცენის ტექნიკურ საშუალებებს, აშკარად უნდა ითქვას, რომ ისინი დღეს უკვე ვეღარ აასუნობენ თანამედროვე თეატრის დონეს და მათ გამაჯობესებაზე ზრუნვა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრისათვის გაძნელება ახალი და თამამი სცენურ-კომპოზიციური ამოცანების გადატრა.

არ შემძლია არ აღვნიშოთ ის გულმოდგინე და თავდადებული მუშაობა, რომელიც გასწიეს ოპერის მზადების პროცესში ქოროს ლობტარებმა ელენე ტერიშვილმა და გივი ბუბრიკიძემ — გუნდთან, კონცერტმეისტერებმა ტატიანა დუნენკომ და ელეონორა გაბაშვილმა — სოლის-

ტებთან, რეჟისორის ასისტენტებმა ე. ლოლუამ და ანჯაფარიძემ და სხვ.

ზანგრძლივი, დიდი სიძნელეებით სავსე, შეიძლება ითქვას — გმირული შრომა გასწია ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრმა ამ ურთულესი სპექტაკლის მომზადებაზე ბევრს მუშაობდა თეატრი ამ უკანასკნელ წლებში ახალი ეროვნული საოპერო და საბალეტო რეპერტუარის შექმნაზე, მუშაობდა დიდის მოთმინებითა და შეუპოვრობით, მიუხედავად იმისა, რომ „მადლიანი შედეგი“ ხშირად როდის იყო მოსალოდნელი. მით უფრო დასაფასებელია თეატრის ეს პატრიოტული ამაგი და ამის დიდი ნაყოფი კი თეატრს მოუტანა წლებადღემა, იშვიათად „მოსავლიანა“ წელმა.

შალვა შველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“. იოსებ სუმბათაშვილის ესკიზი





იესაიასიანი სერგო წკვიციანი

თეატრის თავმდაბალი მუშაკი

მაყვალა ცხოვრება, სერგო წკვიციანი

ამ ბოლო დროს ბევრი მონოგრაფია, ნარკვევი თუ მხატვრული პორტრეტი იწერება სცენის მუშაკებზე. ამ მონოგრაფიებისა და პორტრეტების მიხედვით თეატრის თითქმის ყველა მოვალეზე ბავშვობიდანვე ყოფილა შეყვარებული თეატრზე, ხელოვნებაზე; ბავშვობიდანვე უოცნებია მსახიობობასა და რეჟისორობაზე.

თელი წეროტე გამონაკლისია — იგი ბავშვობაში ინჟინრობაზე ოცნებობდა, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება შემთხვევითი და მოულოდნელი. ზოგჯერ შემთხვევა გადაწყვეტს როლსაც კი ასრულებს მომავალი გზის არჩევანში...

სწორედ ასეთმა შემთხვევამ მიიყვანა თელი წეროტე სცენაზე...

თ. წეროტე დაიბადა 1913 წელს, თბილისში, რკინიგზის მემანქანის მელიტონ წეროტის ოჯახში. ერთი წლისაც არ იყო, როცა მამა გარდაეცვალა. შვიდი კლასი რომ დაამთავრა, დედამ გარდაეცვალა და ნათესავების ამარა დარჩა...

იმ ზაფხულს ბიძასთან წავიდა, გურიაში, სოფელ სამებაში. სამება ძველთაგანვე ქვეული სოფელია. ზაფხულობით იქ მუდამ იკრებიებოდა ინტელექციის მძლავრი ბირთვი, რომელიც სოფლის კეთილმოწყობად მართავდა საქველმოქმედო გახშვნიან საღამოებს, სცენისმიმყვარეთა წარმოდგენებს და სხვა.

ამ გზით ააშენა სოფელმა ბიბლიოთეკა, რომელიც დღესაც არსებობს იქ, აფთიაქისა და კოოპერატივის კაპიტალური მიწების ბოძანი. 1929 წელს სოფლის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა სახალხო კულტურის სახლის შენობის აგება. ამ დიდი წამოწყების მეთაურებმა საქმე წარმოდგენების მართვით დაიწყეს. წრეს სათავეში ჩაუდგა ინჟინერი ვალერიან მახარაძე. შერჩიეს გ. ბუნჯიაშვილის იმ დროისათვის პოპულარული პიესა „ცისანა“. მთავარი როლი — გოგია იაქე თელი წეროტეს შესთავაზა რეჟისორმა. თელი ჯერ შეტება, რადგან აქამდე სცენაზე ფეხი არც კი დაედგა. ცხადია, მაცდუნებელი წინადადება იყო, და ვერც თელიმ გაუძლო ამ ცდუნებს.

საქეტიკალმა წარმატებით ჩაიარა, 16 წლის თელი კი იმ დღეს „არტისტის“ სახელით მიიწვიდა.

იმ წარმოდგენის შემოსავალით „სახალხო სახლის“ საძირკველი გაიჭრა. შემდეგი საქეტიკალებით კი, მომდევნო „ზაფხულთა სეზონებზე“, აიგო კედლები, დაიგო იატაკი, დაშვენიდა ჭერი. ერთი სიტყვით, რამდენიმე წელიწადში სამებელმა ბიჭებმა წამოჭიშეს სასცენო თანამედროვე კულტურის სახლი, რომელიც დღესაც ემსახურება სოფელს.

ის ზაფხული მიიწერა და თელი თბილისში დაბრუნდა. შეუდგა სამუხაძის ინდუსტრიულ ტექნიკუმში შესასვლელად, მაგრამ სამუხაძის სცენა და განცდილი დღეები გონებიდან ვერაფრით ვერ მოიშორა... და მოაღწია თუ არა ზაფხულმა, კვლავ სამუხაძის მიაშურა, კვლავ „არტისტობდა“, წარმატებას წარმატებებზე აღწევდა. იმ ზამთარს კი, თბილისში, „სასკვეების“ კლუბში, თვითონვე შექმნა დრამატული წრე და მიხეილ ჯაფარიძესთან ერთად (ამჟამად ცნობილი დრამატურგი) ხელმძღვანელობდა მას.

აქ, ამ პატარა კლუბში, მოსინჯა მან თავისი რეჟისორული უნარი, — დადგა ია ევალაძის პიესა „№ 21 ჯვრით“.

სურვილი — გამხდარიყო ინჟინერი, დაემთავრებინა ინდუსტრიული ტექნიკუმი, შემდეგ კი ინსტიტუტი, ჯერ კიდევ იყო ჭაბუკი თელის გონებაში, მაგრამ იქვე გაჩნდა მეორე, გაუბედური სურვილიც — გამხდარიყო სცენის მსახური...

მაგრამ ამ სურვილის გამსუქის ეწინოდა ჭაბუკს — არ იყო დარწმუნებული საკუთარ თავში.

იმ დამით კი, როცა „№ 21 ჯვრით“ ითამაშეს, მიხეილ ჯაფარიძემ თელის მხარზე ხელი დააკრა და უთხრა:

— შენ რომ ინჟინრობაზე ოცნებობ, უარობაა! თელიმ გაკვირვებით შეხედა ამხანაგს.

— შენი ადგილი სცენაზეა! — დაბჯინებით თქვა მიხეილმა...

და გადაწყვიტა თელიმ ბედი ესინჯა „დად სცენაზე“...

1933 წელს თელი ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეა. 1936 წელს კი — თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული სექტორის სტუდენტი გახდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მთელი თავისუფალი დრო სცენას მოახმაროს, — ზაფხულობით სამებაში რეჟისორობს, აკეთებს გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ ინსცენირებას, თვითონვე დგამს, თამაშობს იერემია წარბას როლს, აწყობს კომედიების საღამოებს... თბილისში კი, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და უცხო ენათა ინსტიტუტის დრამორეჟები დგამს კ. კალაძის პიესას „როგორ...“. მაგრამ ეს მაინც არ იყო „დიდი სცენა“, და აი, მას ბოლოს აუხდა ოცნება — შესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა მუშა-ახალგაზრდობის თეატრში მიიწვიეს მსახიობად.

ბად... მაშინ იქ მოღვაწეობდნენ ქართული სცენის ისეთი ოსტატები, როგორც არის ალ. მიქელაძე, როგორც იყო გრ. სულიაშვილი.

აქ გატარებული ორი სეზონი (შემდეგ დაიშალა ეს თეატრი) ნამდვილი სკოლა აღმოჩნდა თედოსთვის. გრ. სულიაშვილის დიდი პედაგოგიური მოღვაწეობა (რომელიც, საშუაბაროდ, არსად არ არის ჯერ შესწავლული) და ალ. მიქელაძის შემოქმედებითი ეცესლი შესანიშნავად ათვისა სპეხის სცენაზე მსახიობად ნაკურთხმა ყმაწვილმა. ამ თეატრის სცენაზე შესრულებული როლებიდან აქტიურობი სრულყოფით გამოირჩევა ამჟამად — ბრუნსტეინის პიესაში „ვაგრძელება იქნება“, ივანოვი — ტურსია და შეინინის „პირისპირში“, ნასიძე — გ. გვიაშვილის „მუყყერში“ და მისა — ი. გელეიანიშვილის „მსხვერპლში“. თედო აქ მართლ მსახიობი როდი იყო — იგი ასისტენტობდა კიდევ ამ სახელოვან რეჟისორებს და შესანიშნავ გაკვეთილებს იღებდა...

ინსტიტუტს კი ჩამოსცილდა... „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მთრეო არ წაწყვიდა?... სცენა უფრო საიმედო იყო თედოსთვის და... მას დაუკავებდა“.

1937 წელს დასასრულს თეატრი დაიხურა და სასცენო ტაბო რეჟისორი ჩოხბატურის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად გაგზავნეს... ეს არც სამეხელთა წრე იყო და არც „სასჯევების“ კლუბი. ეს იყო თეატრი, ნამდვილი თეატრი, მაგრამ ხელმძღვანელებად და მასწავლებლებად აქ არც ალ. მიქელაძე ჰყავდა და არც გრ. სულიაშვილი. მას დამოუკიდებლად უხდებოდა შემოქმედებითი მუშაობა და თავსაც ჯეროვნად ართმევდა. ორი სეზონის მანძილზე ხელმძღვანელობდა თედო წარმოდე ჩოხბატურის თეატრს და თაიშენის სპექტაკლით გამოვიდა თეატრის რეპერტუარი. მათგან რეჟისორული გონებაშეხილობით და მხატვრული სრულყოფით გამოირჩეოდნენ 2. კაკაბაძის „კოლმურნის ქორწინება“, ი. ვაკელი „შური“, ს. კლდიაშვილის „გმირის თეატრი“, და თაიშენის „ხალხის რჩეული“, კარავაჯის „შუბრა“ და სხვა... შედგომებიც, ჩაარდნებიც, შემოქმედებითი ტკივილებიც და გამარჯვებობა სამეც უფად იგემა ჰაბუვაშ რეჟისორმა ამ ორ სეზონში. ჩოხბატურის თეატრში გატარებული წლები მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ყველაზე სათუთ და საყვარელ წლებად ითვლება, რადგან ის, რაც მუშა-ახალგაზრდობის თეატრად და უფრო ადრე დრამატული წარმოდე მისცა, აქ განმტკიცდა მასში და გამოიწირო. 1940/41 წ. წ. სეზონში, როცა ჩოხბატურიდან თედო თბილისის მოზარდმასწავლებელთა ქართულ თეატრში გადმოვიდა დამდგმელ რეჟისორად, აქ, ქართული ახალგაზრდობის საყვარელ თეატრში, თედო წლები მის განმავლობაში იღწეოდა მაღალმხატვრული და მაღალი დეური წარმოდენების შექმნისათვის. ამ თეატრის მასურებელს არ დაეწყებოდა თ. წერეთლის სპექტაკლები — გ. გვიაშვილის „ფარავნული ტაბუკი“, „უხსნეოების ტანია“, გ. გოგიაშვილის და ვ. მახვილაძის „ვალია სოკოლოვა“ და სხვები. მართკ ის რად დირდა, რომ 1945 წელს ახალგაზრდა რეჟისორთა ნამუშევრების საკავშირე დათვალთერებაზე ცნობილი ქართული რეჟისორების ნამუშევართა შორის მოსკოვის კომისია პირველი ადგილი თედო წერეთლის სპექტაკლს „ფარავნული ტაბუკი“ არგნა. ეს არა მართკ რეჟისორის, არამედ მიოლი თეატრის დიდი გამარჯვება იყო. გამარჯვების ჯილდოდ თედო წერეთე მიაგლინეს მოსკოვში რეჟისორული გამოცდილების სრულყოფისათვის. რვა თვე განგრულ თეატრში, ხლო ორი თვე სამხატვრო თეატრში გაატარა მაშინ თედომ.

ეს ათი თვე საკუთარი შემოქმედებითი მრწამსის განმტკიცებას მოახზარა ნიჭიერმა თვინანსავლმა რეჟისორმა.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, რეჟისორ ლიდი იოსელიანთან ერთად, სამი წლის განმავლობაში უნაგრადო მუშაობს ქალაქ რუსთაში. ამ ორ ახალგაზრდა რეჟისორს ფიქრად ჰქონდა მეტალურგთა ქალაქში ახალგაზრდობის ძალეობით შექმნა დიდიმხატვრი თეატრი. ამ წარმწყობას მხარს უჭერდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები ე. მანჯგალაძე, გ. გეგეჭკორი, მ. მახვილაძე, ელ. ყიფშიძე, გ. გელთვანი, ი. საყვარელიძე, ლ. ძიგრაშვილი, თ. მასსურაძე და სხვები. მოსკოვის სპექტაკლი, იოსელიანმა და თ. წერეთემ დადგეს ი. რუსთაველის „ჩაბირული ქვები“, იალუნერის „სამაშო საზრუნავი“, ჩხოვის რამდენიმე ერთმოქმედებიათ პიესა, გამართეს სადამოკონსერტები. ყველაფერი კეთდებოდა ახალგაზრდული, მქმნავრე, ნამდვილი პროფესიონალიზმით აღმტედილი ენთუზიაზმით, მაგრამ თეატრის შექმნა მიიწე არ მიხერხდა...

1951/52 წ. წ. სეზონში თედო წერეთე მხარბარის თეატრის მთავარი რეჟისორი. ამ კარგი ტრადიციების თეატრში თედომ ბევრი საინტერესო სპექტაკლი შექმნა. შეუძლებელია დავიწყება ვ. დარასელის „კიკვიძის“, ნახტურთვილის და გამბეგელის „ლადო ეცესთველის“, დავით კლდიაშვილის პიესების „ირენის ბედნიერებისა“ და „დარისაპის ვასატირისა“, კ. ბუჩიძის „მეკური ქალიშვილებისა“ და სხვა მრავალი მაღალი გემოვნებით შექმნილი წარმოდგენისა.

1953/54 წ. წ. სეზონში თედო წერეთე სამუშაოდ გადმოყავთ თბილისში, მარჯანიშვილი თეატრში, რეჟისორ-ასისტენტებად. ქართული თეატრის ამ დიდ კერაში თედომ ორი სპექტაკლი შექმნა — გ. ვასატირის „ახალწლის დამე“ და რ. ეშბალიძის „ნანა“, რომელიც შეიძე წელი იდგებოდა.

1957 წლიდან თედო წერეთე საკულტურის თეატრის რეჟისორ-დამდგმელია. ამ თეატრის სცენიდანაც ბევრჯერ გაახარა მასურებელი თედოს კარგმა სპექტაკლებმა (გ. ქალბაქიანის „სიყვარულის მსხვერპლი“, ა. აფხაიძის „სასულგატეხილი“, თ. ფერაძის და თ. რაზმაძის „წარსულის ჩრდილი“, ვ. კატაგის „დასვენების დეა“, კორინის „იუპიტერი იცინის“ და სხვა).

ზომიერება, ძნელად მისაღწევი რამ თეატრალურ ხელოვნებაში. თ. წერეთის ყოვლი სპექტაკლის ნიშანდობლივ თვისება. სინარტლის გრძნობა, უშუალოდ და ძირითადის წინ არა სტეპბურე, ტენდენციური, არამედ ლოგიკური წამოწყება, მთავარის, არსებითის გამოკვეთა სპექტაკლში — აგრეთვე კარგი თვისება თ. წერეთის შემოქმედებისა.

ამ შემოქმედებითი თვისებების ხასიათდება თ. წერეთის მიერ სხვადასხვა თეატრში შექმნილი სპექტაკლები „კიკვიძე“, „ლადო ეცესთველი“, „სასულგატეხილი“, „იუპიტერი იცინის“, „აურზაური არაფრის გამო“, „ვალია სოკოლოვა“, „ტანია“, „გმირთა თაბა“ და სხვები.

თედო წერეთისათვის არ არსებობდა დიდი და პატარა სცენა — იგი ყველგან დიდი ხალხით, დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა. წლებს განმავლობაში თედო ხელმძღვანელობდა დრამატულ კოლექტივებს პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, პიონერთა სასახლეში და სხვ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სცენაზე თ. წერეთემ დადგა ანტონოვის „ჩენი ახალგაზრდობა“, ვაჟ-ფშეველას „მოკვიძალი“, კახიძის „უბრალო ადამიანები“, ჯ. გოუს და ა. დელუს „ღრმა ფსევები“, შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“, პუშკინის „ქვის სტუმარი“, ინგლისურ ენაზე დადგა შექსპირის „ვენეციელი

ვაჭარი. გერმანულ ენაზე — გოეთეს „გოც ფონ ბერლინში-გენი“ და სხვა. სხვათა შორის, შექსპირის პიესა ინგლისურ ენაზე საბჭოთა კავშირში პირველად თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სცენაზე გათამაშდა. ეს ფაქტი სათანადოდაა ასახული მოსკოვის უნივერსიტეტის მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში.

თბილისის პიონერთა სასახლეში დრამატული წრის მუშაობა თედო წერეთემ გარდაქმნა სტუდიურ მუშაობად. ამ წრეში მყოფმა თხუთმეტივე პიონერმა შემდეგში დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი ან სტუდია და დღეს ბევრი მათგანი საკმაოდ ცნობილი მსახიობია. ამ ჯგუფში იყვნენ ი. შუშანი, ა. გამახურდია, თ. არჩვაძე, შ. ქიორაძე, გ. ჩხიკვაძე, გ. სასაღარკე, კ. საკანდელიძე, თ. ფეიძე, ა. ქუთათელაძე და სხვები. თედო წერეთის რეპეტიციონი ამ სტრუქტურის ერთ-ერთ ავტორსაც ახსოვს სახელმწიფო უნივერსიტეტის სცენაზე... თედო შთამაგონებელი მოსაუბრე იყო მხატვრულ სახეზე მსჯელობისას. ამავე დროს იგი არასოდეს არ ცდილობდა შემსრულებლისთვის თავს მოეხვია თავისი ჩანაფიქრი—იგი ცდილობდა მსახიობისა თუ სცენისმოყვარის მუშაობა იმეგვრად წარემართა, რომ ამ უკანასკნელს თავად მიეგნო სასურველი სცენური სახისთვის.

ესევე ჭეშმარიტი ხელოვანი-რეჟისორის თვისებაა...

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრის ეროვნული სახე და მისი ბავშვობის გზა

ლიმბიტრი მჭედლიძე

ჩვენს მდიდარ, მაღალ და უნიკალურ მუსიკალურ კულტურას, რომელიც სათავეს იდებს ათეულ საუკუნეთა სიღრმეებიდან, რევოლუციამდე არ ჰქონდა პროფესიული სახე ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. მართალია, ხალხურ მუსიკასთან ერთად, უძველესი დროიდანვე გაავრცინა მაღალპროფესიული საგუნდო შემოქმედება. მაგრამ ჩვენ არ გვქონდა ეროვნული საოპერო რეპერტუარი, ბალეტები, სიმფონიები, ორატორიები და ა. შ.

ამ წერილში მე მინდა მოკლედ მოგახსოვო ის დიდი შემოქმედებითი გზა, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა განვლო ორმოცი წლის განმავლობაში.

თბილისის საოპერო თეატრის პირველი წლები მუშაობა საკმაოდ კარგად არის გაუქუქებული შალვა კაშაძის და პავლე ხუჭუას წიგნებში, ამიტომ ამ ეტაპის აღწერას მე არ შევუდგები. მოგაკონებთ რა ეროვნული ოპერის საწყისებს, შეგჩერდები თეატრის მუშაობის ბოლოდროინდელ პერიოდზე.

ყველასათვის ცნობილია, რომ პირველი ქართული ოპერის წერას ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულს შეუდგა მელიტონ ბალანჩივაძე. მისი „თამარ ციციის“ ნაწყვეტები კიდევ იდგებოდა პეტერბურგში, მაგრამ ამ ოპერის დამთავრება და დადგმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხერხდა.

ქართველ კომპოზიტორთაგან კი ყველაზე დიდერეულეული სახით საზოგადოებას ოპერა წარმოუდგინა რეჯო გონგიაშვილმა, მისი ოთხმოქმედებიანი „ქრისტინე“ (ე. ნინო-

1960 წლის ნოემბერში თბილისში მიმდინარეობდა სახალხო თეატრების დათვალეობა. ქუთურის წევრებმა სახალხო თეატრების ინტერესით თვალეობედნენ პროგრამას, რომელიც იუწყებოდა, რომ იმ საღამოს წარმოდგენილი იქნებოდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამების კულტურის სახლის დრამატული წრის სპექტაკლი — ალ. აფხაძის „სახეგატეხილი“. ისეთი მძლავრი სახალხო თეატრების შემდეგ, როგორცაა ამბროლაურის, ცაგერის, რკინიგზელთა სახლის ორჯონიძისა და გურჯაანის რაიონების თეატრები, ცხადია, ძნელია წიგნბატების მოპოვება... მაგრამ ჟიურიც და მასურბელიც გაკვირვებული და აღტაცებული დარჩნენ. სპექტაკლის დასასრულს ოვაცია გაუშარბეს სამებელ სცენისმოყვარეებს... სპექტაკლი ისეთი აღმოჩნდა, ბევრ პროფესიულ სცენასაც რომ დაამყვენებდა...

სამებულემა პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს.

ამ სპექტაკლის ავტორი თედო წერეთე გახლდათ... ჩვეულება რჯულზე უმტიყცესიაო, — თითქმის ყოველ საფხულს თედო საყვანელ სამებას მიაშურებდა და სიტუბუკეში მისცა ოფლითაც აწმუნებელი კულტურის სახლის სცენაზე ერთ პიესას მაინც დადგამდა... ეს მის მოქალაქეობრივ ღირსებაზე მეტყველებდა.

შვილის მოთხოვრების მიხედვით) თბილისის საოპერო სცენაზე დაიდგა 1918 წელს.

ქართული ეროვნული საოპერო ხელოვნების ნამდვილი საძირკვლის ჩაყრა მოხდა 1919 წელს. ამ წლის 5 თებერვალს დაიდგა ლიმბიტრი არაყიშვილის ოპერა „თქმულემა შოთა რუსთაველზე“. ამ ოპერის მუსიკალური ღირსებები დიდია და მისმა დადგამმა ცხადყო, თუ რა დიდი პოტენციური ძალა გააჩნდა ქართულ მუსიკას. დიდი მუსიკოსის და მოღვაწის ლიმბიტრი არაყიშვილის სრული შეფასება ასეთ წერილში რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მაგრამ არ შემიძლია მის საოპერო დარგში მოღვაწეობასთან ერთად არ აღვნიშო მის გარემოება, რომ და არაყიშვილმა პროფესიული მიმდინარეობა მისცა ქართულ კამერულ რეპერტურას. მისი სარომანსო შემოქმედება მუდამ დარჩება მსმენელთა ყურადღების ცენტრში, ხილოდ ქართველ მუსიკოსთათვის დიდხანს იქნება ნიმუში, რომელზედაც შემსრულებლისა და კომპოზიტორების არა ერთი თაობა აღიზრდება. „თქმულემა შოთა რუსთაველზე“ დადგა რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ, რომელიც მთელი თავისი დიდი ნიჭით და გამოცდილებით, ოპერისა და ბალეტის თეატრში ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს, როგორც თეატრის მთავარი რეჟისორი, ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა ქართველ კომპოზიტორებს შექმენათ ნაკონკურტური რეპერტუარი. მან მრავალი ქართული — კლასიკური და საბჭოთა, ოპერის პირველი დადგმა დახასოტრიალა.



1919 წლის 13 თებერვალს ქართულ საოპერო სცენაზე შემოიჭრა ნათელი მზე: ამ დღეს ქართულ კულტურას დასრულებული სახით მოეწვინა ზაქარია ფალაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ზ. ფალაშვილი ქართველი ხალხის მუსიკის რუსთაველია. მისი სახელი ისევე, როგორც მისი მუსიკა ქართველი კაცის გულში და გრძობაშია ჩაქსოვილი. ამ გენიალური ნაწარმოების უდიდესი ღირებულება, სხვა უპირავე ღირებულებასთან ერთად, ის არის, რომ ძირფესვიანად ეყრდნობა ეროვნულ ნიადაგს, ღრმად იჭრება ხალხურ წყაროებში, მით მიღრმადდება და ამდიდრებს მას. ზაქარია ფალაშვილის შემოქმედება დიდი მავალითაა ქართველი ერის სიდიერის გაღვება და მით მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში დიდი ღვაწლის შეტანის. პრემიერად დირიჟორობდა თვით ავტორი. „აბესალომის“ პირველი დადგმა განხორციელებული იყო ალექსანდრე წუწუხავას მიერ, რომელმაც პირველმა შექმნა ფალაშვილის ამ შედევრის რეჟისორული ტრადიცია და შემდგომაც ათერთხელ მოუბრუნა ამ ოპერას.

ეთერის როლს ასრულებდა ო. ბახუტაშვილი-შულიანა. ამ მომღერალმა დიდი კვალი დასტოვა თავისი მოღვაწეობით და სამუდამოდ შევიდა ქართული მუსიკის მატანეში. აბესალომის როლი პირველად შეასრულა ბრწყინვალე ტენორმა, იმამამდ თბილისის საოპერო თეატრში მომუშავე მ. ზალიაძემ. ცოტა ხნის შემდეგ წარმოდგენაში შევიდა სიმღერის ჯაღიქორი, დღეს ლევენაში გადასული ვანო სარაჯიშვილი. მან უძაღვის მწვერვალზე აიყვანა აბესალომის სცენური და ვოკალური სახე; ხოლო არც აბესალომი დარჩენია სარაჯიშვილის ვაღში — აბესალომის განხორციელებამ ვანო სარაჯიშვილს უკვდავება მიაჩინა.

მურმანის როლს ასრულებდა ქართველი ხალხის საყარეული მომღერალი სანდრო ინაშვილი. ამ მსახიობის სცენური მიმზიდველობა უსაზღვრო იყო. მისი ხავერდოვანი ხმა სრულად ეფარდებოდა მის სცენურ ბუნებას. ს. ინაშვილმა დიდი სახელი მოუხვეჭა მამინ კიდევ ახალგაზრდა ქართულ საოპერო და ვოკალურ კულტურას.

ქართველ მომღერალთა ამ ნამუელს — ო. ბახუტაშვილს, ვ. სარაჯიშვილს და ს. ინაშვილს განსაკუთრებული როლი მიუძღვის ქართული საოპერო კულტურის და ქართული ვოკალური ხელოვნების განვითარებაში. ამიტომაც დიდი მადლობით ვისჩინებთ ამ ღვაწლშობის მოღვაწეებს.

1919 წელს დეკემბერში დაიდა ვიქტორ დოლიძის კომპოზიტორ ოპერა „ქეთი და კოტე“. ამ ახალგაზრდა ნიჭიერ კომპოზიტორს დიდი წარმატება ხვდა წილად. ამ ოპერამ ცხადყო, რომ მუსიკალური სექტაბლისათვის უძნებლესი კომიკური ფანრი ქართულ მუსიკას ესერხება. ჩვენი თეატრის რეპერტუარში „ქეთი და კოტე“ დამკვირდა, როგორც კლასიკური ეროვნული კომიკური ოპერა. იგი წარმატებით დაიდგა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში, ასევე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

„ქეთი და კოტე“-ს პირველი დადგმა განახორციელა ალ. წუწუხავამ, რომელმაც ამ დადგმის კლასიკური ნიმუში დავეიცოვო. დირიჟორობდა ს. სტოლერმანი, რომლის სახელი ხშირად გვხვდება ქართული მუსიკის მატანეში. იგი იყო ფრნად კულტურული, სრულიყოფილი სადირიჟორო ტექნიკის მქონე მუსიკოსი, ქართული მუსიკის მოყარალი და დიდი ენთუზიასტი, რომელიც მრავალი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის საოპერო თეატრში.

1921 წლიდან დაიწყო ქართული მუსიკალური კულტურის ფართო და ყოველმხრივი აღორძინება. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ თავის თავზე აიღო თეატრზე ზრუნვა. თეატრებს დაეწინაურა დოქტაცია, რაც საშუალებას აძლევდა მათ ვრცლად რეპერტუარზე, დასის შემადგენლობაზე და სხვა მხატვრულ მიზნებზე.

ოპერის თეატრის ჩვენში არსებობის ასთხუმეტი წელი, მგრამ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენ არ გავგანადა არც ეროვნული დასი და არც ეროვნული რეპერტუარი. რამდენიმე ნიჭიერი ქართველი მსახიობი და სამი ქართული ოპერა არ ქმნიდნენ ეროვნულ თეატრს.

ამ საკითხის მოგვარება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, ხოლო აუცილებლობა კი მოითხოვდა ამის სასწრაფო გადაწყვეტას. თეატრის სახეს შეადგენს მისი რეპერტუარი და ნაციონალურ რეპერტუარს სათანადო შემსრულებლებიც სჭირდებოდა. იმის გარდა, რომ პირველი ქართული პროფესიონალი მომღერლები ცოტანი იყვნენ, ისინი გაფანტული იყვნენ რუსეთის სხვადასხვა თეატრებში. თბილისის საოპერო თეატრის რომელიმე მსოფლიო ანტრეპრისანი მოხვედრის შესაძლებლობა კი მხოლოდ მცირე გამოკვლილის ქობდა.

არსებული ცნობებით პირველი ქართველი საოპერო მსახიობები — პროფესიონალები იყვნენ: ბანი ფ. ქორიძე, ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, გ. ქურხული, ქარცივაძე, ვ. შარაშიძე, გ. ვენაძე, ნ. ელიოზიშვილი, ო. ბახუტაშვილი, მოთხოვნილებსამებრ იხრდებოდა მსახიობთა მცირე თაობა. ამ გარემოებას ხელს უწყობდა ის, რომ ხელისუფლება დიდი ყურადღებით მოქმედა ყველა საკულისხში წინადადებას ამ დარგში. ქართველი რეჟისორის და მოღვაწის აკაკი ფაღვას წინადადება საოპერო სტუდიის ჩამოყალიბების შესახებ მიღებული იქნა. ახალგაზრდა მომღერლებს საშუალება მიეცათ განეითარებინათ თავიანთი სცენური და მუსიკალური მონაცემები და საოპერო თეატრში შესესაძლებლად მომზადებულიყვნენ ისეთი გამოჩენილი ოსტატების ხელმძღვანელობით, როგორიც იყვნენ რეჟისორები კოტე მაჩაშიშვილი, სანდრო ახმეტელი, აკ. ფაღვა და დირიჟორი ივანე ფალაშვილი. ამ სტუდიის წინაშეუღობაზე საჭიროა სპეციალური ნარკვევი დაიწყოთ. ახლა კი მინდა აღვნიშნო ის, რომ ამან და სხვა ღონისძიებებმა ქართველი მომღერლების მეორე პლუადა, ასევე მისი მომდევნო თაობები თვალსაჩინოდ გაზარდა და გააძლიერა.

ოპერის თეატრში მოვიდნენ ტენორები: ნ. ქუშმაიშვილი, დ. ანდლუაძე, დ. ბაღრიძე, ნ. ბელაქნელი, ზ. სვანიძე, ნ. ყვარულაშვილი, შ. სანაძე, შ. ქუთათელაძე; ბარიტონები: ვ. ქაშაკაშვილი, შ. ცირილიაძე, პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი, დ. კრავაშვილი, გ. ყიფიანი; ბანები: დ. მჭედლიძე, ვ. სამაშვილი, გ. გრიგორაშვილი, ნ. გოციროძე; სოპრანოები: ვ. მრავალი, ო. ნინუა, ს. გაბაშვილი, ვ. სოსხაძე, ნ. ხარაძე, მ. ნაკაშიძე, თ. ლაპიაშვილი, ნ. გაბუნია. მეცო-სოპრანოები: ნ. ცომაძე, ვ. ხიჯაკაძე. ამ მომღერლებს თავიანთი მონაცემების და ნიჭის მიხედვით დიდ ხანს მიიყავდათ საოპერო თეატრი აღმავლობის გზით. ზოგი მათგანი დღესაც ამწვენებს თეატრის დასს.

აქვე მინდა აღვნიშნო ქართველი დირიჟორების მოღვაწეობა დაწყებული ივანე ფალაშვილიდან, რომელიც იყო პირველი პროფესიონალი ქართველი დირიჟორი, დიდი ეროვნობის მუსიკოსი და სრულიყოფილად იყო დაუფლებული

დირიჟორის რთულ ხელოვნებას. მისმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ ქართულ მუსიკალურ კულტურაში დიდი ნაყოფი გაშილი.

მისი მოწაფეები იყვნენ: ე. მიქელაძე, ა. მელიქ-ფაშავეი და შ. აზნაფარაშვილი. ა. მელიქ-ფაშავეი მალე გადავიდა სსრკ დიდ თეატრში, სადაც დღემდე ეწევა დიდად სარგებლიან მუშაობას და ამჟამად თეატრის მთავარი დირიჟორია.

ვევინი მიქელაძე მოეწვინა ჩვენს თეატრს, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავი; დიდ ნიჭთან ერთად მას მომადლებული ჰქონდა დაჯერებოდა მუშაობის უნარი. ის უთუოდ დიდი მოვლენა იყო. მისმა ხანმოკლე შემოქმედებითმა მოღვაწეობამ ჩვენს მუსიკალურ კულტურაში წარუხურებელი კვალი დასტოვა. ე. მიქელაძე იყო თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი 1937 წლის მოსკოვის დედადის დროს.

შალვა აზნაფარაშვილი დიდხანს მოღვაწეობდა ჩვენს თეატრში, მისი მუსიკალური ხელმძღვანელობით განხორციელებული იყო ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების მრავალი ოპერის დადგმა. იგი ხელს უწყობდა ნაციონალური კადრების აღზრდას.

ქართველ მომღერალთა მესამე პლადას გვეთვისან ტენორები: შ. ანჯაფარიძე, ნ. ანდლუაძე, გ. გეგუჩაძე, გ. გორგიძე, თ. ზაალაშვილი, ს. თორელი, ი. გაგუა, შ. ფაშალომიძე, გ. ტორიჩაძე, ვ. კანდელაკი, ი. კაპანაძე, გ. ვიზორაძე, ვ. გულუნაძე, კ. მალრძე, თ. ფსაკაძე, გ. ზედგინიძე; ბარიტონები: შ. კიკნაძე, ვ. მირიანაშვილი, შ. თაბუკაშვილი, თ. ზენიკლიშვილი, შ. მემვილია, ნ. ჯაფარიძე, ი. კოკოლია, რ. კაკაბაძე; სოპრანოები: მ. ამირანაშვილი, ვ. ანდრონიკაშვილი, გ. დოლიძე, ე. კეკელიძე, ნ. ქავიათა, თ. ჯობთაბერიძე, ნ. მიქელაძე, ი. ფალიაშვილი, თ. თაქთაქიშვილი, ნ. ტულუში, ხ. სირაჯა, ნ. ჩაჩიბაია, ტ. ჭანტურია, ნ. სენანიშვილი, ე. ეპიტაშვილი; მეცო-სოპრანოები: ლ. გოცირიძე, რ. გელოვანი, თ. ლობანიძე, ა. სიხარულიძე, თ. მამფორია, თ. დოლიძე; ბანეთი: თ. მუშკელიანი, ი. შუშანიანი, პ. თომაძე, გ. ხეცურიანი, ნ. ნადიბაძე, თ. ლაფერაშვილი.

თუ შევდარებთ თეატრის დღევანდელ მდგომარეობას, მის ახლო წარსულს, ჩვენს წინ გადაიშობა ნაყოფი იმ მრავალწლიანი სისტემატური მუშაობისა, რომელიც მიმდინარეობდა ნაციონალური დასის შესაქმნელად. დღეს ეს საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩითვალოს, რაც უკვე საშუალებას გვაძლევს ქართველ საზოგადოებას ქართულ ენაზე მოვასმენიოთ უცხო ენებიდან ნათარგმნი კლასიკური ოპერები.

ჩვენს დასში იმყოფებიან სხვა რეჟისორების მსახიობებიც: თ. კუწუცოვა, ვ. გასტინინა, გ. შმაღლიცი, ტ. მალმუგვა, ა. მურაფოვა, ე. მისალიოვა, ე. ლაშკაროვა, ა. ჩაპაილი, მ. პოპოვი, ლ. არაქელოვი, მ. მაღაროვი, ბალეტის მსახიობები: ნ. გრიშვეკინი, ტ. კოსოვა, ს. ბურავლიოვა, დ. ბაბუკვა, გარბოვიჩი, დედოფ, რომლებიც დიდ, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ოპერისა და ბალეტის თეატრში, ამავე დროს აქტიურად მონაწილეობენ ქართული საოპერო და საბალეტო რეპერტუარის შექმნაში.

წინათ ოპერის თეატრის სრულიად არ ჰყავდა საბალეტო დასი. სულ იყო თორმეტი წყვილი მოცეკვვე, რომლებიც საოპერო საექტაკლებში ღებულობდნენ მონაწილეობას. წინათ არც ბალეტის ცალკეული მსახიობი ან ბალეტებისტერები გვყავდნენ. საბალეტო დასი ჩვენში სულ ახალგაზრდაა და მისი ასეთი მკაფიო განვითარება მტკიცედ ეყრდნობა მდიდარ ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას. პირველი ქართველი

ბალეტის მსახიობები იყვნენ: თამარ ჭაბუკიანი, ლილია გვაზარაძე, ე. ჩიკვაძე, ლ. ბგეტაბეიშვილი, ნინო რამიშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ილიკო სუხიშვილი, ჯ. ბაგრატიონი, ა. ჩხატარაი, ს. სულხანიშვილი, ი. ალექსიძე, ს. ნონიაშვილი და ქორეოგრაფი დ. ჯავრიშვილი. წლების განმავლობაში ქართულ საბალეტო ხელოვნებაში დიდი წვლილი შეჰქონდათ კ. ბარხუდაროვს, რომელსაც არა ერთი ცოცხალი ქართული სახე შეუქმნია, ვ. საფაროვას, მ. ბაუერს და სხვ. პროფესორული ბალეტის აღორძინება ჩვენში დამაჯერებელია ვახტანგ ჭაბუკიანის სახელთან; მან ქართული ეროვნული ქორეოგრაფიის ძირითადი თვისებანი შეთავაზა კლასიკურ ცეკვებს და შექმნა მუსიკონსანივა საბალეტო საექტაკლოები.

დღეს საბალეტო დასში, რომლის საშხატრო ხელმძღვანელი ვახტანგ ჭაბუკიანია, არის 99 მსახიობი. მათ შორის ქალები: ვ. წიგნაძე, ი. ალექსიძე, ქ. ნადარეიშვილი, ე. გელოვანი, ლ. მითაიშვილი, ე. ჭაბუკიანი, ა. წარეთელი, ლ. ნადარეიშვილი, ა. ანთაძე, ა. დავალი, რ. დოლიძე, მ. გოგიჩაიშვილი, ვ. მეტრეველი; მამაკაციები: ზ. კაკალაშვილი, რ. მაღალაშვილი, თ. სანაძე, ვ. გუნაშვილი, მ. მონავარდისაშვილი, ს. ნონიაშვილი, კ. ლოლაძე, გ. პატარია, რ. წულუკიძე, კ. ძნელაძე, გ. ტაბახელაშვილი და სხვ.

შ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს დღეს ჰყავს ისეთი მაღალკვალიფიციური საოპერო და საბალეტო დასი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ყველა საოპერო თუ საბალეტო წარმოდგენა მსოფლიო მუსიკალური ლიტერატურიდან, რა სირთულესაც არ უნდა იყოს იგი. ამას კიდევ ხელს უწყობს ის გარემოება, რომ თეატრში დიდი ყურადღება ექცევა ორკესტრის, გუნდის და კორდებალეტის მხატვრულ ზრდას და მის პროფესიულ დახელოვნებას.

ამჟამად ჩვენი დირიჟორები არიან: თეატრის მთავარი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი, დიდამ მიჩნეულა, ვახტანგ ფალიაშვილი და გივი აზნაფარაშვილი, დამდგმული რეჟისორები: ვახტანგ ტალიაშვილი, რომელიც ალ. წუწუნავას შემდეგ, 1956 წლიდან თეატრის მთავარი რეჟისორია, ე. კვალაიშვილი. წლების განმავლობაში თეატრში მუშაობდნენ დამდგმული რეჟისორები: შოთა აღსაბაძე, რომელმაც მთელი რიგი ახალი ქართული ოპერების დადგმა განახორციელა და ამჟამად კონსერვატორიის საოპერო სტუდიის მთავარი რეჟისორია, გიორგი ჟურელი, ცალკეულ დადგმებზე — ი. თუხანიშვილი, ა. ჩხარტიშვილი, დ. ალექსიძე და სხვ. თანაინათ მუშაობით თეატრისათვის სარგებლობა მოაქვს რეჟისორებს: გ. განჩილაძეს, გ. ლოლაშვილს, ვ. ბგეტაბეიშვილს, ჯ. ანჯაფარიძეს, წამყვან რეჟისორებს ნ. ლუხტაშვილს და ვ. სირიკას.

თუ ყოველი თეატრის სახეს რეპერტუარი განსაზღვრავს, ჩვენი თეატრი, როგორც საქართველოს ერთადერთი საოპერო თეატრი, უწინარეს ყოვლია უნდა ზრუნავდეს თავის ეროვნულ რეპერტუარზე. ამჟამად ჩვენი თეატრის სახეს ქმნის სწორედ ნაციონალური რეპერტუარი. მე მოკლედ შეგვირდები იმ დიდ წიგნობაზე, რომელიც თეატრმა გაწავა ამ რთული, უაღრესად კეთილშობილური საქმის მოგვარებისათვის.

მე ავიღებ უკანასკნელ პერიოდს 1953 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა განახორციელა შემდეგი დადგმები: თორბათა ბალეტი „შვიდობისათვის“, ა. შავერსაშვილის ოპერა „მარინე“, რ. გაბრიჯაძის ოპერა „ნანა“, ა. ანდრიაშვილის ოპერა „ჩიკვათა ქორწილი“, ს. ცინ-

ცადის ბალეტი „ცისფერი მთის საუნჯე“, ა. კერესელიძის ოპერა „ბაში-არჯუი“ (ახალი რეაქციით), ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელიო“, დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარაძალი“, ა. ბუკიას ოპერა „არსენა“, ი. გოგიელის საბავშვო ოპერა „წითელქუდა“, ო. თვედორაძის ოპერა „ლემენდა თბილისზე“, რ. გაბიჩვაძის ოპერა „ნანა“, ა. ანდრიაშვილის ოპერა „ზავი“, ს. ცინცაძის ბალეტი „დემონი“, შ. შველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“, ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“. ამას თუ დაემატებთ, რომ თეატრმა განახორციელა ზ. ფალაშვილის უკვდავ ოპერების „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“, მ. ბალანაიშვილის „დაჩუქაძე ციგურის“, დ. თორაძის „გორდას“, ა. კერესელიძის „ბაში-არჯუი“ ახალი დადგმები, სათელი გახდება ის გრანდიოზული მუშაობა, რომელიც თეატრმა გასწავლია ამ ხნის განმავლობაში ნაციონალური რეპერტუარის შექმნედად. ჩვენ არ შევიკვირება დაიკვივებით, რომ ყველა ნაწარმოებში მიიღო მასურებელმა და შერჩა თეატრის რეპერტუარს. ასე არც შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ამ ახალ ნაწარმოებზე უმრავლესობა, რომელიც ამ დროის მანძილზე იქნა განხორციელებული, მჭიდროდ შევიდა რეპერტუარში, ხოლო ზოგიერთი მათგანი სამუდამოდ დარჩება ჩვენი მუსიკალური საუნჯის ოქრის ფონში. მე ახლა არ ვიღებ მოვლუბას მეომრებელთა წინაშე, გააპრიოთ დადგმული ოპერების და ბალეტების მუსიკალური ღირებუები, დაგადაც ეს დიდი თემა სპეციალურ განხილვას მოითხოვს, რასაც უთუ-ოთ ახლო ხანში შეუდგებიან ჩვენი მუსიკისმცოდნეები. ქარ-თველმა კამპოზიტორებმა დიდი უნარი და აქტიუობა გამოიჩინეს ამ რთული, დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმის წინაწევისათვის, და შედეგებიც დიდად საგრძნობია.

არ შემიძლია დიდი მადლობით არ აღენიშნო ჩვენს თეატრში ქართველი მწერლებისა და დრამატურგების ენერგიული მუშაობა. მათ დიდად გაგვიმარგეს ზურგი ეროვნული რეპერტუარის შექმნის საქმეში.

მესამე დიდი საკითხი, რომელსაც თეატრი დიდ ყურადღებას აქცევს, ეს არის მასურებლის მოზიდვის და ფართო წრეებში ამ დიდი სინთეტური ხელოვნების გატანის საკითხი. თეატრში მასურებლის მოზიდვისათვის საჭიროა სპინტერსო რეპერტუარის შედგენა, მისი მაღალ დონეზე შესრულება, ახალი სპექტაკლების სისტემატური ჩვენება, პროფესიულად ყოფილშივე ძლიერი დასი და სხვა სათაპირო თეატრებში მომუშავე გამორჩეული ოსტატების პერიოდული მოწვევა. ყოველივე ამას თეატრმა კარგად გაართვა თავი და ფართო მასურებელიც მოიზიდა.

ამ ბოლო წლებში, თეატრი, საოპერო ხელოვნების პოპულარიზაციის და მოსახლეობის ფართო ფენებში დიდი მუსიკალური კულტურის დანერგვის მიზნით ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში აწყობს სპექტაკლების სისტემატურ ჩვენებას ორგანიზების, გუნდის და ყველა წამყვანი სოლისტის მონაწილეობით. გარდა ქუთაისის, ბათუმის და სოხუმისა, ოპერის

სპექტაკლები ვარგენთ მესხეთში, ჯავახეთში, სახელდობო ახალციხეში, ასპინძაში, ახალქალაქში.

ჩვენი თეატრი პირველად ჩავიდა იქ, სადაც ქართველ წინაპრებს აუგათ ხერხების და თომგვის ცხენები და კლდეში გამოუქვაბავთ განსაცდირებელი ქალაქი ვარძია, სადაც ქართველ ხალხს არაერთხელ დაუღვრია თავისი წმინდა სისხლი და დუკავს თავისი საწმებლო და უდიდესი კულტურა. ძნელია ორიოდ სიტყვით გამოთქმა იმ შთაბეჭდილებების რაც ჩვენი საოპერო თეატრის — საქართველოს ამ მუსიკალური აკადემიის ჩასვლამ გამოიწვია მოსახლეობაში. საგმარისია მოვიყვანოთ მესხეთ-ჯავახეთის გასუფთები გამოქვეყნებული წერილების სათაურები: „გული ხარობს“, „დაუიწყარი დღეები“, „ჩვენი სისხარიული უსაზღვროა“, „თქნება ამის რულა“, „კვილი იყის თქვენი მოზრძანება, საოპერო სვენის დიდოსტატებო“ და მრავალი ასეთი, რომ სათელი გახდეს, თუ რა აღფრთოვანებისა და ზეიმით მიიღო ხალხმა საოპერო თეატრი. ჩვენმა კოლექტივმა მთელის თავისი სიღრმით იგრძნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ხალხისათვის, ისე თეატრის ხელოვნების მუშაებისათვის — ხელოვნებისა და ხალხის მჭიდროდ გაერთიანება.

ოპერის სპექტაკლები სისტემატურად იმართება რუსთაველი, ბოლნისში, მცხეთაში, გორში და ქარელში. თეატრმა მოაწყო გასტროლები ჭიათურაში, ზესტაფონში, თერჯოლაში, სამტრედიოში, ნაგოზაოში, მიაკოვსკოში, ზუგდიდში, გალში, ოზამირაში, ტყვარჩელში და გუდაუთში. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ამ მხრის 1959-60 წლის სეზონი, რომელიც თეატრმა დაანათავრა სოკაში. გასული 1960-61 წ. სეზონის ბოლოს თეატრმა სპექტაკლები გამართა კახეთში — თელავში, გურჯაანში, ყვარელში და სიღნაღში. ამ რაიონების მოსახლეობა მასობრივად ესწრებოდა ოპერებს. სეზონის დასურვისას კახეთში გაიმართა „დაისის“ წარმოდგენები ღია ცის ქვეშ. თეატრის განზრახული აქვს კვლავ განაგრძოს ეს კეთილმოიღობური წამოწყება და ოპერის სპექტაკლები აჩვენოს რაჭა-ლეჩხუმში და სვანეთში. ამ გზით ოპერა ყველასათვის საყვარელ სახალხო ხელოვნებად იქცევა.

საბჭოთა განთავფელის 40 წლისთავს მიუძღვნა თეატრმა ამ სეზონში კამპოზიტორებელი დადგმები: ა. ანდრიაშვილის „ზავი“, ს. ცინცაძის „დემონი“, შ. შველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ და ო. თაქთაქიშვილის „მინდია“. თეატრის ასეთი წარჩინება იმ დიდი ენთუზიაზმის შედეგია, რომლითაც გამსტავალები იყო მიიღო კოლექტივი.

თეატრს მიზნად აქვს დასახული მომავალ სეზონში განახორციელოს სამი ახალი ქართული ოპერა, ირ. გეგაძის ოპერა „პირველი“, კ. მეღვინეთუხუცესის „დავით გურამიშვილი“ და ბ. კვერნაძის ბალეტი „მხატვრის სახელონისში“.

ჩვენი ერის დიდი მუსიკალური კულტურა, ამ დარგში მოღვაწეთა ნიჭი და დაუზარებელი შრომა იმის საწინდარია, რომ საოპერო და საბალეტო ხელოვნების კვლავ ახალი მნიშვნელოვანი ნიმუშები შექმნება.

რახინდრანატ თაგორის ესთეტიკური შეხედულება

პროფ. ჯონ ლიტონი

ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი

მიმდინარე წლის მისი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს დიდი ინდოელი პოეტის და მწერლის, ფილოსოფოსის და მხატვრის, პატრიოტის და პუმინისტიკის, ინდოეთის დიდი საზოგადო მოღვაწის რახინდრანატ თაგორის დაბადების ასი წლისთავს.

მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი რახინდრანატ თაგორი ჩვენს წინ შლის უკვდავ იდეათა ბრწყინვალე ფურცელს ბენგალური ლიტერატურის და საერთოდ ინდური კულტურის ისტორიიდან.

რახინდრანატ თაგორი — ინდოეთის დიდად ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხის გამოჩენილი წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი იყო. თავისი დაწარმოებების სახით მან ფასდაუდებელი განძი შეიტანა ორი უდიდესი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის და ინდოეთის ურთიერთკავშირების დნობის დამყარების საქმეში. ოდიდათი წლის წინათ, ინდოეთის ხალხის შვილი 70 წლის მოხუცი თაგორი ესტუმრა საბჭოთა ქვეყანას. ვერც სიბერემ, ვერც შორმა მანძილმა, ვერც შერყეულმა ჯანმრთელობამ, ვერაფერმა ვერ შეაჩერა იგი, — მას წყურთად საკუთარი თვალით ენახა ის, რაც მას გაუკონია საბჭოთა კავშირის შესახებ. მას სურდა ეხილა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წიაღში აღნიშნური პარტიის ბრძოლი ხელმძღვანელობითი შობის ახალი სამყარო, რომელიც არ ჰგავდა არც ერთ სხვა ქვეყანას.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ წარუშლელი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა მის მგრძობიარე გულსა და ცოცხალ გონებაში. ეს მან გამოხატა თავის ცნობილ „წერილებში რუსეთზე“, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. ერთ-ერთ წერილში თაგორი აღნიშნავდა: „როგორც იქნა, ჩამოვედი რუსეთში. ყველაფერი, რასაც ვხედავ, სასურველია! არც ერთს სხვა ქვეყანას არა ჰგავს. ძირფეხიანად განსხვავდება“. მეორე წერილში თაგორი ამბობს: „სად არ ვყოფივარ, მაგრამ არც ერთ ქვეყანას ასე არ აუღლებებია... მე გაოცებული ვარ იმით, რაც ვნახე... რაღაც რვა წლის მანძილზე სულ გამოცვლილა მთელი ხალხის სახე“.

რახინდრანატ თაგორი მუშათა კლასის და ჩაგრული ხალხების მეგობარი იყო, მრისხანედ იმალუბდა ხმას დასჯერლთა და ექსპლოატატორთა, კოლონიზატორთა და მისხელობისმძელ მუქთახორთა წინააღმდეგ. თაგორს გულით უყვარდა უბრალო მშრომელი ადამიანები. რუსეთის შესახებ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში იგი ვერდა: „ადამიანთა სასოფადობების საუკუნეობრივი კულტურა იქნება უბრალო ადამიანების შრომით; ისინი უმრავლესნი არიან; მთელი სიმძიმე მათ გადააქვთ თავისი მხრებით. მათ არ სცალიათ იცხოვრონ ადამიანურად, მშვირ-მწყურვალნი, ჩამოფლითილნი, უეჭვნური,

ბატონის ნასუფრალის ამარად დარჩენილნი ისინი სხვებს ემსახურებიან. მათი შრომა უზარმაზარია, — უფლებებით კი — არაანნი არიან. მუდმივი შიმშილი, ხელმოკლეობა, სიკვდილი — ასეთია მათი ზედერი. ყოველივე სიკეთისათვის ძლიერი ამ ქვეყნისანი მათ აჯილდოფებენ შოლტით. ისინი მშობლიური ცივილიზაციის შანდლები არიან, დგანა და თავზე უდევთ სანადურები, უნათებენ მალა მდგომთ, ხლოო მათ ტანზე და ზეთის ცხელი ნაკაი...“

დიდმა პოეტმა რ. თაგორმა არა მარტო შეიცნო თუ რატომ მოსესს საბჭოთა კავშირის ხალხებმა კაპიტალის საუკუნეობრივი დამჩაგრული ბატონობა, არამედ თვალნათლივ ჩქვეს ახალი ცხოვრება კილდდან კილდემდე. 1930 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში იგი აღნიშნავდა: „აგებენ რა მთელს თავის ქვეყანაში ფაბრიკა-ქარხნებს, ისინი ისწრაფიან ფეხზე დააყენონ მუშები, უწვევიან უდიდეს მუშაობას, რომ განაღლებების საშუალებით მშრომელთათვის მისაწვდომი გასაღოდ ფერწერის ხელოვნება. მათ იციან, რომ ისინი, ვისაც არ გაგებთათ ხელოვნება, ბარბაროსები არიან, ხლოო ბარბაროსები გარეგნულად ხუშენი, — შინაგანად უშუღენი არიან. შესამჩნევად ამაღლდა რუსეთში დრამატურგია. შიმშილის მიმდე და საშინელ წლებში, რომელიც 1917 წლის რევოლუციას მოსდევდა, ისინი მღეროდნენ, ცეკვავდნენ, გატაცებულნი იყვნენ თეატრით, და ეს არ ეწინააღმდეგებოდა მათ მიერ დაღმულ უდიდეს ისტორიულ დრამას. შემდეგ რახინდრანატის განაგრძობს: უდაბნოში არ არის სიცოცხლე. სიცოცხლე იქ, სადაც ჰქუხს და მჩქეფარებს მთებიდან და კლდეებიდან ჩამომდინარე წყლის ნიაღვარი, იქ, სადაც გაზაფხულის წყალიდილობის თვალს ატყვევებს დათოვლილი მწვერვალების ფირფუხვანება. დიდ ჰუმანისტს რ. თაგორს აღფრთოვანებს იმდენად არა ვერბოული მეცნიერება, რომელსაც სასწაულმოქმედების ძალა შესწევს, რამდენადაც საბჭოთა კავშირში მის მიერ ნახული დიდი საქმე. 1930 წლის 25 სექტემბრით დათარიღებულ წერილში თაგორი აღნიშნავს:

— ისინი რომ მხოლოდ ანგრევდნენ, არ გამიკვირდებოდა, რადგან ნგრევის უნარი მათ საკმაოდ აქვს, მაგრამ მე ვხედავ, რომ ისინი მკლავებდაკაპიულენი მუშაობენ, რომ ამ უზარმაზარ სივრცეზე ახალი ქვეყანა ააგონ. საჭიროა ჩქარი, გაფაციცებულნი მუშაობა, რადგან მთელი მსოფლიო მათ მიმართ მტრულად არის განწყობილი. მათთვის აუცილებელია, რომ, რაც შეიძლება, მალე დადგნენ საკუთარ ფეხზე. ყოველ ბიჯზე მათ უნდა ამტკიცონ, რომ ის, რისკენაც მისიწრაფიან, არ არის არც შეცდომა, არც მოტყუება. მათ მტკიცედ გადაუწყვეტილი, ათასი წელი 10-15 წელს გაირბინონ. მათი ეკო-



ნომიური სიმძლავრე, სხვა რომელიმე ქვეყანასთან შედარებით, მეტისმეტად მცირეა. სამაგიეროდ უზარმაზარია მათი ნებისყოფა. თაგორს არა მარტო საბჭოთა ხალხის ხელოვნებას აღაფრთოვანებდა, მისი სული სიხარულისაგან თრთოდა მაშინაც, როცა ხედავდა საბჭოთა კულტურის უდიდეს მიღწევებს.

ერთი შეხედვით, შეიძლება, იფიქროთ, რომ მათ მხოლოდ შრომისადმი მიდრეკილება აქვთ, რომ მათ არ ესმით და ამიტომ უნარებით ფაქიზი ხელოვნება. ეს ოდნავადაც მართალი არაა! ძალიან ძნელია ბილეთის შოვნა კარგ პიესასზე ან ოპერასზე, რომელიც მიდის ჯერ კიდევ მეფის დროის აგებულ დიდ და ღამაზე თეატრში. მსოფლიო იცნობს ძალიან ცოტა ისეთ სპექტაკლის დრამატულ ხელოვნებაში, როგორიც მათ ჰყავთ, ძველ დროში აქაურ თეატრებში არ მოიპოვებოდა ადგილი მათთვის, ვინც ფუნგველი, ტანშიშველი და მშვერლმწეურავი იყო, მათთვის, ვინც ძირულად მუდმივი შიშით ღვთისა და ადამიანების წინაშე, ვინც თავისი სულის სახსენებლად მოვლდებოდა და ბერებს აძლევდა ყველაფერს, რაც მოეპოვებოდა, ვინც ბატონთა ფეხქვეშ იყო გართობული და დამცილებული. ახლა ეს თეატრი წროფად ამ ჯალხით არის სასვე. შემდეგ თაგორი განაგრძობს:

— როცა მე თეატრში ვიყავი, სიენაზე მიდიოდა ტოლსტოის პიესა „ადღვომა“. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს თქმა ყველასთვის ადვილად მისაწვდომი იყო. მიუხედავად ამისა, მაყურებელი უმზერდნენ სცენას დუმილით და ღრმა ყურადღებით. საეჭვოა, რომ ასეთივე მდგომარებით და გულდამშვიდებით უკუბრუნდებოდნენ და დასტკბენ სპექტაკლით ანგლო-საქსური წარმომოშობის გლესებით და მუშებით. ჩვენზე ხომ ლაპარაკიც შედგებოდა.

ავითარებს რა თავის აზრს, თაგორი განაგრძობს: რუსეთის თეატრალურ სცენაზე წარმოდგენილია ხელოვნების სხვადასხვაგვარი ფორმა. ყოველ მათგანში თანდათან ვლინდება სახალისო შემოქმედებითი ძეგლი, რომელიც წინააღმდეგობას არ ხდევდა. რეჟისორები, რომლებიც საზოგადოებრივი წყობა შესცვალა, შექმნა უკიდვარად სარბილი სახალისო გაბედული შემოქმედებითი ძიებისათვის. მათ არ აშინებთ სიახლე, არც საზოგადოებრივი, არც სახელმწიფოებრივი ცხოვრებაში და არც ხელოვნებაში.

მას სიხარულს გვრიდა არა მარტო მიღწევებით სახალხო მუერნობაში, არამედ საბჭოთა ხელოვნების და კულტურის ყოველი მიწანაპირი. თაგორი წერს: „მოვიტან კიდევ ერთ მაგალითს. მოსკოვში გაიმართა წესი სურათების გამოფენა. შედგებოდა იმაზე ლაპარაკი, რომ ეს სურათები უჩვეულო რამ არის არა მარტო ამ ქვეყნის მკვიდრთათვის, არამედ რომელიც განებოდა, იმ ქვეყნის მცხოვრებთათვის. გამოფენაზე მიიქმნა მხატვალთა დაუსრულებელი რიგები... რამდენიმე დღეში გამოფენა დათვალიერა ხუთი ათასმა კაცმა. რაც არ უნდა თქვან, არ შემიძლია არ აღვნიშნო მათი მაღალი გემოვნება“ ანუ წერლობით თაგორი ადვანტაჟებს გამოქვეყნებულ საბჭოთა ბავშვების მიერ შესრულებული სურათებით ან ნახატებით.

— აქ ჩვენ გვაჩუქებს ბავშვების მიერ შესრულებული ნახატები. მე გავიღობ, როცა ეს სურათები დათვალიერებ. მხატვრების ყველა წესის დაცვით შესრულებული ეს სურათები რისავე ასლებს ან არ წარმოადგენენ, არამედ მათი საკუთარი წარმოსახვის ნაყოფია. მე ავიღობ, როცა დავიხანხე მათი ასეთი სურათება შემოქმედებისა და შენებისაკენ. ასაბუთებს რა თავის აზრს, დიდი ჰუმანიტიკი განაგრძობს:

— მოსკოვში არის სურათების ცნობილი საცავი, ტრე-

ტიკოვის გალერეად“ წოდებული. მხოლოდ ერთი წლის მანძილზე — 1928 წლიდან 1929 წლამდე იგი დათვალიერა სამას ათასზე მეტმა კაცმა. შენობა ვერ იტყვება გალერეის დათვალიერების ყველა მსურველს. ამიტომ საჭირო ხდება დამოუკიდებელი საიების შედგენა დასვენების დღეების წინ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე — 1917 წლამდე გალერეის დამთვალიერებელი იყვნენ მდიდარი კლასების წარმომადგენელი, მაღალი თანამდებობის პირნი, სწავლული ადამიანები, ისინი, ვისაც ესენი ბურჟუაზიის უწოდებდნენ. ე. ი. ადამიანები, რომლებიც სხვისი შრომით ცხოვრობდნენ. ახლა აქ მოდიან კლასიკები, ფოლადის მძრწობელი, მეკარეები და ა. შ. ე. ი. ისინი, ვინც თავისი შრომით ცხოვრობს. აქ მოდიან აგრეთვე საბჭოთა მეომრები, სამხედრო ნაწილის მეთაურები, სტუდენტები, გლეხები. იმისათვის, რომ მათი ტინი შეაჩივრო ხელოვნების გაგებას, რომ მათ ამაოდ არ იხეტიალოდნენ დარბაზში, სადაც სურათებია გამოფენილი. მუზეუმების მეცნიერ მუშაკთაგან გამოყოფილი არიან ექსკურსიონტები, რომ მხატვალს აუხსნან სურათების საერთო თვისებები, კავშირი შინაარსსა და ფორმას შორის, გაავებინონ მათი არსი. ექსკურსიონტები ჰყავს ყოველ მუზეუმში. დამთვალიერებელი მძილდებთან არავითარი ფულადი ანგარიში არა აქვთ. ექსკურსიონტის საკამოდ მოზადებული უნდა იყოს, რომ შესძლოს ნახველს უჩვეულის სურათის გარეგნულ გამოსახულებაში ღრმა შინაარსი. დამთვალიერებლებიან მხოლოდ ცოტას შეუძლია ჩაწვდეს სურათის ტექნიკას, გამომსახველ საშუალებას, ნახატს, პერსპექტივას, განათებას. ამიტომ ექსკურსიონტის უნდა ჰქონდეს საკამო ოცნა, რომ შესძლოს აღძრას დამთვალიერებელში ცნობისმყოფარობა და ინტერესი, აუხსნას მას ნარ-ნაირი საშაბტური სკოლების საერთო თვისებები. ექსკურსიონტის უნდა შეეძლოს გამოყოს ყველაზე დამახასიათებელი რამდენიმე სურათი და ახსნას მათი არსი. დარბაზში არ უნდა ეკიდოს ძალიან ბევრი სურათი, რომელთაც ასხან-განმარტებას საჭიროებენ. ყოველ დარბაზში დამთვალიერებელიც უწიეთ ტიტს ხანს არ უნდა დარჩეს; მას უნდა აუხსნან, თუ რა კავშირია ფორმასა და შინაარსს— სურათის იდეას შორის. ასხან-განმარტების საგანი უნდა გასდეს ის თავისებური სტილი, რომლის მიხედვითაც შექმნილია სურათი, მისი შეუმჩნეველი თვისებები. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სურათების თავისებურებათა ახსნას, ერთიმეორესთან სურათების დაპირისპირების გზით. მაგრამ ამასთან, საჭიროა თავი დაუხებოთ ასხან-განმარტებას და გავუტვი შინ დამთვალიერებელი მაშინვე, როგორც ეს მისი ტინი ოდნავ იწილება. ვიკრამადიტამ (ერთი მმართველიაგანი გუბატას დინასტიად, ხელოვნების მფარველი IV ს. ჩვ. წ.) ინდოეთიდან განდევნა მხატვნი (სკვითური ტომი, რომელიც ინდოეთში შეიჭრა I ს-ში ჩვ. წ. აღ.), მაგრამ ხელი არ ახლო დაიღობდას, რათა მას დაეურთა პოემა „ღრუბელი—მახარობელი“. იხსენებებს რა ამ გადმარტებას, თაგორი წერს: მე რომ რუსეთში შეხვას ის, რომ რუსები მხოლოდ წარმოების და ყანების მუშებით არიან, მე გადავწყვეტი, რომ ისინი გამოიფიტებიან და დაიხსოვებინ. როცა მე, ახშობს რა თავისი ფოთლების ოდნავ გასავიერ ჩურჩულს, უცხად მეჭურავ ხმით, მდიდურად აცხადებს, მე ნექტარს არ ვსაჭიროებო, იგი, რა თქმა უნდა, გვაჯობებს თავის ორეულს, დურგლის სხელით ოსტატურად გამოკვეთილის. იქნებ, იგი მავარი და მგელით იყოს, მაგრამ უნაყოფოა, რაც შეეძლება მე, მინდა ვუთხრა ამ გმირებს (თაგორის მხედველობაში ჰყავს ინდოეთის პოლიცია) და მათ თაყვანის-

მცემლებს, რომ როცა სამშობლოში დაბრუნდები, პოლიციელთა ხელკეტების ნიადავიც კი ვერ შეაჩერებს ჩემს ცვეკვებს და სიმღერებს.

რაზინდრანატი კიდევ უფრო გაოგნებული დარჩა, როცა ნახა, რომ საბჭოთა კავშირი დაფაურულია მუხუშუმების დიდი ქსელით.

— რუსეთში ყველგან ღრმად არის გამჯდარი ცალკეული რაიონების თავისებურებათა შესწავლის ინტერესი, — წერს რ. თაგორი, — ასეთი საგანმანათლებლო ცენტრი დასახლებული ორი ასობაი, მუშაობს იქ სამოცდაათ ათასზე მეტი კაცი. ამ ცენტრში ხდება ამ ადგილების წარსული ისტორიის, აგრეთვე, მის წინანდელ და ახლანდელ ეკონომიურ შესაძლებლობათა შესწავლა. გარდა ამისა, მიზნდარეობს გამოკვლევითი მუშაობა ამ რაიონების წარსორი ძაღების და სასარგებლო წიადისეულის შესასწავლად. აქ არსებული ყველა მუხუშუმი, ამ ცენტრებთან ერთად, წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან საშუალებას საყოველთაო განათლების გასაგრძელებლად. მხარეთმცოდნეობის ფართოდ გავრცელება და მასთან დაკავშირებული მუხუშუმების საქმიანობა მთავარ მეთოდს წარმოადგენს მთელ საბჭოთა ქვეყანაში საყოველთაო განათლების ასამაღლებლად.

დიდი მოაზროვნე რაზინდრანატი თაგორი ახდენდა რა საბჭოთა რესპუბლიკების და ინგლისის შეზღირსობებს, წერდა: რამდენი მარჯუელობაა გამოვლენილი და რა დიდი ენერჯია დახარჯული იმისათვის, რომ არც ერთი ადამიანი არ გრწნობდეს თავს უმწოდ და გამოუსადეგრად თავის საქმეში. არა მარტო ბელორუსიაში, შუა აზიის ხალხებზეც ისინი აგრძელებდნ განათლებას ადიდებდნ მენდარის სისწრაფით. არა აქვს საზღვარი მათ დაუცხრომელ ფერჯიას, მიმართულს იქითკენ, რომ ამ ხალხებს გზა გაეხსენს მეცნიერების მწვერულებისაკენ. უტატრებში ხალხის უამრავი მასივია. ძირითადი და მყარებლები მუშები და გლეხები არიან. არსად მათ არ შეურაცხყოფენ. ორ-სამ დაწესებულებაში, რომლებიც დღემდე ვინახებულ, ჩემი ყურადღება მიიქცია გაღვიძებული ადამიანური ღირსების აღორძინებამ და შემოქმედებამ. ჩვენი ხალხის შესახებ ამ მხრეც ღაპარაკიც შედგებოდა, — ხოლო თუ ინგლისის მუშათა კლასს შეეადარებთ, განსხვავება ისეთია, როგორც ცხსა და დედაბიჭს შორის.

თაგორი მეტიად კმაყოფილი იყო იმით, რომ თავის სიცოცხლის დასასრულს მაინც შესძლო წვედოა საბჭოთა კავშირის და საკუთარი თვალთი ენახა საბჭოთა ხალხების კოლოსალური მიღწევები.

— „ესე იყო, თუ ისე, როგორც იქნა, ჩამოვიღე რუსეთში, მე ჩემი სიცოცხლის მიზანს მთლიანად მიღწეულად არ ჩავთვლიდი, რომ აქ არ ჩამოვსულიყავი“, — წერდა იგი.

ჩვენი დროის დიდი განმანათლებელი რ. თაგორი სულიერ საუწყებას მატერიალურზე მაღლა აყენებდა, და საბოლოო ანგარიშში ნივთიერი და სულიერი მომენტების საკუთესო შეერთებად ადამიანი მიაჩნდა. წერილში „განათლება და კულტურა“ დიდი ინდიული მოაზროვნე აღნიშნავდა:

— „ოქდესად ინდოეთს ჰქონდა საკუთარი კულტურა. მაშინ ადამიანს არ ეშინოდა, რომ სულთი ღატაკი გახდებოდა, რადგან მისი სიმძიმის ცენტრი მდებარეობდა არა ცენტრულად ღრუბლებულა სფეროში; განათლების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მიზნის გარკვევა და მისკენ სწრაფვა, მატერიალურზე სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება. რა თქმა უნდა, განათლების საქმეში რამდენადმე თავისი ადგი-

